ხელოვნება

3 მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ნანა იოსელიანი ◆ სოფიო ქებურია

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ხელოვნება 3
მასწავლებლის წიგნი
თბილისი, 2018

ავტორები: ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია

რედაქტორი ნინო გოგალაძე
დიზაინერები: ია მახათაძე, გიორგი მაღრაძე
ილუსტრატორი: გიორგი მაღრაძე
ტექნიკური დიზაინერი გიორგი ლომსაძე

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-054-7

ART 3
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2018
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

შესავალი 5
ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წლიური პროგრამა.
III კლასი – წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები 16
სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან 20

გაკვეთილების სცენარები 23
შესავალი გაკვეთილები 25
რა არის შემოქმედება? 25
ARS LONGA, VITA BREVIS 27

I თემა: მხატვრობა 29
ფერების სახელები 29
კომიქსი; ზღაპარი ფერად ლაქებზე 30
ცისარტყელა 33
კონტრაჟური 35
ფერი და განწყობა 38
რუხი 40
დღე და ღამე 43
შემაჯამებელი გაკვეთილი 45
წელიწადის დროები 47
კომპოზიცია ფოთლებით 50
ყვითელი 53
მხატვარი და გარემო 56
გრაფიკა და პლაკატი 58
შტრიხი 61
ეშერის მოზაიკური სამყარო 63
ლეონარდოს იგავი 65
თხზულება „სიზმარი“ 67

II თემა: ჟანრები 69
რას გვიამბობს სურათი 69
ქალაქის პეიზაჟი 72
იაპონური პეიზაჟი 74
ზამთრის პეიზაჟი აღწერით 76
პორტრეტი და ავტოპორტრეტი 77
ფიროსმანის პორტრეტი 79
ნატურმორტი 81
სურბარანის ნატურმორტები 83
ყოფითი ჟანრი 87
იპოვე განსხვავება 89

III თემა: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება 91
ორნამენტის ისტორია 91
პორტრეტი ჩარჩოში 94
ბერძნული ლარნაკი 96
მანდალა 98
ლურჯი სუფრა 101
ნოხი და ფარდაგი 104
ჩალის თოჯინა (გობელენი) 107
ნეცკე 109
მატისის ზღვა 110

IV თემა: ისტორიები 113
პირველი მხატვრები 113
მზერა შუამდინარეთიდან 115
ინტერვიუობანა 117
ველასკესის ინფანტა 120
მატარებელი 123
ჯადოსნური საგრიალო 125
ანიმაცია 127

V თემა: პროექტი 129
არქიტექტურა 129

VI თემა: დღესასწაულები 137
შობა 137
ნაძვის ხე 141
ფაქტურა 143
ქალთა დღე 145
კალათა 147
ციფრული ნახატი 149

დანართი 151

აქტიური ბმულები ისტ-ის დავალებებისთვის 172

ქვეყანა, რომელშიც ხატვას ასწავლიან ისევე, როგორც ასწავლიან წერა-კითხვას, სულ მალე გაუსწრებდა სხვა ქვეყნებს ხელოვნების, მეცნიერების და ხელოსნობის ყველა დარგში.

დენი დიდრო

შესავალი

1-2 კლასებში მოსწავლეებმა ხელოვნების გაკვეთილებზე შეიძინეს ისეთი აუცილებელი უნარ-ჩვევები, როგორიცაა ელემენტარული მასალებისა და იარაღების ხმარება, გაეცნენ ხელოვნების ზოგიერთ დარგსა და ჟანრს, სახვითი ხელოვნების ზოგიერთ ელემენტს, ისწავლეს მეგობრებთან ერთად მუშაობა, მიეჩვივნენ ერთმანეთის დახმარებასა და სამუშაო გარემოს მოწესრიგებას. ისწავლეს ინსტრუქციის გაგება და შესრულება. რაც მთავარია, მათ უკვე შეუძლიათ მარტივი ტექსტის წაკითხვა და გაგება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მე-3 კლასში ჩვენი მთავარი მიზანია, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენა და შემდგომი განვითარება, ხელოვნებისადმი და ხელოვნების მეშვეობით კაცობრიობის მიღწევების სხვა სფეროებისადმი ინტერესის გაღვივება.

სხვადასხვა უნარის განვითარების ერთობლიობით ჩვენ უნდა შევეცადოთ მთავარი შედეგის მიღწევას – ინტერესიანი, მოაზროვნე, შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბებას. მე-3 კლასში ცნობისმოყვარეობა უნდა გადაიზარდოს ცოდნისმოყვარეობაში, შემეცნებისადმი მუდმივ ლტოლვაში, ექსპერიმენტირებისადმი ინტერესში, საზრიანობა – კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარში, თვითგამოხატვის სურვილი კი – შემოქმედებითობაში.

- მოსწავლეს უნდა ჩამოვუყალიბოთ სამყაროს ერთიანობის შესახებ წარმოდგენა;
- გავაცნოთ საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობა;
- ჩამოვუყალიბოთ პატივისცემის გრძნობა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის მიმართ;
- ჩამოვუყალიბოთ ესთეტური გემოვნება;
- დავაუფლოთ შემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკურ საშუალებებს;
- ჩამოვუყალიბოთ შრომითი უნარ-ჩვევები;
- ხელი შევუწყოთ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ფორმირებას.

ამისთვის, მოსწავლეებს უნდა გავუღვივოთ და განვუვითაროთ:

- წარმოსახვის, ფანტაზიის უნარი;
- მშვენიერების აღქმის უნარი;
- ხელოვნების ნაწარმოების/გარემოს ემოციური განცდის უნარი;
- ხელოვნებისადმი ინტერესი და სიყვარული;
- საკუთარი დამოკიდებულების, ემოციის გამოხატვის უნარი;
- დაკვირვების, აღქმის, ანალიზის, ინტერპრეტაციის უნარი;
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- საკუთარი აზრების, შთაბეჭდილებებისა და გრძნობები სახვითი საშუალებებით გადმოცემის უნარი;

- შემოქმედების სურვილი და უნარი;
- სხვადასხვა ტექნიკის გამოყენების უნარი.
- თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.
- სამუშაოს თანმიმდევრობის დაგეგმვისა და ჩანაფიქრიდან სასრულ ეტაპამდე მიყვანის უნარი.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

მე-3 კლასის სახელმძღვანელოს კომპლექტში შედის:

მასწავლებლის წიგნი;

მოსწავლის წიგნი;

მასწავლებლისთვის დამხმარე საილუსტრაციო მასალა დანართისა და ელექტრონული ვერსიის სახით.

მასწავლებლის წიგნი:

1. სარჩევი
2. შესავალი
3. გაკვეთილების სცენარები
4. ცნობარი
5. დანართი

მოსწავლის წიგნი:

სარჩევი

თემატური ტექსტები ილუსტრაციებითა და აქტივობების ინსტრუქციებით

ლექსიკონი

მასწავლებლის წიგნის სარჩევი:

სარჩევში მითითებულია:

გაკვეთილის რიგითი ნომერი (გვერდი)

თემის დასახელება

თემასთან დაკავშირებული აქტივობების რაოდენობა

შესავალი:

შესავალი შეიცავს:

ავტორების ხედვას დაწყებით კლასებში ხელოვნების სწავლების შესახებ;

ზოგად ინფორმაციას სახელმძღვანელოს სტრუქტურის შესახებ;

პრაქტიკულ რჩევებს;

მოსწავლის შეფასების პრინციპებს.

ცნობარი შეიცავს:

დამატებით საცნობარო ინფორმაციას

დანართი:

შეიცავს აქტივობებისთვის საჭირო თარგებსა და სხვა დამხმარე მასალას.

საილუსტრაციო მასალის ელექტრონული ვერსია

გაკვეთილების სცენარები:

ყოველი გაკვეთილის სცენარი შეიცავს:

- კონკრეტული გაკვეთილის მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და შესაბამის ინდიკატორებს, რომელთა გაღვივება-განვითარებასაც უწყობს ხელს კონკრეტული გაკვეთილი;
- გაკვეთილზე ასათვისებელი ტერმინების ჩამონათვალს;
- ვიზუალური რესურსის ჩამონათვალს;
- თემის შესაბამისი აქტივობისთვის საჭირო მასალისა და იარაღების ჩამონათვალს, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს წინასწარ გააფრთხილოს მოსწავლეები, რისი მოტანა დაჭირდებათ მომდევნო გაკვეთილისთვის. აქტივობებისთვის შერჩეულია ხელმისაწვდომი და მოსწავლეთათვის უსაფრთხო მასალისა და იარაღების აუცილებელი მინიმუმი. მასწავლებელს შეუძლია გაამდიდროს ეს ჩამონათვალი – გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი მასალა, რაც უფრო საინტერესოს გახდის შემოქმედებით პროცესს;
- გაკვეთილის მსვლელობის დაწვრილებით სცენარს;
- აქტივობის დეტალურ აღწერას. ყოველი აქტივობა ამდიდრებს, ამყარებს გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციას. ის აქტივობები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მითითებებს, მოსწავლის წიგნში მოცემულია ეტაპობრივი, ილუსტრირებული ინსტრუქციების სახით;
- გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემაჯამებელ, სააზროვნო კითხვებს, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეთა მიღწევების შეფასებაში;
- აქტიურ ინტერნეტბმულებს ვიზუალური მასალით, ვიდეო- და ფო-ტოინსტრუქციებით.

გაკვეთილები თემატურად დაჯგუფებულია თავებად.
გაკვეთილების თემები შერჩეულია ეროვნული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

შემაჯამებელი დავალებები ინტერაქტიული აქტივობების სახითაა წარმოდგენილი. მათი საშუალებით მასწავლებელს შეუძლია შეამოწმოს და შეაფასოს მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისებისა და შეძენილი უნარების ხარისხი.

წიგნის ცნობარში ჩამოწერილია შემაჯამებელი კითხვები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შერჩევით, გაკვეთილის თემიდან გამომდინარე.

მასწავლებელი არ არის ვალდებული აქტივობები სახელმძღვანელოში მოცემული თანმიმდევრობით ჩაატაროს. მათი თანმიმდევრობა, მონაცვლეობა თუ გამეორება უნდა შეირჩეს ისე, როგორც მასწავლებელი მიიჩნევს მიზანშეწონილად.

მოსწავლის წიგნი:

სარჩევი

გაკვეთილების ტექსტები (მოსწავლის წიგნში გაკვეთილების თანმიმდევრობა მასწავლებლის წიგნის გაკვეთილების თანმიმდევრობას შეესაბამება მხოლოდ თემების სათაურებით).

ცნობარი

პრაქტიკული რჩევები:

1. სივრცის ორგანიზება – აქტივობების ჯგუფური, წყვილებში და ინდივიდუალური დავალებების შესრულება ითხოვს საკლასო სივრცის სხვადასხვანაირ ორგანიზებას. სასურველია, ხელოვნების მასწავლებელს ქონდეს საკუთარი საკლასო ოთახი – სახელოსნო, სადაც მას საშუალება ექნება მაგიდები დაალაგოს ისე, როგორც მოითხოვს აქტივობის პირობა.

<u>სწავლის, კვლევის და დამოუკიდებელი აზროვნებისათვის</u> საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად მასწავლებელმა მოსწავლეებს გარკვეული თემის თუ აქტივობის შემდეგ უნდა დაავალოს, კონკრეტულ თემაზე საკუთარი შეკითხვების წერილობით ჩამოყალიბება, რომლებზეც მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეები და მასწავლებელი ერთად გასცემენ პასუხს. ეს თავისთავად წარმოშობს დისკუსიას, რომლის დროსაც მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ აზრს თუ იდეას, წარმოაჩენენ ცოდნას, გაიმეორებენ მასალას, ისწავლიან მსჯელობას, აზრის ჩამოყალიბებას, შეიძენენ თვითდაჯერებულობას მეტყველებისას. დისკუსიებზე მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს შეკითხვის დასმისა და კითხვაზე პასუხის ძიებისაკენ. მოსწავლეების მიერ დასმული შეკითხვების შებრუნებით მასწავლებელი სტიმულს მისცემს მათ დამოუკიდებელ აზროვნებას, ცნობისმოყვარეობას, კვლევას. დისკუსიები მიაჩვევს მოსწავლეებს მსჯელობას, ლოგიკურ აზროვნებას. მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს თამამად, საჯაროდ გამოთქვან საკუთარი აზრი, გამოხატონ გრძნობები; დისკუსიებზე ბავშვები მიეჩვევიან საზოგადოებაში მიღებული საუბრის ნორმების დაცვას (ხმის ტემბრის, ტონისა და სიმაღლის რეგულირებას, საუბრისას რიგის დაცვას, მოსაუბრის მოსმენას, სასაუბრო თემის მიმდევრობის დაცვას).

2. მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გასაღვივებლად, მასწავლებელს შეუძლია აწარმოოს საკუთარი ბლოგი (ელექტრონული პორტფოლიო), რომელზეც სისტემატურად ატვირთავს მოსწავლეების ნამუშევრების ფოტოებს. მოსწავლეებს და მშობლებს მუდმივად ექნებათ საშუალება ბლოგის მეშვეობით თვალყური ადევნონ პროგრესს. როდესაც მოსწავლემ წინასწარ იცის, რომ ნამუშევარს სხვებიც ნახავენ, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება მას, რათა სიამაყის საგნად აქციოს.

მასალა და იარაღები:

მასწავლებელს ხშირად შეიძლება შეექმნას ჩასატარებელი აქტივობისთვის აუცილებელი და მოსწავლეების ხელთ არსებული მასალის შეუსაბამობის პრობლემა (მაგ, მასწავლებელს დაგეგმილი აქვს ასწავლოს მოსწავლეებს ფერების შეზავება, მოსწავლეთა ნაწილს კი მხოლოდ ფლომასტერები აქვს მოტანილი). ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა უზრუნველყოს კლასში მასალის ერთგვაროვნება – მშობლებთან წინასწარი მოლაპარაკებით მოიმარაგოს საჭირო მასალა და შეინახოს იგი კლასში. შესაბამისად, მასწავლებელს ყოველთვის ხელთ ექნება დაგეგმილი აქტივობისთვის საჭირო რესურსები და მოსწავლეებს არ მოუწევთ მათი თან ტარება.

აუცილებელი მასალის ჩამონათვალი:

- **A4 ფორმატის ფურცლების შეკვრა** – სახატავ რვეულებში საღებავებით ხატვა მოუხერხებელია,

რადგან საღებავი სწრაფად არ შრება და მოსწავლე ვერ შეძლებს ახალი ნამუშევრის სუფთა გვერდზე დახატვას ისე, რომ არ გააფუჭოს უკვე შესრულებული ნამუშევარი.

- **სახატავი რვეულები**, შეძლებისდაგვარად სქელი ფურცლებით, რომლებიც წყლის საღებავებისგან არ დეფორმირდება.
- **ფერადი ფურცლები** – სასურველია, მოსწავლეებს დაურიგდეს იმ ზომის და რაოდენობის ფურცლები, რაც საჭიროა კონკრეტული აქტივობისთვის. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს ფურცლის ეკონომიურად (კიდიდან და არა შუიდან) ხმარების აუცილებლობა. ყოველი აქტივობის შემდეგ ფურცლების გამოსაყენებლად ვარგისი ზომის ნარჩენები ინახება მომდევნო აქტივობებისთვის.
- **მუყაო** – ტკბილეულის, პარფიუმერიის, წამლების და სხვა კოლოფები, ელექტროტექნიკის შესაფუთი ყუთები და სხვა.
- **აკვარელის საღებავები**.
- **გუაშის საღებავები** – სასურველია, ყოველი აქტივობისთვის განაწილეს პლასტმასის პალიტრებზე (1 კოლოფი ეყოფა 20 მოსწავლეს). თუ მოსწავლეები პირდაპირ ქილებიდან იხმარენ საღებავს, ქილებში ფერები სხვა ფერის საღებავით დაისვრება და სახმარად უვარგისი გახდება).
- **პალიტრები** – ყოველ მოსწავლეს, საღებავების შესაზავებლად უნდა ქონდეს ინდივიდუალური პალიტრა ან ერთჯერადი პლასტმასის თეფში.
- **ღრუბელი** – სხვადასხვა ფაქტურის მისაღებად.
- **ფუნჯები** – საღებავებით სახატავად სასურველია სქელი და წვრილი მრგვალი ფუნჯებით მუშაობა; წებოსთვის კი შედარებით უხეში ფუნჯის გამოყენება.
- **უბრალო ფანქარი** – რბილი – 2–4B.
- **ფლომასტერები** – (2 მოსწავლეზე 1 შეკვრა) სასურველია ჩალაგდეს ჭიქებში.
- **ფერადი ფანქრები**.
- **პასტელის ნაკრები**
- **სახაზავი** – სწორი და სამკუთხა.
- **მაკრატლები** – ბლაგვწვერიანი.
- **პლასტილინი და/ან თიხა** (ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს მარილიანი ცომით) + დაფა და პლასტილინის დანა.
- **წებო** – ქაღალდის საკანცელარიო მშრალი და თხევადი წებო (მარტივი აპლიკაციისთვის), თეთრი ემულსია (პვა) კოლაჟისა და კონსტრუირებისთვის (სასურველია განაწილდეს პატარა, თავსახურიან ქილებში). (ალტერნატივა – სახამებლის ფქვილისგან მოხარშული წებო).
- **წყლის ჭურჭელი ფუნჯების გასარეცხად** – ყოველ მოსწავლეს ინდივიდუალურად.
- **საქაღალდეები** – ყველა მოსწავლეს უნდა ქონდეს საკუთარი პორტფოლიო ნამუშევრების შესანახად. (შეგიძლიათ გადაკეცოთ დიდი ფორმატი, დაუწებოთ გვერდითა კიდეები და გაა-კეთებინოთ მოსწავლეებს ერთგვარი „ჯიბე“, რომლის ზედაპირსაც მოხატავენ ისე, რომ გვერ-დიგვერდ ჩალაგებული „ჯიბეებიდან“ ადვილად ამოიცნონ და აიღონ საკუთარი.
- **წინსაფრები და სამკლაურები** – გარდა იმისა, რომ იცავს ტანსაცმელს საღებავის ლაქებისგან, წინსაფარი განაწყობს მოსწავლეებს მუშაობისთვის.
- **ცელოფანი** – მერხების დასაცავად საღებავის, პლასტილინის, წებოს ლაქებისგან.
- **საშლელი, სათლელი**.
- **კონკრეტული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიური მასალა:** მაგ. ხის წვეტიანი ჩხირები (კბილის

საწმენდი), ბამბიანი ჩხირები (ყურის საწმენდი), ასანთის ღერები. მარცვლეული, ქსოვილები, ძაფები, ღილები, მძივები, ფოთლები, გირჩები, კენჭები...) – მოსწავლეებს მოაქვთ სახლიდან, დანარჩენი მასალა კი სასურველია, ინახებოდეს კლასში.

- თუ კლასში არ არის ონკანი, მასწავლებელს მოუწევს სუფთა წყლის მომარაგება, (რათა მოსწავლეებმა ხშირად გამოცვალონ ფუნჯის ნარეცხი წყალი, რომელიც მალე შავდება, აფუჭებს ნამუშევარს და მოსწავლეებმა გაკვეთილის დროს არ ირბინონ სკოლის დერეფანში წყლის გამოსაცვლელად); ასევე, მასწავლებელს დასჭირდება რაიმე მოზრდილი ჭურჭელი ჭუჭყიანი წყლის გადასაღვრელად.

სხვა მასალა:

აკრილის საღებავები – რადგან აკრილის საღებავი სწრაფად შრება და გუაშისა და აკვარელისგან განსხვავებით, მშრალი წყალში აღარ იხსნება, მისი გამოიყენება მოსახერხებელია სხვადასხვა ნაკეთობის შესაღებად (აკრილის საღებავი შეიძლება შეიცვალოს პვა წებოში გახსნილი გუაშით).

მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერი აქტივობის მასალაში შეიტანოს საკუთარი კორექტივები. აქტივობების უმეტესობის მასალის ჩამონათვალში იგულისხმება გარკვეული ალტერნატივები: პლასტილინი შეიძლება შეიცვალოს მარილიანი ცომით, ფერადი ქაღალდების ნაცვლად შეიძლება ფერადი ჟურნალებიდან ამოჭრილი გვერდების გამოყენება; მოსწავლეებმა, მძივების, ნაცვლად შეიძლება იხმარონ გაფერადებული წვრილი კენჭები, პატარა ღილები, ბრინჯი, წვრილად დაჭრილი ნაძვის ხის წვიმა... მასწავლებელმა უნდა წააქეზოს მოსწავლეები, რათა მათ თავად მოიძიონ, მოიფიქრონ, გამოცადონ და გამოიყენონ სხვადასხვა უჩვეულო მასალა.

სავარჯიშო რვეულები

რვეული ან უბის წიგნაკი (სასურველია უჯრებიანი ფურცლებით), რომელშიც მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობის დროს სამახსოვროდ ჩაიწერს ახალ ტერმინებს, სახელებს, საშინაო დავალებებს, მომდევნო გაკვეთილისთვის მოსატან მასალას... გააკეთებს სავარჯიშოებს, ჩახატავს პატარა ესკიზებს; ექსკურსიებზე მოსწავლეები ამ რვეულში ჩაინიშნავენ შთაბეჭდილებებს, გაჩენილ შეკითხვებს, ჩაწერენ საკუთარ მოსაზრებებს, გააკეთებენ ჩანახატებს; ჩაინიშნავენ რეფერატებს მოცემულ თემაზე, დაწერენ პასუხებს შემაჯამებელ კითხვებზე და სხვ.

სავარჯიშო რვეულების წარმოება დაეხმარება მოსწავლეებს დაიმახსოვრონ და შეაფასონ ნანახი თუ შესწავლილი, შეძლონ აზრების და იდეების წერილობით გამოხატვა, მიაჩვევს მათ ორგანიზებულობას. როდესაც მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს რაიმე თემაზე სავარჯიშო რვეულებში საკუთარი მოსაზრების წერილობით გამოხატვას და შემდეგ ჩანაწერის კლასის წინაშე წაკითხვას, ამით მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვევს საჯაროდ, თამამად და გამართულად საკუთარი აზრის გამოთქმას.

დროის ორგანიზება:

იმისთვის, რომ გაკვეთილის დრო მთლიანად დაეთმოს აქტივობას, სასურველია, მოსწავლეებს სამუშაო მასალა გამზადებული დახვდეთ გაკვეთილის დაწყებისთვის.

დროის მოგების მიზნით, სასურველია, გაკვეთილის დაწყებამდე, მასწავლებელმა დაფაზე ჩამოწეროს გაკვეთილის გეგმა – სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა და აქტივობის ინსტრუქციის ეტაპები. ასევე, შესასწავლი ტერმინები, სახელწოდებები და იმ ხელოვანების სახელები, რომლებზეც იქნება საუბარი გაკვეთილის მსვლელობის დროს.

იმისთვის, რომ მოსწავლემ კარგად დაიმახსოვროს ახალი ტერმინები, ამ ასაკში თითოეულ გაკვეთილზე მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3-4-ს. გარდა ამისა, აუცილებელია მომდევნო გაკვეთილებზე ამ ტერმინების ხშირი ხმარება, მაგრამ არა გამოკითხვის სახით, არამედ კონტექსტში.

თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ აქტივობის შესასრულებლად მოსწავლეებს შესაძლოა გაკვეთილის დრო არ ეყოთ, მას შეუძლია თეორიული ინფორმაცია მათ დავალების შესრულების პროცესში (ხატვის, ძერწვის დროს) მიაწოდოს.

p.s. მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ საკუთარ ნამუშევარზე წარწერის – სახელის, გვარის და თარიღის გაკეთებას (უკანა მხრიდან). როდესაც მოსწავლეები აკეთებენ ასლს – იხატავენ, ძერწავენ სხვის ნაწარმოებებს, საკუთარი სახელის გვერდით აუცილებლად უნდა დაწერონ ორიგინალი ნამუშევრის ავტორის სახელიც.

p.p.s. შევახსენებთ მასწავლებელს, წლის დასაწყისში და დასასრულს დაახატინოს მოსწავლეებს ტრადიციული ავტოპორტრეტები „ზრდის ქრონიკის“ ალბომისთვის.

ხელოვნება იძლევა შეკავებული, ხშირად გაუცნობიერებელი გრძნობების გამოხატვის საშუალებას. ყოველ მოსწავლეს აქვს თავისი პატარა პრობლემები და იშვიათია ბავშვი, რომელმაც, თუ თავისუფლება იგრძნო, არ გამოავლინოს ისინი ნამუშევარში. მასწავლებელმა არასდროს არ უნდა გააკრიტიკოს ერთი შეხედვით უცნაური, უშნო ნახატი. თუ მასწავლებელი შენიშნავს უცნაურ ნიშანს, უნდა დააკვირდეს, მეორდება თუ არა ის და მერე დელიკატურად შეეკითხოს მოსწავლეს, თუ რა და რატომ დახატა. მასწავლებელმა არ დაუწყოს მოსწავლეს იმის ახსნა, რომ სინამდვილეში მზე ყვითელია, სახლს კი სახურავი სჭირდება – მოსწავლემ ეს ისედაც იცის. მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეს სავარჯიშო რვეულში ჩაწეროს, თუ რა დახატა (დაწეროს საკუთარი ნახატის აღწერა. ეს ერთგვარი თერაპიაა) – წერის დროს მოსწავლემ შესაძლოა თავისთვის რაღაც დასკვნა გამოიტანოს და გააცნობიეროს განცდა. ასეთი ჩანაწერის წაკითხვა მასწავლებლისთვის არ არის სავალდებულო, მეტიც, თუ მოსწავლეს ეცოდინება, რომ მის ჩანაწერს არავინ წაიკითხავს, იგი უფრო თავისუფლად ჩამოაყალიბებს საკუთარ აზრს თუ პრობლემას.

შეფასება

მე-3 კლასში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. იგი ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

წლის ბოლოს საგნის მასწავლებელი კლასის დამრიგებელს გადასცემს მოსწავლის მოკლე წერილობით შეფასებას, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

მოსწავლეები ფასდებიან ერთნაირი წონის მქონე შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., პროექტში მონაწილეობა, კვლევის ჩატარება, ნამუშევრის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.).

თითოეული მასწავლებელი კათედრას წარუდგენს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაციას: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

შემაჯამებელი დავალებები

დანართში გთავაზობთ ორ შემაჯამებელ დავალებას.

პირველი შემაჯამებელი დავალება უნდა ჩატარდეს პროექტის – „არქიტექტურა“ დასასრულს (იხ.: თვითშეფასების ფორმები).

მეორე შემაჯამებელი სამუშაოსთვის მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეურჩიოს მოსწავლეებს რეპროდუქციები და მისცეს ვადა პრეზენტაციის მოსამზადებლად. დავალება ითვალისწინებს ხელოვნების რომელიმე ცნობილ ნამუშევარზე საუბარს. კლასის საერთო მონაცემების მიხედვით, შემოთავაზებული სავარაუდო კრიტერიუმებიდან მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს სამი ყველაზე აქტუალური, რადგან მესამეკლასელებს უჭირთ კონცენტრაცია მეტ მოთხოვნაზე. გთავაზობთ სავარაუდო კომენტარებისა და რეკომენდაციების ნიმუშებს, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია ჩაასწოროს ან შეცვალოს ტექსტში დასმული აქცენტები (იხ.: დანართი).

გაკვეთილის/თემის ბოლოს დასასმელი შემაჯამებელი შეკითხვები:

ხელოვნების შესახებ:

- რატომ კიდებენ ადამიანები კედლებზე სურათებს?
- თქვენ გიკიდიათ კედელზე სურათი? რას გრძნობთ, როდესაც მას უყურებთ?
- რატომ არსებობს ხელოვნების მუზეუმები, გალერეები, საგამოფენო დარბაზები?
- რატომ მოგზაურობენ ადამიანები უცხო ქვეყნებში ხელოვნების ძეგლების და მუზეუმების სანახავად?
- რისთვის არის საჭირო ხელოვნება?
- რაში გვეხმარება ხელოვნება?
- როგორ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ გარემო (ოთახი, შენობა, უბანი, ქალაქი) ხელოვნების მეშვეობით?
- რას გვიამბობს ხელოვნება ცხოვრების შესახებ?
- როგორი იქნებოდა სამყარო ხელოვნების გარეშე?
- სახვითი ხელოვნების რა დარგები/ჟანრები არსებობს? რომელი მოგწონთ მეტად? რომელი მოგწონთ ნაკლებად? რატომ?
- ხელოვნების რომელ დარგებს ესაჭიროება მხატვრის პროფესია?
- რომელ არასახელოვნებო დარგებს სჭირდება მხატვრის პროფესია?
- რისთვის არის საჭირო გამოყენებითი ხელოვნება?
- გამოყენებითი ხელოვნების რა დარგები არსებობს?
- ხელოვნებით დაკავებული ადამიანი შრომობს თუ ერთობა?
- როგორ ხდებიან ხელოვანები?
- რატომ არის ხელოვნება ასე განსხვავებული სხვადასხვა ქვეყანაში?
- შეიძლება ხელოვნების ნაწარმოები იყოს უშნო?
- რას ნიშნავს შემოქმედებითობა?
- როგორ დაგეხმარება ხელოვნება სხვა საგნების სწავლაში?
- როგორ უნდა გამოგადგეს სხვა საგნებში ნასწავლი საკუთარ შემოქმედებაში? გქონიათ ასეთი შემთხვევა?

საკუთარი ნამუშევრის შესახებ:

- საიდან მოგივიდა ეს აზრი?
- რა გამოსახე შენს ნამუშევარში?
- რას გრძნობ, როცა ნამუშევარს ქმნი?
- ნამუშევრის შექმნამდე იფიქრე თუ არა წინასწარ, რა მასალა მოუხდება მეტად შენს ჩანაფიქრს (ფანქარი, პასტელი, ნახშირი, ცარცი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, თიხა...)
- რა მასალა იხმარე ნამუშევრის შექმნისას? რატომ?
- რა ფერები შეარჩიე დასახატად და რატომ?
- ქაღალდის როგორი ორიენტაცია (ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური) აირჩიე და რატომ?
- რა დრო მოანდომე მუშაობას?
- მოგწონს შენი ნამუშევარი?
- აქამდე გაგიკეთებია მსგავსი სამუშაო? რა გამოცდილება შეიძინე მაშინ?

- რა გამოცდილება დაგეხმარა ამ ნამუშევრის შექმნისას?
- რისი ცოდნა დაგჭირდა ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?
- რა უნარები დაგჭირდა ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?
- ნამუშევრის შექმნისას, გაითვალისწინე მეგობრების აზრი?
- ნამუშევრის შექმნისას გაითვალისწინე მასწავლებლის რჩევა?
- ამ სამუშაოსთან დაკავშირებით, რას აპირებდი? რა მოლოდინი გქონდა?
- გამოგივიდა ის, რასაც აპირებდი თუ რაიმე შეცვალე?
- რამდენად შეიცვალა შენი ნახატი ჩანაფიქრიდან საბოლოო, დასრულებულ ნამუშევრამდე? რა შეცვალე და რატომ?
- თავიდან რომ აკეთებდე, რას შეცვლიდი?
- რა ცოდნა შეიძინე მუშაობის დასრულებისას?
- რა უნარები შეიძინე და განივითარე ამ ნამუშევარზე მუშაობისას?
- რა იყო მუშაობისას ყველაზე რთული? ადვილი?
- რა გამოგივიდა კარგად, რა გაგიჭირდა?
- როგორ შეაფასებდი ამ ნამუშევარს?
- გინდა, რომ შენი ნამუშევარი გამოიფინოს?
- ნამუშევრის შექმნისას რომელი ეტაპი გიხარია/გსიამოვნებს ყველაზე მეტად – პროცესი თუ შედეგი? რატომ?

გაკვეთილის/თემის შესახებ:

- დაგაინტერესათ დღევანდელმა თემამ?
- რა დაგამახსოვრდათ დღევანდელი გაკვეთილიდან?
- რითი განსხვავდებოდა დღევანდელი გაკვეთილი სხვა გაკვეთილებისგან?
- გაქვთ თუ არა შენიშვნები გაკვეთილის მსვლელობის თაობაზე?
- ვინ ეთანხმება კლასის/მეგობრის მოსაზრებას? ვის აქვს განსხვავებული აზრი? ემთხვევა თუ არა თქვენი აზრი სხვა მოსაზრებებს?
- შეგვიძლია სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს?
- ეთანხმები თუ არა მასწავლებლის მოსაზრებას?
- ვინმე ხომ არ დაუმატებდა რამეს?
- როგორ შეიძლება გავიგოთ, სწორია თუ არა ჩვენი აზრი?
- რა დაგეხმარათ შემოწმებაში/ამ პრობლემის გადაჭრაში?
- რა დაგეხმარათ დამახსოვრებაში/სწავლაში?
- მიუბრუნდით მეწყვილეს და გაუზიარეთ, რა ისწავლეთ დღევანდელ გაკვეთილზე.
- კიდევ რა გაინტერესებთ ამის შესახებ? მიუბრუნდით თქვენს მეწყვილეს და გაუზიარეთ თქვენი ინტერესი.
- კიდევ რა ინფორმაცია გვჭირდება?
- კიდევ რა უნარები გვჭირდება?
- მე შევამჩნიე, რომ... თქვენ რა შეამჩნიეთ?

ცნობარი:

ძირითადი ტერმინები და მათი განმარტება:

ხელოვნების დარგები და სახეობები: სახვითი ხელოვნება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, კინო, თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა, ქორეოგრაფია, არქიტექტურა.

სახვითი (პლასტიკური) ხელოვნების დარგები:

ფერწერა – დარგი, რომელშიც გამოსახულება საღებავის მეშვეობით იქმნება.

გრაფიკა – დარგი, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება (მაგ., ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა.შ.)

ქანდაკება – სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების ძერწვისა და კვეთის ხელოვნება;

არქიტექტურა – დაგეგმარებისა და მშენებლობის ხელოვნება

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგები: ყველა დარგი, რომელიც ქმნის დიზაინით გამორჩეულ სააყოფაცხორებო დანიშნულების ნაკეთობებს – ავეჯს, ქსოვილებს, ჭურჭელს, იარაღებს, ტანსაცმელს, სხვადასხვა სახის მოსართავებს და სხვ.

ჟანრები:

პორტრეტი – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოსახულება.

პეიზაჟი – ბუნების ან ქალაქის ხედი.

ნატურმორტი – უსულო საგნების ამსახველი ჟანრი.

ყოფითი ჟანრი – ყოველდღიური ყოფის ამსახველი ჟანრი.

ისტორიული ჟანრი – ისტორიული პირებისა და მოვლენების ამსახველი ჟანრი.

რელიგიური ჟანრი – რელიგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.

მითოლოგიური ჟანრი – მითოლოგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.

ანიმალისტური ჟანრი – ცხოველების ამსახველი ჟანრი.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წლიური პროგრამა

III კლასი – წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ს.გ.III.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ჩანაფიქრის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. წარმოსახვით, ფანტაზიით ქმნის სიუჟეტებს, პერსონაჟებისა და საგნების გამოსახულებებს;
2. მოსწავლე აკვირდება გარემოში ობიექტებს, მოვლენებს და ასახავს მიღებულ შთაბეჭდილებებს;
3. ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ხაზი, ფერი, მასალა) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილებების და ემოციის გადმოსაცემად;
4. იყენებს სხვადასხვა სისქის კონტურს;
5. იყენებს ძირითად, შედგენილ, ცივ და თბილ ფერებს;
6. აკვირდება გარემოში არსებულ ფორმათა მრავალფეროვნებას და ასახავს ნამუშევარში (გეომეტრიულს და ბუნებაში არსებულს, ორ- და სამგანზომილებიანს);
7. სხვადასხვა ხერხით (ფორმით, ზომით, ფერით) გამოყოფს ნამუშევარში მთავარს;
8. ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ გამოსახულებებს, ფორმებს;
9. ქმნის მარტივ ორნამენტებს განმეორებადი ხაზების, ფერების და გეომეტრიული ფიგურებისგან.

ს.გ.III.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გამოყენების უნარის განვითარება და გაღრმავება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით ქმნის პეიზაჟებს, ნატურმორტებს, პორტრეტებს;
2. ქმნის მცირე პლასტიკის ნიმუშებს, მარტივ კომპოზიციებს და კონსტრუქციებს, სხვადასხვა ნივთებს ხელოვნური და ბუნებრივი მასალის გამოყენებით;
3. ძერწავს გამოსახულებებს თიხის, პლასტილინის და სხვა საძერწი მასალის გამოყენებით;
4. ქმნის გარემოში არსებული განსხვავებული ფაქტურის იმიტაცია/ილუზიას;
5. კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ქმნის ნამუშევრებს (იყენებს სხვადასხვა ტიპისა და სისქის ხაზს, კონტურს, ფერს; გამოსახავს ორგანზომილებიან ფორმებს, მარტივ ორნამენტებს, სიმეტრიულ და ასიმეტრიულ გამოსახულებებს).

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.III.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შეასრულოს სამუშაო.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ერთობლივი მუშაობისას (ღონისძიებაში მონაწილეობა, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს;
2. უსმენს და ითვალისწინებს მასწავლებლის ინსტრუქციას, რჩევას/მითითებას;
3. ელექტრონულად უგზავნის საკუთარ ციფრულ ნამუშევარს როგორც თანაკლასელებს, ისე მასწავლებელს;
4. მონაწილეობს საკლასო და სასკოლო გამოფენაში, ზეიმში და მათ მომზადებაში;
5. მხარს უჭერს და ამხნევებს თანაკლასელებს სხვადასხვა სასწავლო ღონისძიების მომზადების, ჩატარებისა თუ ერთობლივი ნამუშევრის შექმნისას.

ს.გ.III.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის გამოთქმა საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრების შესახებ ელემენტარული ტერმინოლოგიის გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის შესახებ, გამოყენებულ ფერებზე, მასალაზე, ტექნიკაზე და სხვ.;
2. სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (რა მოსწონს ან არ მოსწონს, რა არის გამოსახული და სხვ.);
3. საუბრისას იყენებს ელემენტარულ ტერმინებს (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., გამოვიყენე ტეხილი ან კლაკნილი ხაზი და სხვ.);
4. უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს (მაგ., ნამუშევრის შინაარსთან დაკავშირებით);
5. პატივს სცემს საკუთარ და სხვის ნამუშევარს;
6. ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევებს თანაკლასელებს.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.III.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგების, ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ჩამოთვლის და ამოიცნობს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებს (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, კერამიკა, ტექსტილი და სხვა);
2. ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი);
3. ხელოვნების ზოგიერთ ცნობილ ნიმუშს მიაკუთვნებს მათ შესაბამის დარგს, ჟანრს და საუბრობს საკუთარ დამოკიდებულებაზე (რომელი მოსწონს, რატომ);
4. ასახელებს და ახასიათებს დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს (კომპოზიტორი, მხატვარი, რეჟისორი და ა.შ.);
5. აგროვებს ინფორმაციას მის რეგიონში მდებარე (ქალაქი, სოფელი, დასახლება) არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს;
6. საუბრობს საოპერო, საბალეტო, თეატრალურ წარმოდგენებზე (დეკორაციები, კოსტიუმები, შინაარსი);
7. საუბრობს და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას მისთვის ნაცნობ საყვარელ ანიმაციურ

და მხატვრულ ფილმებზე, ელექტრონულ საგანმანათლებლო თამაშებზე, ილუსტრირებულ წიგნებზე და საუბრობს, რატომ მოსწონს ესა თუ ის ანიმაციური თუ მხატვრული ფილმი, გმირი, მუსიკა/სიმღერა და ილუსტრაცია;

8. ასახელებს ნამუშევარს, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას;
9. სვამს კითხვებს ნამუშევარში ასახული საგნების, ადამიანებისა და მოვლენების შესახებ, საუბრობს შინაარსზე, მასში გამოხატულ განწყობილებაზე და მიღებულ შთაბეჭდილებაზე;
10. აკავშირებს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შინაარსს (მაგ., წელიწადის დროები) სხვა საგნებში ნასწავლ მასალასთან (მაგ., ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციასთან, მუსიკალურ ნაწარმოებთან, რომელიც მუსიკის გაკვეთილზე მოისმინა, ქართული ლიტერატურის ნიმუშებთან-ლექსი, მოთხრობა და სხვა).

შინაარსი და რეკომენდაციები

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები

ელემენტები:

ხაზი: სხვადასხვა ტიპის და სისქის ხაზი, კონტური.

აქტივობები ხაზით:

მოსწავლე ჩანაფიქრის, გუნება-განწყობის და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს ნამუშევრების შესაქმნელად (ცდილობს გადმოსცეს ხასიათი მსხვილი, წვრილი, მრუდი, განსხვავებული სისქის კონტურით და სხვა).

ფერი: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი ფერები.

აქტივობები ფერით:

მოსწავლე ჩანაფიქრის, გუნება-განწყობილების (ემოციების) (სიხარულს, მოწყენილობას, შიშს და სხვ.) გადმოსაცემად იყენებს ძირითად, შედგენილ, ცივ და თბილ ფერებს; გამოხატავს შესაბამისი ფერით წელიწადის დროებს, ამინდს, რაიმე მოვლენას და სხვა.

ფორმა: 2 და 3 – ბრტყელი და მოცულობითი, სიმეტრიული და ასიმეტრიული.

აქტივობები ფორმით:

მოსწავლე ამოიცნობს სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ფორმებს და იყენებს ნამუშევრის შექმნისას (ადამიანის მიერ შექმნილ და ბუნებაში არსებულ სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ფორმებს; მაგ., სიმეტრიული – პეპელა, ნაგებობა და სხვ.; ასიმეტრიული – ნაგებობა, რაიმე ნივთი, მცენარე და სხვ.), თავად ქმნის ორ და სამგანზომილებიან – ბრტყელ და მოცულობით ფორმებს და აწყობს კონსტრუქციებს; თიხით, პლასტილინით, ცვილით, ცომის გამოყენებით ძერწავს მცირე პლასტიკის ნიმუშებს და ქმნის კომპოზიციას, კონსტრუქციას, სხვადასხვა საგანს.

პრინციპები: ძირითადის გამოყოფა, რიტმი.

გამოყენებული პრინციპები:

მოსწავლე ქმნის ნამუშევარს მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ ან თავის მიერ შერჩეულ თემაზე, ან რაიმე ზღაპრის, ლიტერატურული ნაწარმოების, მხატვრული ან ანიმაციური ფილმის და ა. შ. სიუჟეტის მიხედვით, რომელშიც ფერით, ფორმით ზომით გამოყოფს მთავარ პერსონაჟებს.

ეცნობა ქართულ ტრადიციულ და სხვა ორნამენტების ნიმუშებს და თვითონაც ქმნის რიტმულ

გამოსახულებებს, ორნამენტებს სხვადასხვა ტიპისა და სისქის ხაზის, ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი ფერების, გეომეტრიული და ბუნებრივი ფორმების გამოყენებით და მათი მონაცვლეობით/კომბინაციებით.

მუქი და ნათელი ფერების გამოყენებით ქმნის კონტრასტულ გამოსახულებებს, შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ შავი და თეთრი ფერები.

მასალა და იარაღი: ფანქარი (ფერადი, უბრალო), პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, პლასტილინი, თიხა, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა (ფოთოლი, გირჩა, მარცვლეული, ნიჟარა, მძივები, ლენტები და სხვ.); ფუნჯი, მაკრატელი, წებო; მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მის რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსი (მაგ., ზღვისპირა რეგიონში – ნიჟარა, კენჭები, მთის რეგიონში – გირჩა, ხავსი, ხის ქერქი და სხვ.).

ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, მონოტიპია, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვ.

გამოყენებული მასალა და ტექნიკა:

მოსწავლე მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის შესაძლებლობების კვლევა-ძიებით, ექსპერიმენტებით განიმტკიცებს და იღრმავებს მიღებულ ცოდნას და გამომუშავებულ უნარებს. აკვირდება გარემოში სხვადასხვა ფაქტურას და თავად იღებს მრავალფეროვანი მასალისა და ხერხის გამოყენებით, ცდილობს გადმოსცეს გარემოში/ბუნებაში არსებული სხვადასხვა ობიექტის ფაქტურის (მაგ., ხის, ქერქის, კუს ბაკნის და სხვ.) იმიტაცია/ილუზია.

ატარებს ექსპერიმენტებს არატრადიციული იარაღით და მასალით; იყენებს მრავალფეროვან ხელოვნურ თუ ბუნებრივ მასალას გრაფიკული, ფერწერული, აპლიკაციის, კოლაჟის, ანაბეჭდების, მცირე პლასტიკის ნიმუშების, მარტივი ნაკეთობებისა და კონსტრუქციების შესაქმნელად; ქმნის ნამუშევრებს მონოტიპიის გამოყენებით (სველი საღებავებით მოხატულ ფურცელზე ან სწორ ზედაპირზე ზემოდან აფარებს ფურცელს, შემდეგ, ერთი მოძრაობით ან თანდათან, ინტერვალებით ააძრობს მას. მიღებულ ანაბეჭდში შეიძლება ამოიცნოს რაიმე ფორმები, მიამსგავსოს რაიმე გამოსახულებას და მიუხატოს დეტალები).

სავარაუდო თემები: „მხიარული არდადეგები“, „ზღვაზე“, „მზის ჩასვლა“, „წვიმიანი დღე“, „ხედი ჩემი ფანჯრიდან“, „შემოდგომის ტყე“, „საშობაო საჩუქარი“, „გაზაფხული მოვიდა“, „ზღაპრული ფრინველი“, „თეატრში“, „მოგზაურობა აფრიკაში“, „ჯუნგლები“, „მოგზაურობა მატარებლით/თვითმფრინავით“, „მოგზაურობა კოსმოსში“, „ოცნების ქალაქი“, თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით; ეპიზოდები და პერსონაჟები მხატვრული ლიტერატურიდან და სხვ.

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

თემები და გაკვეთილები	სასწავლო დროის ხანგრძლივობა	სტანდარტის მიმართულებები და შედეგები				
		შემოქმედებითობა და პრაქტიკა		კომუნიკაცია ინტერპრეტაცია	კომუნიკაცია და ინფორმაციის ძიება	ხელოვნების ადგილი კონტექსტში
		1. მოსწავლეს უნდა შეძლოთა საკუთარი აზრი ჩანაფიქრის, გრძნობა-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შეხედულებების ნაწილურად ან სრულად ბეჭდვითი ტექსტების აბზაცი ნაწილურად ან ეროტიკულ და პროფესიულ ტექსტებში გამოყენების გამოცდილების.	2. მოსწავლეს უნდა შეძლოთა სხვადასხვა მასალის (ტექსტის და ფოტოსურათების) გამოყენების უნარის გამოყენება და ინფორმაციის ძიება.	3. მოსწავლეს უნდა შეძლოთა თანაკლასელების (წყვილი, გუნდი) შესაბამისი საქმიანობა.	4. მოსწავლეს უნდა შეძლოთა ინტერვიუირება და ეთიკური ნაწილობრივ შეკვეთილ ნარკვევა; ხმის გამოთქმა საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნაწილურად შესაბამის ელექტრონულ ტექსტებზე გამოყენებით.	5. მოსწავლეს უნდა შეძლოთა სხვადასხვა გამოყენებითი ხელოვნების ადგილი, ზოგადად ყოფის გამოხატვა ინტერესებ ეთიკურად, თათა დაკავშირებული ყოველდღიურად ცხოვრებასან და სხვა საგნებში გამოყენებულ შესაბამის გამოყენებ
თემა 1: შესავალი						
1. რა არის შემოქმედება?	1	X				
2.არს ლონგა	1	X	X	X		X
თემა 2: მხატვრობა						
3. ფერების სახელები	1	X				
4.კომიქსი (ზღაპარი ფერად ლაქებზე)	2/3	X	X	X	X	
6. ცისარტყელა	1	X	X			
7. კონტრაფერი	2	X				
8. ფერი და განწყობა	1	X			X	
9. რუხი	2/3	X				
10. დღე და ღამე	1	X	X			
11. შემაჯამებელი გაკვეთილი	1	X		X		

		1	2	3	4	5
12. წელიწადის ოთხი დრო	1	X	X		X	
13. კომპოზიცია ფოთლებით	2		X	X		
14. ყვითელი	1			X	X	X
15. მხატვარი და გარემო	1	X			X	
16. გრაფიკა და პლაკატი	2	X		X	X	X
17. შტრიხი	1	X	X			
18. ეშერის მოზაიკური სამყარო	2	X				
19. ლეონარდოს იგავი	1	X			X	X
20. თხზულება სიზმარი	1				X	X
თემა 3: ჟანრები						
21. რას გვიამბობს სურათი	2			X	X	X
22. ქალაქის პეიზაჟი	1	X	X		X	X
23. იაპონური პეიზაჟი	1	X	X	X		
24. ზამთრის პეიზაჟი	1	X	X		X	
25. პორტრეტი და ავტოპორტრეტი	1/2	X	X		X	X
26. ფიროსმანის პორტრეტი	1	X			X	X
27. ნატურმორტი	1	X	X		X	
28. სურბარანის ნატურმორტები	3	X	X			X
29. ყოფითი ჟანრი	1	X	X		X	X
30. იპოვე განსხვავება	1		X			X
თემა 4: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება						
31. ორნამენტის ისტორია	1	X				
32. პორტრეტი ჩარჩოში	1	X	X			
33. ბერძნული ლარნაკი	1	X				
34. მანდალა	2/3	X	X	X		
35. ლურჯი სუფრა	1/2	X				X

		1	2	3	4	5
36. ნოხი და ფარდაგი	2	X				
37. ჩალის თოჯინა	1	X			X	X
38. ნეცკე	1	X	X			
39. აპლიკაცია მატისის ზღვა	1	X	X	X		
თემა 5: ისტორიები						
40. პირველი მხატვრები	1	X	X			X
41. მზერა შუამდინარეთიდან	1	X	X			X
42. ინტერვიუობანა	1				X	X
43. ველასკესის ინფანტა	1				X	X
44. მატარებელი	1	X	X	X		
45. ჯადოსნური სატრიალო	1		X			X
46. ანიმაცია	1	X				X
თემა 6: პროექტი						
47. არქიტექტურა	8					X
თემა 7: დღესასწაულები						
48. შობა-დღესასწაული	1	X	X			X
49. ნაძვისხე	1	X	X	X		
50. ფაქტურა	1	X	X		X	
51. ქალთა დღე	1	X	X			X
52. კალათა	1		X			
53. ციფრული ნახატი (დელფინები)	1		X	X		

გაკვეთილების სცენარები

შესავალი გაკვეთილები

რა არის შემოქმედება?

მიზანი:

წინა წლის გამოცდილების გახსენება;
მიმდინარე წლის მიზნების დასახვა;
შთაბეჭდილების გაზიარების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 1
ს.გ.III.3. – 2
ს.გ.III.4. – 2
ს.გ.III.5. – 3, 8

ვიზუალური მასალა:

იხ. რესურსებში

მასალა:

კონუსის ფორმის „ფიქრის ქუდი“, ფართო სტიკერები (თითოს 2-2), სახატავი ფურცელი, მასალა მოსწავლის არჩევანის მიხედვით.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელმა მუყაოსგან წინასწარ უნდა დაამზადოს კონუსის ფორმის „ფიქრის ქუდი“.

ქუდი ერთია. ამიტომ, ხმამაღლა ფიქრობს მხოლოდ ის, ვისაც ქუდი ახურავს. ქუდი გადაეცემა მას, ვინც ხმამაღლა ფიქრის ნებას ხელის აწევით და ხმის ამოუღებლად მოითხოვს.

მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს დასმული კითხვების გააზრებაში:

- როგორ მოგდით აზრი, რა დახატოთ ან გამოძერწოთ? იქნებ ლამაზი პეპელა, მუხლუხო ან ღრუბელი დაინახეთ და მისი დახატვა მოგინდათ?
- რას გრძნობთ, როდესაც გატაცებით ხატავთ ან ძერწავთ, სადილად გეძახიან, თქვენ კი საქმეს ვერ წყდებით?
- არდადეგებზე ბევრ საინტერესო რამეს ნახავდით – ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს, ტაძარს, მუზეუმს, ქანდაკებას, უჩვეულო ნივთს ან ნახატს. ან იქნებ ნახეთ ოსტატი, რომელიც ფარდაგს ქსოვს, ლამაზი დოქი ამოჰყავს თიხით ან ხეზე ჩუქურთმას თლის?
- ქვიშის კოშკები ხომ არ აგიგიათ? ნიჟარების მძივი ხომ არ ააწყვეთ? ან ნაფოტის ნავზე ფოთლის აფრა დაამაგრეთ და მდინარეს გაატანეთ?
- მიხვდით, რომ ეს ყველაფერი შემოქმედებაა?
- ზაფხულის განმავლობაში, რამ მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება, რა მოგეწონათ ან არ მოგეწონათ, რისგან განიცადეთ აღტაცება ან აღშფოთება, რაზეც შეგიძლიათ ნახატით გვიამბოთ?

ბოლო ორ კითხვაზე პასუხის გასაცემად მასწავლებელი ყოველ მოსწავლეს ურიგებს სტიკერს. უკანა მხარეს მოსწავლეები აწერენ საკუთარ სახელსა და გვარს. მასწავლებელი დამატებითი კითხვებით ეხმარება – რა გახსოვთ ფერების, ხაზების, ფორმების შესახებ? რომელიმე ხელოვანი თუ დაგამახსოვრდათ და რითი? რომელი ტექნიკა მოგეწონათ ყველაზე მეტად და ა.შ. შემდეგ მასწავლებელი შეაგროვებს პასუხიან სტიკერებს, და ფოთლებივით მიაკრავს დაფაზე, წინასწარ დახატულ „მოლოდინების ხეზე“ (შარშანდელი გამოცდილებისას ქვედა ტოტებზე, მიმდინარე წლის მოლოდინებისას – ზედა ტოტებზე) და კითხულობს ხმამაღლა (სახელისა და გვარის დასახელების გარეშე. ვინაობას მხოლოდ ავტორის სურვილით გაამხელს). მასწავლებელი აკეთებს კომენტარებს მოსწავლეების ნაწერებთან დაკავშირებით.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას და ეხმარება იმის გააზრებაში, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნებასთან შეხებად.

აქტივობა:

მოსწავლეები რიგ-რიგობით, ხელის აწევით ირგებენ „ფიქრის ქუდს“ და მსჯელობენ პირველი კითხვების გარშემო. შემდეგ იხსენებენ და სტიკერებზე წერენ, 1. – რა დაამახსოვრდათ შარშანდელი გაკვეთილებიდან; 2. – რისი სწავლა სურთ წელს.

საშინაო დავალება:

მოსწავლეებმა უნდა დახატონ ნახატი, რომელზეც ასახავენ საზაფხულო არდადეგებზე საკუთარ შეხებას ხელოვნებასთან – ძეგლი (არქიტექტურული თუ სკულპტურული), რომელიც ნახეს; მუზეუმში ან სპექტაკლზე თუ იყვნენ, რა ნახეს; ვინმე ხელოვანს თუ შეხვდნენ და სხვ. შემდეგ გაკვეთილზე წარადგენენ ნახატს კლასის წინაშე (თუ ხელოვნებასთან შეხების ფაქტი ვერ გაიხსენეს, დახატონ ის, რამაც მათზე შთაბეჭდილება მოახდინა).

ARS LONGA, VITA BREVIS

მიზანი:

ერთობლივი ნამუშევრის შექმნა;

კონტრასტული ფერებით მარტივი ორნამენტის შექმნის უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 3, 4, 5, 9.

ს.გ. III.3. – 1, 2, 5.

ს.გ. III.4. – 1, 3, 5, 6.

ასათვისებელი ტერმინები:

ორნამენტი, კონტრასტული ფერები, კონტური

მასალა:

ერთი დიდი ფორმატი, A4 ფორმატის ფურცელი, უბრალო ფანქარი, ფერადი ფლომასტერები, მსხვილი შავი მარკერი, მაკრატელი, წებო.

ვიზუალური მასალა:

მოსწავლეთა ერთობლივი ნამუშევრის ნიმუში

ჰიპოკრატეს პორტრეტი

გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის კითხვის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ინსტრუქციას, ასრულებენ მითითებებს და ქმნიან ერთობლივ ნამუშევარს.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

ამ გამონათქვამში 18 ასოა და ორი სასვენი ნიშანი. თითო ბავშვს თითო ასო ერგება. მაგრამ თუ კლასში მეტნი ხართ, არც სხვები დარჩებიან უსაქმოდ – ისინი ორნამენტული ჩარჩოსთვის ზოლებს დაამზადებენ.

წინასწარ გაიხსენეთ, რა არის ორნამენტი – ორგანული ან გეომეტრიული ფორმების თანმიმდევრული გამეორება. გაიხსენეთ, რამდენნაირი ორნამენტი შეგიძლიათ გამოსახოთ – კოპლები, ზოლები (სწორი, ტალღოვანი, ზიგზაგისებური), კვადრატები, სამკუთხედები, ფიფქები, უჯრედები, ლაქები, ყვავილები და ა.შ.

- გაზომეთ ფორმატი და განსაზღვრეთ, A4 ფორმატის ქაღალდის სიგრძის რა რაოდენობის ზოლებია საჭირო, რომ ფორმატის ჩარჩო „შეიკრას“.
- დაჭერით A4 ფორმატის ქაღალდები 4 თანაბარ გრძივ ზოლად, გამოთვლილი რაოდენობის მიხედვით.
- შეთანხმდით ასოების ზომაზე (სიგანე, სიმაღლე და სიგანე), რომ ფრაზის ყველა ასო თანაბარზომიერი იყოს.

- თეთრ ფურცელზე სახაზავით მონიშნეთ ასოს ზომა და დახატეთ „მსუქანი“ ასო.
- უბრალო ფანქრით დახატეთ ასოს/ჩარჩოს ზოლის შიგნით სხვადასხვა ორნამენტი. ეცადეთ, თქვენი ორნამენტი განსხვავდებოდეს თანაკლასელთა მიერ დახატული ორნამენტებისგან. თუ აუცილებლად ისეთივე ორნამენტის დახატვა გსურთ, ეცადეთ, ფერებით მაინც განსხვავდებოდეს. არ არის აუცილებელი, ასო, რომელიც ფრაზაში მეორდება, a, s და i, ერთგვარი ორნამენტით იყოს შევსებული.
- როდესაც ფანქრით ორნამენტის ხატვას დაასრულებთ, დაფერეთ ისინი ფლომასტერებით. ეცადეთ, ორნამენტი ხალისიანი შეფერილობისა იყოს. თუ გსურთ, რომ ორნამენტი ფონზე მკაფიოდ იკითხებოდეს, გამოიყენეთ კონტრასტულ ფერთა წყვილები: წითელი-მწვანე, ნარინჯისფერი-ლურჯი, ყვითელი-იისფერი.
- როდესაც დაფერვას დაასრულებთ, შემოავლეთ ასოს კონტურს შავი მსხვილი მარკერი.
- გამოჭერით ასო მაკრატლით.
- დაალაგეთ ასოები დიდი ზომის ფორმატზე ისე, რომ ფრაზის სიტყვები თანაბრად განაწილდეს ზედაპირზე.
- დააწებეთ ასოები მათთვის შერჩეულ ადგილებზე.
- ფორმატის კიდეებზე დააწებეთ ორნამენტით შევსებული ჩარჩოს ზოლები.

თუ გულმოდგინედ იმუშავებთ, გპირდებით, თანასკოლელებს დიდხანს ემახსოვრებათ საკლასო ოთახის კედელზე გამოფენილი თქვენი ნამუშევარიცა და ჰიპოკრატეს ეს ფრაზაც.

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ გამონათქვამის ასოებს და აფორმებენ მათ სხვადასხვა ორნამენტებით.

ფერების სახელები

მიზანი:

ფერის სახელწოდების გარემოში არსებულ ფერებთან დაკავშირების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 2, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

ფერების სახელწოდებები

მასალა:

დაფა, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, უბრალო ფანქარი.

ვიზუალური მასალა:

ფერების ნიმუშები
მინერალების ფოტოები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, რა ფერები იციან და უკლებლივ ყველას, შენიშვნების გარეშე, ჩამოწერს დაფაზე (ბარბარიზმების ჩათვლით). შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში გაკვეთილის შესაბამის ტექსტს. მასწავლებელი სთავაზობს:

- ახლა მოდით, „ფერობანა“ ვითამაშოთ. რადგან საკლასო ოთახში სირბილი არ გამოვა, ცოტა სხვაგვარად მოგვიწევს თამაში. ჩაიწერეთ სახატავ რვეულში დაფაზე და წიგნში ჩამოწერილი, ფერების ქართული სახელწოდებები და გვერდით, ფერადი ფანქრებით, მიუხატეთ შესაბამისი ფერის პატარა უჯრები. ახლა დახურეთ რვეულები და წაშალეთ დაფიდან სიტყვები. წრეზე, რიგრიგობით, უნდა სწრაფად დაასახელოთ რაიმე ფერის სახელწოდება. თუ დააყოვნეთ, თამაშიდან გავარდებით. გამარჯვებული „დედა“ იქნება, დანარჩენები კი – ფერები.

აქტივობა:

მოსწავლეები სახატავ რვეულში ქმნიან ფერთა ცხრილს – მომცრო უჯრებში ხატავენ ფერებს ფერის ბორბლის თანმიმდევრობის მიხედვით ისე, რომ თითოეულ ფერის სხვადასხვა ელფერს რამდენიმე უჯრა შეესაბამებოდეს. აფერადებენ უჯრებს და გვერდით მიუწერენ სახელწოდებას.

კომიქსი; ზღაპარი ფერად ლაქებზე

მიზანი:

სახვითი ხელოვნების დარგების მრავალფეროვნების გაცნობიერება
ამბის ნახატებით გადმოცემის უნარის განვითარება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 3, 5.
ს.გ. III.5. – 7.

ასათვისებელი ტერმინები:

ილუსტრაცია,
კომიქსი

მასალა:

ზღაპრის ტექსტი ამობეჭდილი (ყოველ მოსწავლეს)
სახატავი ფურცლები,
უბრალო ფანქრები
ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები
მაკრატელი,
სკოჩი
სტეპლერი

ვიზუალური მასალა:

კომიქსების ნიმუშები

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები დაათვალიერებენ კომიქსის მაგალითებს. მასწავლებელი შეეკითხება მათ:

– რა ეწოდება ხელოვნების ამ დარგს?

– ხელოვნების რომელ დარგებს შეიძლება მივამსგავსოთ ასეთი ნაწარმოებები? მინიშნებისთვის, მასწავლებელს შეუძლია ჩამოთვალოს ხელოვნების დარგები: მუსიკას? კინოს? თეატრს? ნახატ ფილმს? ლიტერატურას? ფერწერას? გრაფიკას?.. და სწორი პასუხები: ნახატი ფილმი, ლიტერატურა, გრაფიკა დაწეროს დაფაზე).

„კომიქსი“ ნიშნავს სასაცილოს. ეს არის ხელოვნების დარგი, რომელშიც შერწყმულია გრაფიკა და ლიტერატურა, სადაც ნახატებითა და მათი თანმხლები მოკლე წარწერების მეშვეობით მოთხრობილია ამბავი.

- რა ნიშნით ჰგავს კომიქსი ნახატ ფილმს?

ნახატ ფილმს კომიქსი ჰგავს იმით, რომ ამბის ყოველი მოქმედება დახატულია ძალიან დაწვრილებით ნახატები კი „გახმოვანებულია“ წარწერებით.

- რა განსხვავებაა კომიქსსა და ილუსტრაციას შორის?

ლიტერატურული ნაწარმოების ილუსტრაცია არ ასახავს სიუჟეტის ყველა მომენტს და ნახატს არ უკეთდება წარწერები.

- რა ხერხით გადმოცემდნენ ადამიანები ამბებს დამწერლობის გამოგონებამდე?

გარდა ზეპირსიტყვიერი გადმოცემებისა, ადამიანები ამბებს ხატავდნენ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ, რა კომიქსები იციან, ყავთ თუ არა საყვარელი გმირი; და იკითხავს, დაუხატავთ თუ არა კომიქსის მსგავსად რაიმე ამბავი.

მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს ფურცლებს, რომლებზეც ზღაპარია ამობეჭდილი და წაუკითხავს მათ ტექსტს:

ზღაპარი ფერად ლაქებზე

1. ფერების ქვეყანაში ცხოვრობდა ყვითელი ლაქებისა და ლურჯი ლაქების ორი ოჯახი. ყვითლების ოჯახში ყველა ყვითელი იყო, ლურჯების ოჯახში კი – ყველა ლურჯი.
2. ლაქების ოჯახები მეგობრობდნენ და ხშირად საღამოობით ერთმანეთს სტუმრობდნენ. მანამ ყვითელი და ლურჯი მშობლები ჩაის მიირთმევდნენ, ყვითელი და ლურჯი შვილები ერთად თამაშობდნენ.
3. ერთხელ ყვითელმა და ლურჯმა მშობლებმა შვილები სანაპიროზე სასეირნოდ წაიყვანეს.
4. პატარა ლაქებმა ბევრი იჭყუმპალავეს, მერე ქვიშით კოშკები ააგეს...
5. მერე ბურთით თამაში წამოიწყეს. ყვითელმა ლურჯს ბურთი გადაუგდო.
6. ბურთი შორს გაგორდა და მეგობრები მის მოსაძებნად გაიქცნენ.
7. უეცრად ცა მოიღრუბლა, ძლიერმა ქარმა დაუბერა. ქარმა ქვიშა დაატრიალა და ყველაფერი ქვიშის ღრუბელმა დაფარა.
8. პატარებს შეეშინდათ, ქარმა არ წაგვიღოსო და ერთმანეთს ჩაეხუტნენ.
9. რაც უფრო ძლიერად უბერავდა ქარი, მით უფრო ეხუტებოდნენ ერთმანეთს მეგობრები.
10. შეშფოთებულმა მშობლებმა შვილების ძებნა დაიწყეს. ეძებს, ეძახის ლურჯი დედ-მამა პატარა ლურჯს და ვერ პოულობს.
11. ეძებს, ეძახის ყვითელი დედ-მამა პატარა ყვითელს და ვერ პოულობს.
12. ამასობაში ქარი ჩადგა და მშობლებმა პატარა, შეშინებული მწვანე ლაქა დაინახეს.
13. მწვანე ლაქამ ლურჯ მშობლებთან მიირბინა, მაგრამ ლურჯმა მშობლებმა გააგდეს – შენ არა ხარ ჩვენი შვილი, ჩვენი პატარა ლურჯია, შენ კი მწვანე ხარო.
14. პატარა მწვანემ ყვითელ მშობლებთან მიირბინა. იმათაც მოიშორეს – შენ არა ხარ ჩვენი შვილი, ჩვენი შვილი ყვითელია, შენ კი მწვანე ხარო.
15. პატარა მწვანე ლაქა გულამოსკვნით ატირდა.
16. ტიროდა პატარა მწვანე ლაქა და აქეთ-იქით ლურჯ და ყვითელ ცრემლებს ღვრიდა.
17. იმდენი იტირა, იმდენი, რომ სულ მთლად დაპატარავდა და გარშემო კი ცრემლების ორი დიდი – ყვითელი და ლურჯი გუბე დააყენა.
18. გუბეებმა ერთმანეთს გადახედეს, გახარებულები წამოხტნენ და თავ-თავიანთი მშობლებისკენ გაიქცნენ.

მასწავლებელი მიაქცევს მოსწავლეების ყურადღებას იმაზე, რომ ტექსტი დაყოფილია მონაკვეთებად. ყოველი მონაკვეთი უნდა დაიხატოს ცალკეულ ნახატად. მოსწავლეებს შეუძლიათ გააერთიანონ ან დაანაწევრონ მონაკვეთები.

ყოველი ნახატი იხატება ჩარჩოში და უკეთდება წარწერა.

წარწერები ნახატების ქვეშ, ან ნახატებზევე, „ღრუბელში“ უნდა ჩაიწეროს.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, მოუფიქრონ ამბავს სათაური და სურვილისამებრ დაამატონ ან შეცვალონ ამბის ფინალი;

მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეებმა უნდა დახატონ ყდა.

მოსწავლეები თავად გადაწყვეტენ, თუ რა ფერის „ოჯახებს“ დახატავენ.

ასევე, თავად გადაწყვეტენ, თუ რა მასალით შეასრულებენ ნამუშევარს, თუმცა, ლაქები უმჯობესია დაიხატოს საღებავებით, ხოლო სხვა დეტალები შეიძლება ფანქრებით ან ფლომასტერებით შესრულდეს.

აქტივობა:

1 გაკვეთილი

მოსწავლეები ხატავენ ზღაპრის ილუსტრაციებს (შესაძლოა, გაკვეთილზე ნახატები დაიხატოს მხოლოდ უბრალო ფანქრით, მათი გაფერადება კი მოსწავლეებს საშინაო დავალებად მიეცეთ)

2 გაკვეთილი

მოსწავლეები მოიფიქრებენ ზღაპრის სათაურს და დახატავენ ყდას.

მიაწერენ ნახატებს ტექსტს და აკინძავენ წიგნს – კომიქსი შეიძლება აიკინძოს როგორც წიგნი – მარაო (სკოჩით ერთმანეთზე გადაბმული ფურცლებით)

საშინაო დავალება:

მოსწავლეები დახატავენ კომიქსს თემაზე „ერთი დღე ჩემი ცხოვრებიდან“.

ცისარტყელა

მიზანი:

ცივი და თბილი ფერების გარჩევის უნარის განმტკიცება;
ბუნებაზე დაკვირვების შედეგების მხატვრობაში ასახვის უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 2, 3, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

სპექტრი
ცივი ფერები
თბილი ფერები
გამა

მასალა:

სახატავი ფურცლები
საღებავები, პასტელის ნაკრები ან ფერადი ფანქრები
ფუნჯი
წყალი

ვიზუალური მასალა:

ცისარტყელას გამოსახულება
ცისარტყელას გადიდებული მონაკვეთი, რომელზეც ჩანს ფერების ერთმანეთში გადასვლა
სპექტრის ზოლი გარდამავალი ფერებით
ფერების ბორბალი

გაკვეთილის მსვლელობა:

მე-17 საუკუნის ინგლისელმა მეცნიერმა ისააკ ნიუტონმა, რომელიც სინათლის სხივის თვისებებს იკვლევდა, აღმოაჩინა, რომ თუ სინათლის სხივს გამჭვირვალე შუშის სხეულში გაატარებ, იგი შვიდ სხვადასხვა ფერის სხივად დაიშლება. ისააკ ნიუტონმა ასეთ შვიდფერა სხივებს „სპექტრი“ უწოდა.

როგორ ჩნდება ცისარტყელა?

ცისარტყელა ჩნდება მაშინ, როცა ერთდროულად წვიმს და მზეც ანათებს, ჰაერი კი წვიმის წვეთებითაა გაჟღენთილი. მზის სხივი წვიმის წვეთებში გავლისას პაწაწინა გამჭვირვალე ბურთების გარსიდან შვიდ ფერად აირეკლება.

ცაზე ერთმანეთის გვერდით მზეს და ცისარტყელას დანახვა შეუძლებელია, რადგან იმისთვის, რომ ცისარტყელა დავინახოთ, მზე უკნიდან უნდა ანათებდეს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ და აღწერონ, თუ უნახიათ სადმე მსგავსი მოვლენა.

– გაიხსენეთ, რა თანმიმდევრობით არიან ფერები დალაგებული ცისარტყელაში და რა ფერები

აკლია მას?

მოსწავლეები დაასახელებენ ცისარტყელას (იისფერი, ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი) ფერებს და ჩამოთვლიან იმ ფერებს, რომლებიც აკლია შვიდფერა სპექტრს.

– გინახავთ ცისარტყელა, რომელიც მწვანე ფერით იწყება?

– გინახავთ ცისარტყელა ყავისფერი, რუხი და შავი ზოლებით?

როგორი ფორმა აქვს ცისარტყელას? გინახავთ ოთხკუთხა ან კლაკნილი ცისარტყელა?

დასკვნა:

- ცისარტყელა ყოველთვის შვიდფერაა.
- ცისარტყელას ფერები ყოველთვის ერთი თანმიმდევრობითაა დალაგებული ცისარტყელა ყოველთვის რკალია.
- ცისარტყელას რკალის გარეთა მხარე ყოველთვის წითელია, შიდა რკალი კი იისფერი.

შეხედეთ ცისარტყელას გამოსახულებას და დააკვირდით, როგორ გადადიან ფერები ერთმანეთში. როგორ თანდათან ყვითლდება წითელი ფერი, შემდეგ ყვითელი მწვანდება, მწვანე ცისფრდება, ლურჯდება და ბოლოს ლურჯი ნელ-ნელა იისფერი ხდება.

თუ ცისარტყელას ფერებს წრეზე განვათავსებთ, რა მოუვა იისფერს?

იისფერი გაწითლდება. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ფერების ბორბალს.

შეხედეთ ფოტოებს ცისარტყელას გამოსახულებით ბუნებაში და იპოვეთ კიდევ ერთი კანონზომიერება, რომელის ჯერ არ დაგვისახელებია.

(ცისარტყელას რკალის შიგნით ცა ყოველთვის უფრო ნათელია, ვიდრე ცისარტყელას გარეთ).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოყვნენ, თუ ვის როგორი ცისარტყელა უნახავს (მკრთალი, ორმაგი, მთვარის, დიდი, პატარა, კედელზე, შუშაზე არეკლილი...) და რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ სანახაობამ მათზე, გაიხსენონ ლექსი ან მოთხრობა, რომელშიც ცისარტყელაზეა საუბარი...

ეხლა კი, დახატეთ ნახატი, სადაც აუცილებლად ცისარტყელა იქნება გამოსახული და თან, გაითვალისწინეთ ყველა ის ფაქტი, რომელიც დღეს ცისარტყელას შესახებ შეიტყვეთ.

აქტივობა:

მოსწავლეები ამოირჩევენ სახატავ მასალას და შეასრულებენ ნამუშევარს.

დამთავრებულ ნამუშევრებზე იმსჯელებენ, თუ რა დახატეს, რას დაარქმევდნენ თავიანთ ნახატებს, როგორ განალაგეს ფერები ცისარტყელაზე, რამე ხომ არ გამორჩათ.

ონლაინ ცისარტყელას გასაფერადებელი:

https://www.thecolor.com/Coloring/Rainbows.aspx

კონტრაჟური

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს კონტრაჟურის მოვლენა

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2, 3, 4, 7.
ს.გ. III.3 – 3, 4, 5.
ს.გ. III.5. – 9, 10.

ასათვისებელი ტერმინები:

ფაუნა
ფლორა
კონტრაჟური
სილუეტი
გრადაცია

მასალა:

სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქარი
აკვარელის ან გუაშის საღებავები
პალიტრა
ფუნჯი
წყალი

ვიზუალური მასალა:

აფრიკის ხედები
აფრიკის ცხოველების გამოსახულებები

გაკვეთილის მსვლელობა:

როდესაც ჩვენ ვუყურებთ რაიმე საგანს, რომელიც უკნიდან არის განათებული, ჩვენ ამ საგნის დეტალების გარჩევა გვიჭირს, რადგან მისი ჩვენკენ მობრუნებულ მხარეს სინათლე არ ხვდება და იგი ჩრდილში ექცევა. მაგალითად გაიხსენეთ, თუ გადაგიღიათ ადამიანის პორტრეტი ოთახში, ფანჯრის ფონზე – ამ დროს, ფოტოზე ადამიანის ჩაბნელებულ სილუეტზე ნაკვთები ჩამუქებული და ძნელად აღსაქმელია. ასეთ განათებას კონტრაჟური ეწოდება. „კონტრ“ ფრანგულად საპირისპიროს, „ჟურ“ კი დღეს ნიშნავს. კონტრაჟური დღის საწინააღმდეგოს, ანუ ჩაბნელებულს ნიშნავს.

(შენიშვნა მასწავლებლისთვის: „კონტრაჟური“ დამკვიდრებული ტერმინია ფოტო-კინოხელოვნებაში და მას არ აქვს ქართული შესატყვისი.)

- კონტრაჟურში სინათლის წყარო – მზე ან ნათურა საგანს უკნიდან ანათებს და ჩვენ მხოლოდ საგნის მუქ სილუეტს ვხედავთ.

სახელმძღვანელოში მოცემული სურათები სწორედ ასეთ განათებაშია გადაღებული და დახატული.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მზის დაბნელების ამსახველ ფოტოს და იკითხავს, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს სურათი, რა შეიძლება იყოს მასზე გამოსახული.

მზის დაბნელება – ბუნების იშვიათი მოვლენაა. იგი წარმოიშვება მაშინ, როდესაც მთვარე, დედამიწის გარშემო ტრიალისას, მზესა და დედამიწის შორის ხვდება და მზის დისკოს მთლიანად ეფარება. ამ დროს, მზე მთვარეს უკნიდან ანათებს, ამიტომ, მთვარის ჩვენკენ მოქცეული მხარე სიბნელეშია.

- რატომ არის მთვარე შავი?
- შეიძლება ვთქვათ, რომ მთვარე კონტრაჟურშია?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ კასპარ დევიდ ფრიდრიხის ფერწერული ნამუშევრები და იმსჯელონ, თუ რა არის გამოსახული სურათებზე, როგორ განწყობას გამოხატავენ ისინი და რა ხერხი იხმარა მხატვარმა ამ განწყობის გამოსახატად.

(სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ნამუშევრები აჩვენოს ელექტრონული რესურსიდან, მონიტორზე).

აქტივობა:

მასალა:

საწერი კალამი და ფურცელი

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით დაათვალიერონ კასპარ დევიდ ფრიდრიხის სურათები და მოუფიქრონ ყოველ მათგანს სათაური.

სურათები დაინომრება სახელმძღვანელოში მათი თანმიმდევრობის მიხედვით.

მოსწავლეები იმავე თანმიმდევრობით ჩამოწერენ სურათების მოფიქრებულ სახელებს.

შეადარებენ მათ მეგობრების მოფიქრებულ სათაურებს და იმსჯელებენ, თუ რომელი მოუხდა მეტად, რომელი ასახავს უფრო ზუსტად აღნიშნული სურათის შინაარსს.

II გაკვეთილი

პეიზაჟი კონტრაჟურში

მასალა:

სახატავი ფურცლები

უბრალო ფანქარი

აკვარელის ან გუაშის საღებავები

პალიტრა

ფუნჯი

წყალი

მასწავლებელი დასვამს შეკითხვას:

- რა სურათი გეხატებათ თვალწინ, რა შეგრძნება გეუფლებათ, რა გახსენდებათ, როდესაც გესმით სიტყვა „აფრიკა“?

აფრიკა დედამიწის ყველაზე ცხელი და ყველაზე „ბრტყელი“ კონტინენტია. აფრიკაში მოედინება ყველაზე გრძელი მდინარე ნილოსი, აფრიკაშია დედამიწის ყველაზე დიდი და ცხელი უდაბნო საჰარა, აფრიკაში მდებარეობს უდიდესი ტბა – ვიქტორია, რომლიდანაც იღებს სათავეს მდინარე ნილოსი.

აფრიკა ითვლება კაცობრიობის სამშობლოდ – სწორედ აფრიკაში წარმოიშვა ადამიანი.

დედამიწის მცენარეულ სამყაროს (საფარს) ფლორა ეწოდება, ცხოველურ სამყაროს კი ფაუნა.

– დაასახელეთ, აფრიკული ფლორის რამდენიმე მაგალითი – როგორი მცენარეები იზრდება აფრიკაში? – კაქტუსები, პალმები, ბაობაბები.

– დაასახელეთ აფრიკული ფაუნის წარმომადგენლები – რომელი ცხოველები ცხოვრობენ აფრიკაში? – ლომები, ჟირაფები, სპილოები, მარტორქები, მაიმუნები, თუთიყუშები....

– აფრიკის ხსენებაზე, რა ფერები წარმოგიდგებათ თვალწინ? – სავარაუდოდ მოსწავლეები დაასახელებენ თბილ ფერებს – ყვითელს, ნარინჯისფერს, მწვანეს....

დღეს ჩვენ დავხატავთ სურათს, რომელსაც დავარქმევთ „მზის ჩასვლა აფრიკაში“. მხატვრობის რომელ ჟანრს მიაკუთვნებთ ასეთი დასახელების სურათს?

– ეს იქნება პეიზაჟი.

- რა ფერისაა ცა მზის ჩასვლისას? (მოწითალო, მონარინჯისფრო).
- რითი მივახვედრებთ მაყურებელს, რომ სურათი აფრიკის პეიზაჟს ასახავს?

(სურათზე უნდა დაიხატოს აფრიკის ფაუნის ან ფლორის წარმომადგენლები – რომელიმე ცხოველი, რომელიც მხოლოდ აფრიკაში ბინადრობს და მცენარე, რომელიც აფრიკაში იზრდება).

მზე კაშკაშა ყვითელია. როდესაც ჩვენ ვუყურებთ მზის ჩასვლას ან მზის ამოსვლას, ცა მზის გარშემო ნათელი, ღია ყვითელი ფერისაა, მზისგან მოშორებით კი უფრო და უფრო წითლდება. ფერწერაში, ეს მოვლენა ყვითელი და წითელი ფერების გრადაციით შეიძლება გადმოიცეს.

აქტივობა:

პეიზაჟი „მზის ჩასვლა აფრიკაში“.

მასალა:
სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქარი
აკვარელის ან გუაშის საღებავები
პალიტრა
ფუნჯი

მოსწავლეები ფანქრით დახატავენ რომელიმე აფრიკული ცხოველის სილუეტს. გააფერადებენ სურათის ფონს ყვითელი და წითელი ფერების გრადაციით. ცხოველის სილუეტს შეღებავენ მუქად.

დასრულებული ნახატები დალაგდება ერთმანეთის გასწვრივ. მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ რამდენად შეძლეს ჩანაფიქრის განხორციელება, რა არის მთავარი მათ ნახატებში, რამდენად გამოხატავენ ნამუშევრები სიცხეს, მისახვედრია თუ არა, რომ სურათებზე აფრიკის პეიზაჟია დახატული.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები ტელეფონის ამ ფოტოაპარატის საშუალებით გადაიღებენ ციფრულ სურათებს კონტრაჟურში (ბუნებრივი და ხელოვნური განათებით).

მოსწავლეები დაათვალიერებენ ერმანეთის ნამუშევრებს, გადაარჩევენ ფოტოებს და უფროსების დახმარებით ატვირთავენ მათ კომპიუტერში, ვირტუალური ფოტოალბომის შესაქმნელად და გასაზიარებლად.

ფერი და განწყობა

მიზანი:

ფერების შეზავებით სასურველი შედეგის მიღება
მხატვრობაზე აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარის გამომუშავება

შედეგი:

ს.გ. III.1 – 5
ს.გ. III.4 – 1, 2, 5, 6

ასათვისებელი ტერმინები:

ფერთა გამა
ქრომატული
აქრომატული

მასალა:

სახატავი ფურცლები
გუაშის საღებავების 12-ფერიანი ნაკრები
პალიტრა
ფუნჯი
წყალი

ვიზუალური მასალა:

ვილჰელმ ჰამერსჰოი
პოლ გოგენი

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს იმსჯელონ ადამიანზე ფერების ზემოქმედების შესახებ.

მასწავლებელი სთხოვს მათ ჩამოთვალონ, როგორი ფერები იციან – თბილი და ცივი, ძირითადი და შედგენილი,

- როგორ შეიძლება დავახასიათოთ ფერები? (მკრთალი და ჟღერადი, ბაცი და მუქი, კაშკაშა, ნაზი, მკვეთრი...)

ყოველი ადამიანი თავისებურად აღიქვამს სამყაროს. ყოველ ჩვენგანს აქვს ფერთა თავისი, განსაკუთრებული აღქმა. ზოგი ფერი ძალიან გვიყვარს, ზოგი გვაღიზიანებს. არიან ადამიანები, რომლებსაც ჟღერადი ფერის ტანისამოსის ტარება მოსწონს, ზოგს კი ვერაფრით აიძულებ ჭრელი ტანისამოსის ჩაცმას, ისინი თავს მშვიდ ფერებში გრძნობენ კარგად.

მოსწავლეები დაათვალიერებენ სხვადასხვა მხატვრის ფერწერულ ნამუშევარს.

– ყოველი მხატვრის ნამუშევარი გამოირჩევა ავტორისთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული ფერადოვნებით. ფერების ასეთ შეხამებას ფერთა გამა ეწოდება.

მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ რომელი მხატვრისთვის როგორი ფერთა გამაა დამახასიათებელი.

- ხელოვნების გაკვეთილზე, ყველას საღებავების ერთნაირი ნაკრები გაქვთ. ყველანი ერთნაირი ფერებით სარგებლობთ, მაგრამ ყოველი თქვენგანის ნამუშევრების ფერადოვნება განსხვავებულია. მოდით, ჩავატაროთ ცდა და ვნახოთ, ვის როგორი ფერები, ფერთა როგორი შეხამება მოგწონთ.

აქტივობა:

სახატავ ფურცელზე საღებავებით, უსისტემოდ დასვით ფერადი ლაქები. მთლიანად გაავსეთ ფერადი ლაქებით ფურცელი.

იხმარეთ როგორც სუფთა, ისე შეზავებული ფერები – მოამზადეთ თქვენთვის სასიამოვნო ფერის საღებავები – შეაზავეთ ქილიდან ამოღებული სხვადასხვა საღებავი პალიტრაზე და სათადარიგო ფურცელზე მოსინჯეთ იგი. თუ ფერი, რომელსაც შეზავების შედეგად მიიღებთ არ მოგეწონათ, არ იხმაროთ იგი.

მოსწავლეები შეადარებენ ერთმანეთს დამთავრებულ ნამუშევრებს და იმსჯელებენ, თუ ვის რა ფერები მოსწონს, როგორია მათი ნამუშევრის ფერთა გამა, რა განწყობას გამოხატავს, ასახავს თუ არა ავტორის ხასიათს ნამუშევარი და სხვა.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები ამოირჩევენ სახელმძღვანელოდან რომელიმე ილუსტრაციას, დახატავენ მის ასლს, ცალკე ფურცელზე კი, ამოიხატავენ საკუთარ ნამუშევარში ნახმარი ფერების ნიმუშებს – შეადგენენ ნამუშევრის ფერთა გამის პალიტრას.

რუხი

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს რუხის თვისებები
ფერების შეზავებით რუხი ფერების მიღების უნარი

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2, 3, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

აქრომატული
ქრომატული

მასალა:



ამობეჭდილი ფურცლები სავარჯიშოს შესასრულებლად
სახატავი ფურცლები
გუაშის საღებავები
პალიტრა
ფუნჯი
წყალი

ვიზუალური მასალა:

რუხის 1. აქრომატული, 2. თბილი და 3. ცივი სკალა

ელ გრეკოს, პიტერ ბრეიგელის, ფრანსუა ვატოს, ვან გოგის ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

- რა ფერებს შეიცავს რუხი? – თეთრს და შავს.

ითვლება, რომ რუხი მოსაწყენი, უღიმღამო ფერია.

კლასიკურ რუხად ითვლება ფერი, რომელიც თეთრის და შავის ტოლი რაოდენობის შერევით მიიღება.

დააკვირდით რუხის პირველ სკალას – ამ სკალას აქრომატული, ანუ არა ფერადი ეწოდება.

სკალაზე პირველი უჯრა თეთრია, ბოლო შავი, მათ შორის კი სხვადასხვა სიძლიერის რუხი ფერის კვადრატებია.

რუხის სიმუქე თეთრი და შავი საღებავების თანაფარდობაზე, ანუ პროპორციაზეა დამოკიდებული – რაც მეტია შავი, მით უფრო მუქია რუხი.

რა განსხვავებაა ამ სამ სკალას შორის?

სამივე რუხის გრადაციას წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ მეორე სკალა თბილი რუხის გრადაციაა, მესამე კი ცივი.

პირველი სკალა აქრომატულია, რადგან მასში რუხის გარდა, არანაირი სხვა ფერი არ ჩანს. მეორე, და მესამე კი ქრომატულია, რადგან ცივ და თბილ რუხში შავის და თეთრის გარდა, სხვა ფერიცაა შეტანილი.

როგორ მიიღება თბილი რუხი?

– შავ და თეთრ საღებავს, რომელიმე თბილი ფერი – წითელი, ნარინჯისფერი ან ყვითელი ემატება.

რუხს ცივი ჟღერადობა რომ მიენიჭოს, შავ და თეთრ საღებავს ცივი ფერები – ცისფერი ან ლურჯი ემატება.

მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს:

- რას გაგონებთ ეს ფერი?
- საღამო, მოღრუბლული ცა, ასფალტი, ნისლი, წვიმა, ნაცარი, მგელი, მოხუცი....
- რა ემოციას იწვევს რუხი ფერი?
- მშვიდი, სერიოზული, მოწყენილი, ნაღვლიანი, მორიდებული, ძველი, სველი, საქმიანი...

რუხ ფერს გააჩნია რამდენიმე საინტერესო თვისება:

1. რუხის გვერდით, ნებისმიერი სხვა ფერი უფრო ღრმა და ჟღერადი ჩანს. რუხი არბილებს შთაბეჭდილებას და მასთან შეხამებული ფერი არასდროს არ ყვირის, არ ხდება მომაბეზრებელი და გამაღიზიანებელი.
2. რუხი, ისევე, როგორც შავი, კარგად გამოყოფს ფორმას. იგი არ იზიდავს ყურადღებას, ამიტომ მზერა, ყოველთვის რუხთან შეხამებულ ფერზე ან მის გვერდით მდებარე ობიექტზე გადადის. ამ თვისების გამო, მხატვრები, ხშირად, რუხს სურათების გასაფორმებლად, ჩარჩოსა და სურათს შორის ფონად ხმარობენ.
3. ერთი და იგივე რუხი მუქ ფონზე ღია ჩანს, ღია ფონზე კი მუქი; სუფთა ფერებზე – წითელზე, ლურჯზე, მწვანეზე, ყვითელზე, იისფერზე კი ფერს იცვლის, ლივლივებს:



რაც უფრო ჟღერადია ფერადი ფონი რუხის გარშემო, მით უფრო ღიზიანდება, იძაბება თვალი, რაც ფერთა ცვალებადობის და ლივლივის ეფექტს იწვევს.

- დააკვირდით ელ გრეკოს სურათებს. რომელი ფერი ჭარბობს მათზე? მოგწონთ თუ არა? რატომ?

აქტივობა 1:

მოსწავლეები სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუშის მიხედვით გააკეთებენ რუხის აქრომატულ, ცივ და თბილ სკალებს.

აქტივობა 2:

მოსწავლეები თანაბარი მოამზადებენ საშუალო სიმუქის რუხ საღებავს და სახელმღვანელოში მოცემული ნიმუშის მიხედვით გააკეთებენ ფერების განტოლებას.

აქტივობა 3:

მოსწავლეები ფანქრით დახატავენ ქალაქის ორ ერთნაირ ხედს.

პირველს გააფერადებენ სხვადასხვა სიმუქის და ელფერის რუხით.

მეორეს გააფერადებენ სუფთა ფერებით.

მოსწავლეები შეადარებენ ნამუშევრებს და იმსჯელებენ, თუ რა განსხვავებაა მათ შორის, როგორ განწყობას გამოხატავენ ისინი და რატომ.

დღე და ღამე

მიზანი:

ბუნებაზე დაკვირვების შედეგად, შთაბეჭდილების შესაბამისი ფერებით გამოსახვის უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 2, 3
ს.გ. III.2. – 1

მასალა:

1 შავი ქაღალდი
მაკრატელი
წებო
უბრალო ფანქარი
სიგრძეზე გაჭრილი 4 ფურცელი / შუაზე გაჭრილი 2 სახატავი ფურცელი /
აკვარელის საღებავები
წყალი
ფუნჯი ან ღრუბელი
ქაღალდის სკოჩი, რომელიც ადვილად ძვრება ქაღალდს

ვიზუალური მასალა:

მზის ამოსვლის და ჩასვლის ამსახველი ფოტოები
მზის ამოსვლის და ჩასვლის ამსახველი ფერწერული ნამუშევრები:
კლოდ მონე „მზის ამოსვლა“
იაპონური აკვარელები

გაკვეთილის მსვლელობა:

ვისაუბროთ დღესა და ღამეზე.

- როგორ დაახასიათებდით დღეს და ღამეს, რა განსხვავებაა მათ შორის?

– დღე ნათელია, ღამე ბნელი, დღისით მზე ანათებს, ღამით მთვარე...

- როგორ გამოსახავდით ფერებით დღესა და ღამეს?

მოსწავლეები ჩამოთვლიან შესაფერის ფერებს.

– დღე-ღამე კიდევ რამდენიმე მონაკვეთად იყოფა, ხომ არ ჩამოთვლიდით მათ?

– დილა, შუადღე, საღამო, ღამე.

- დილა და შუადღე დღის ნათელი მონაკვეთებია, საღამო და ღამე კი ბნელი, მაგრამ მათ შორისაც არის განსხვავება. ვის უნახავს მზის ჩასვლა ან მზის ამოსვლა? რა ფერისაა ამ დროს მზე? ცა? არის თუ არა განსხვავება მზის ამოსვლასა და ჩასვლას შორის?

ადამიანთა უმეტესობისთვის მზის ამოსვლა უფრო ცივ, ღია, ნაზ ფერებთანაა დაკავშირებული,

მზის ჩასვლა კი უფრო მუქ, თბილ, ჟღერად ფერებთან. ასევე განსხვავდება ერთმანეთისგან შუადღისა და საღამოს განათება და ფერადოვნება.

მოსწავლეები დაათვალიერებენ ვინსენტ ვან გოგის და უტაგავა ჰიროშიგეს პეიზაჟებს, იმსჯელებენ, თუ დღის რომელ მონაკვეთს ასახავენ ისინი და დაასაბუთებენ, თუ რატომ თვლიან ასე.

- წარმოიდგინეთ, რა ფერებით განასხვავებდით ერთმანეთისგან დღე-ღამის ოთხ მონაკვეთს.
- დახატეთ დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთი ხის სილუეტით.

აქტივობა:

მოსწავლეები ყავისფერ ან შავ ფურცლებს მოკეცავენ ორჯერ, სიგრძეზე და სიგანეზე. ფანქრით მარტივად, დახატავენ ხის ერთ სილუეტს, გამოჭრიან მას, და მიღებულ ხის ოთხ ერთნაირ სილუეტს დააწებებენ წინასწარ მომზადებულ ფონებზე.

ფონი:

იმისთვის, რომ ფურცელზე ჩარჩოსთვის განკუთვნილი ადგილი არ დაისვაროს საღებავით სახატავ ფურცლების კიდეებზე, წინასწარ მონიშნულ ადგილზე უნდა დაწებდეს ქაღალდის სკოჩი, რომელიც ადვილად ცილდება ქაღალდს. ასევე, მკრთალად, ფანქრით მონიშნულ ჩარჩოს საზღვარს დაფერვის დროს შეიძლება დაეფაროს სათადარიგო ფურცელი.

ფურცლებზე ფუნჯით ან ღრუბელით მომზადდება სხვადასხვა ფერის ფონი:

დილა

შუადღე

საღამო

ღამე

როდესაც ფონი შეშრება, მოსწავლეები მოხსნიან ფურცლებიდან სკოჩს და დააწებებენ სურათებს გამოჭრილი ხეების სილუეტებს.

შემაჯამებელი გაკვეთილი

განტოლება ფერებით

მიზანი:

ფერების შეზავების ცოდნის და უნარის გამოვლენა

შედეგი:

ს.გ. III.1. – 5
ს.გ. III.3. – 2

მასალა:

მოსწავლეს ბუკი
ან ამოცანების ამობეჭდილი ფურცლები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი დაფაზე დაწერს მარტივ არითმეტიკულ განტოლებებს –
?+2=3
1+?=3
1+2=? და იკითხავს, თუ რას ნიშნავს ეს გამოსახულებები და რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა, როდესაც ასეთ მაგალითებს ხედავენ – უცნობი რიცხვის ადგილას, უნდა ჩაწერონ საჭირო ციფრი.

დღეს, თქვენ ასეთივე განტოლებებს ამოხსნით, ოღონდ, ციფრების ნაცვლად, უცნობი ფერების ამოცნობა მოგიწევთ. მასწავლებელი აჩვენებს მაგალითს:
? + ყვითელი = ნარინჯისფერს
წითელს + ? = ნარინჯისფერს
წითელს + ყვითელი = ?
და იკითხავს, თუ რომელი ფერის სახელი უნდა ეწეროს ამ განტოლებებში კითხვის ნიშნის ნაცვლად.

აქტივობა 1:

მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს ფურცლებს ფერების განტოლების ნიმუშით.
მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ შესაფერისი ფერი და გააფერადონ უცნობი ფერის გრაფა.



პირველ ბლოკში მოსწავლეები ამოხსნიან ამოცანებს სამი ძირითადი ფერის (ლურჯი – ყვითელი, წითელი – ყვითელი, ლურჯი – წითელი) შეზავებაზე.

მეორე ბლოკში ამოცანა გართულდება და მოსწავლეები ამოხსნიან ამოცანებს შედგენილი ფერების ყავისფერის, ნაცრისფერის, ცისფერის, და ვარდისფერის შეზავებაზე.



მესამე ბლოკში მოსწავლეები თავად მოიფიქრებენ, რომელი ფერების შეზავება სურთ და გააფერადებენ ყველა გრაფას.



მასწავლებელი შეაფასებს მოსწავლეებს სწორი პასუხებით დაგროვილი ქულების მიხედვით.

შენიშვნა: თუ გაკვეთილზე არ არის მოსწავლის კომპიუტერის გამოყენების საშუალება, მასწავ-ლებელს შეუძლია დაურიგოს მოსწავლეებს ამობეჭდილი ნიმუშები, რომლებზეც ფერების სახელები ფერადი კოპლებით, ან ასოებითაა აღნიშნული.

წელიწადის დროები

მიზანი:

ბუნებაზე დაკვირვების შედეგის ასახვის უნარი

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 3, 5.
ს.გ. III.2. – 1.
ს.გ. III.4. – 1, 2.

ასათვისებელი ტერმინები:

სეზონი
სილუეტი

მასალა:

4 პატარა ზომის (1/4) სახატავი ფურცელი
იმავე ზომის თხელი მუყაო ან ქაღალდი
საღებავები
ფუნჯი
ღრუბელი
წყალი
უბრალო ფანქარი
თხელი მუყაო
მაკრატელი
საშლელი

გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილის დასაწყისში, მოსწავლეები გაიხსენებენ და ჩამოთვლიან ცისარტყელას ფერებს.

ცისარტყელას შვიდი ფერი – წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი – ფერების სპექტრი, იყოფა თბილ და ცივ ფერებად.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ სახელმძღვანელოში ფერების სპექტრის გამოსახულებას და გამოთქვან აზრი, თუ რომელი ფერები შეიძლება იყოს თბილი და რომელი ცივი.



ყველა ის ფერი, რომელიც ცეცხლს, მზეს, სიცხეს, სითბოს და ზაფხულს მოგვაგონებს, თბილ ფერებს მიეკუთვნება.

ფერები, რომლებიც სიცივეს, ყინვას, ზამთარს, წყალს მოგვაგონებს, ცივ ფერებს მიეკუთვნება.

- კიდევ ერთხელ დააკვირდით ფერების სპექტრს და ჩამოთვალეთ, რომელი ფერებია თბილი და რომელი ცივი.
- დააკვირდით პოლ გოგენის ორ პეიზაჟს და აღწერეთ, რა არის გამოსახული და როგორი ფერებითაა შესრულებული ეს სურათები.

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს წელიწადის დროების შესახებ.

მოსწავლეები დაათვალიერებენ სახელმძღვანელოში წელიწადის დროების ამსახველ სურათებს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, თუ რა ნიშნებით ვარჩევთ ერთმანეთისგან წელიწადის დროებს – როგორ იცვლება ბუნება, რა დეტალები აკლდება ან ემატება გარემოს წელიწადის სხვადასხვა დროს (მაგ. ზამთარში ხეებს ფოთლები არა აქვთ, სხვა დროს კი, ფოთლები სხვადასხვა ფერისაა).

მასწავლებელი იკითხავს:

- რა ფერებით დაახასიათებდით წელიწადის ყოველ სეზონს? როგორია ზამთრის ფერთა გამა? რა ფერები ჭარბობს ზამთარში ცივი თუ თბილი? რა ფერისაა ცა, ხეები... ასეთივე კითხვებს დაუსვამს შემოდგომის, გაზაფხულის და ზაფხულის დასახასიათებლად.

შემდეგ მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს დავალების პირობას:

- ჩვენ დღეს პატარა ფურცლებზე დავხატავთ ორ ერთნაირ პეიზაჟს, რომლებზეც წელიწადის თბილ და ცივ სეზონს გამოვსახავთ.

იმისთვის, რომ პეიზაჟები ერთნაირი გამოვიდეს, ცალკე, მუყაოზე დახატეთ და გამოჭერით სახლის და ხის სილუეტები. დაალაგეთ ისინი რიგრიგობით სახატავ ფურცლებზე, შემოავლეთ ფანქრით კონტური. შეაზავეთ ფერები პალიტრაზე და დაფერეთ ფონი ღრუბლით, ჩაფიქრებული სეზონის შესაფერისი ფერებით სხვა დეტალები დახატეთ ფუნჯით.

აქტივობა:

1. მოსწავლეები მუყაოს პატარა ნაჭერზე დახატავენ და გამოჭრიან სახლის და ხის სილუეტებს. სილუეტები უნდა იყოს იმხელა, რომ პატარა ფურცელზე კარგად დაეტიოს.
2. ორივე სახატავ ფურცელზე მკრთალად გაავლებენ ჰორიზონტის ხაზს.
3. მოამზადებენ პალიტრაზე საღებავებს,
4. დაადებენ პირველ სახატავ ფურცელს სახლის და ხის სილუეტებს, ფანქრით შემოავლებენ მათ კონტურს (იმისთვის, რომ თუ დაფერვის დროს სილუეტი გაინძრა, ადვილად დააბრუნონ პირვანდელ ადგილზე) და ღრუბლით დაფერავენ სურათის ფონს წელიწადის რომელიმე ერთი სეზონის შესაფერისი ფერებით.
5. მოხსნიან გამოჭრილ სილუეტებს და დაალაგებენ მათ მეორე ფურცელზე ისევე, როგორც პირველ ფურცელზე ედოთ და დაფერავენ ფონს მეორე სეზონისთვის დამახასიათებელი ფერებით.
6. სახლის და ხის თეთრად დარჩენილ სილუეტებს გააფერადებენ და მიუხატავენ მათ შესაბამისი სეზონის ნიშნებს – (თოვლი, ყვითელი ან მწვანე ფოთლები, ყვავილები).

მოსწავლეები განიხილავენ დამთავრებულ ნამუშევრებს და იმსჯელებენ, თუ რამდენად გამოუ-ვიდათ ჩანაფიქრი, გამოსახავს თუ არა სურათი წელიწადის იმ დროს, რომელიც იყო ჩაფიქრებული, რომელი ნამუშევარი ასახავს ჩანაფიქრს უკეთ და რატომ.

კომპოზიცია ფოთლებით

ფერების შეზავება

მიზანი:

ახალი ტექნიკის ათვისება

ფერების შეზავების უნარის განვითარება

შედეგი:

ს.გ. 3.1. – 3, 5, 6, 8.

ს.გ. 3.2. – 1, 4.

ასათვისებელი ტერმინები:

კონტური

მასალა:

სხვადასხვა ფორმის ფოთლების ამობეჭდილი ნიმუში.

გამარტივებული ვარიანტი

გუაშის წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი ფერის საღებავები;

სახატავი ფურცლები,

ღრუბელი

თეფში ფერების შესაზავებლად

წყალი

წებო

ფლომასტერები

ვიზუალური მასალა:

ფერების ბორბალი

შემოდგომის ხედები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ცივ და თბილ ფერებზე – შეახსენებს მათ, რომ თბილი ფერები არის სითბოს ფერები – ყვითელი, წითელი, ნარინჯისფერი, ხოლო ცივი ფერები – სიცივის ფერებია – ლურჯი, ცისფერი, იისფერი, მწვანე.

- შეხედეთ ფერების ბორბალს და მოისაზრეთ: რომელი ფერები შეიძლება იყოს ცივიც და თბილიც?

- მწვანე და იისფერი, რადგან ისინი ცივი და თბილი ფერების საზღვარზე მდებარეობენ. თუ მწვანე ან იისფერ ფერებს რომელიმე თბილ ფერს შევურევთ, ისინი თბილ ელფერს მიიღებენ, ცივი ფერების შერევით კი ცივ ელფერს.
- წელიწადის რომელი დრო შეიძლება იყოს ცივიც და თბილიც?
- შემოდგომა და გაზაფხული.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაახასიათონ შემოდგომა, ჩამოთვალონ შემოდგომის ნიშნები, აღწერონ შემოდგომის ბუნება:

- რა ემართებათ ხეებს შემოდგომისას?
- ხეებს სცვივათ ფოთლები.
- შეხედეთ სურათებს და დააკვირდით, რა ფერისაა დაცვენილი ფოთლები?
- ყვითელი, წითელი, ყავისფერი, მწვანე.

მასწავლებელი ამბობს:

– დააკვირდით ფოთლებს – ზოგი ფოთოლი ერთფერია, ზოგი კი ჭრელი.

- დღეს ვენ დავხატავთ შემოდგომის ფოთლებს. შეხედეთ საღებავებს, რა ფერი გვაკლია შემოდგომის ფოთლების დასახატად?
- ყავისფერი.
- ჯერ ვისწავლოთ ყავისფერის დამზადება.

აიღეთ ფუნჯით ცოტა წითელი ფერი, გარეცხეთ ფუნჯი, დაუმატეთ წითელს ცოტა მწვანე ფერი და კარგად მოურიეთ. ჩვენ მივიღეთ ყავისფერი საღებავი. ახლა, აიღეთ ცოტა ყავისფერი საღებავი დაასხით იგი ცარიელ ადგილას და სუფთა ფუნჯით დაუმატეთ მას ცოტა ყვითელი ფერი. რა მოუვიდა ყავისფერს? – ყავისფერი გახდა უფრო ღია.

აქტივობა 1:

ახლა კი, დავიწყოთ ფოთლების ხატვა.

- პალიტრაზე დაასხით ფერები, შეაზავეთ და მოიმზადეთ სხვადასხვა ტონალობის ყვითელი, წითელი, მწვანე საღებავი, თუ საჭიროა, კიდევ დაამზადეთ ღია და მუქი ყავისფერი საღებავი.
- ღრუბელით, პატარ-პატარა ლაქებით, მთლიანად დაფარეთ, ააჭრელეთ სახატავი ფურცელი სხვადასხვა ფერით.

- მანამ ფურცელი შრება, ნიმუშიდან გამოჭერით რამდენიმე სხვადასხვა ფორმის ფოთოლი.
- გამოჭრილი ფოთლები დაადეთ გამშრალ ფონს და მუქი ფლომასტერით შემოხაზეთ მათი კონტური. დახატეთ რაც შეიძლება ბევრი ფოთოლი, რომ ნახატი მიწაზე ჩამოცვენილ ფოთლებს დაემსგავსოს.

აქტივობა 2:

- ღრუბელი ჩააწეთ ერთდროულად ორი-სამი ფერის საღებავში
- გამოჭრილ ფოთოლს რამდენჯერმე ფრთხილად დაადეთ ღრუბელი ისე, რომ ფოთოლი მთლიანად შეიღებოს და ჭრელი გამოვიდეს.
- ფოთლის შუაგულს, შეუღებავი მხრიდან წაუსვით ცოტა წებო – ფოთლის კიდეები უნდა დარჩეს მშრალად
- დააწებეთ ფოთლები გამზადებულ ნახატზე.

შედეგად, მოსწავლეების ნამუშევრებზე დაწებებული ფოთლები ნამდვილის შთაბეჭდილებას დატოვებენ.

ყვითელი

მიზანი:

კომპოზიციაში ობიექტის ზომისა და ფერის თანაფარდობის გაცნობიერება

შედეგი:

ს.გ. III.3. – 1, 2.
ს.გ. III.4. – 1, 2.
ს.გ. III.5. – 2, 3.

ასათვისებელი ტერმინები:

კომპოზიცია

მასალა:

ნახევარი შავი ფურცელი
10X10 სმ. ყვითელი, მწვანე, ლურჯი და წითელი ფურცლები
უბრალო ფანქარი
მაკრატელი
წებო

ვიზუალური მასალა:

ცივი და თბილი ინტერიერის 2 ფოტო
ვან გოგის ფერწერული ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ამბობს:

– მე დაგისვამთ შეკითხვას, რომელიც ეცადეთ უცებ, დაუფიქრებლად მიპასუხოთ, დაასახელეთ პირველივე სიტყვა, რომელიც თავში მოგივათ:

– თქვენი აზრით, რა ფერისაა სითბო?
– რა ფერისაა სინათლე?
– რა ფერისაა სიბნელე?
– რა ფერისაა სიცივე?
– რა ფერისაა ჭუჭყი?
– რა ფერისაა სისუფთავე?
– რა ფერისაა სიხარული?
– რა ფერისაა დარდი?

– მე ჩამოვთვლი სხვადასხვა ფერს, თქვენ კი დაფიქრდით, რას გაგონებთ ეს ფერი – სითბოს თუ სიცივეს, და ხელის აწევით მაჩვენეთ, თბილი ფერი დავასახელე თუ ცივი. შევთანხმდეთ, რომ მარჯვენა ხელის აწევით თბილ ფერს მანიშნებთ, მარცხენა ხელის აწევით კი ცივ ფერს.

მასწავლებელი არეულად ასახელებს ფერებს – წითელი, ლურჯი, ცისფერი, ყავისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი...

- რას ფიქრობთ ყვითელ ფერზე? როგორ დაახასიათებდით მას? რა შეგრძნებებს, როგორ აზრებს იწვევს თქვენში ყვითელი?

ყვითელი არის სინათლესთან ყველაზე ახლოს მდგომი ფერი.

ეს ფერი ყოველთვის სინათლის და სითბოს განცდას იწვევს ადამიანებში, კარგ გუნებაზე გვაყენებს.

გაიხსენეთ, როგორ უხარია თვალს, როცა წვიმიან ამინდში, მოღუშულ ღრუბლებში უცებ მზის ყვითელი სხივი გამოანათებს... თუ ზამთრის ნაცრისფერ, უჟმურ დღეს, ყვითელ შუშაში გაიხედები, მაშინვე კარგ გუნებაზე დადგები, მოგეჩვენება, რომ ცოტათი დათბა კიდეც.

ასეთივე სიმყუდროვის, სითბოს შეგრძნება გვიჩნდება ყვითლად შეღებილ ოთახებში. თურმე, ბავშვები ყვითელ ოთახებში უფრო ხალისიანები, ენერგიულები ხდებიან და უკეთ სწავლობენ.



ცისფრად შეღებილ ოთახებში კი პირიქით, სიმყუდროვეს ვერ ვგრძნობთ, სიცივის შეგრძნება გვეუფლება, ყურადღება გვეფანტება. შეხედეთ სახელმძღვანელოში ყვითელ კვადრატებს – რომელი მათგანი მოგწონთ? რომელი ტოვებს უფრო სუფთას შთაბეჭდილებას? რა ფერებია შერეული მეორე, მესამე და მეოთხე კვადრატებში?



ყვითელი „სუფთა“ ფერია. მას არ უყვარს ჭუჭყი – როგორც კი ყვითელს სხვა ფერი ერევა და ჭუჭყიანდება ან ცივდება, იგი უსიამოვნო, ხანდახან საძაგელ შთაბეჭდილებას იწვევს.

მეორე მხრივ, თუ რამე სხვა ფერში ოდნავ ყვითელს გაურევ, ის ფერი უფრო თბილი, სასიამოვნო, ცოცხალი და ჟღერადი ხდება.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვან გოგის ფერწერულ ნამუშევრებს და სთხოვს მათ გამოთქვან აზრი ამ სურათების შესახებ – დაასახელონ, რა ჟანრისაა ესა თუ ის სურათი, რა შთაბეჭდილება შეექმნათ, როგორ განწყობას გამოხატავენ სურათები, რომელი ფერი ჭარბობს, რომელია მთავარი სურათებზე.

ფერწერაში ყვითელი ფერი უმალ იზიდავს თვალს. საკმარისია ტილოზე სულ პატარა ყვითელი ლაქა დასვა, მზერა უმალ მას მიეჯაჭვება.

კომპოზიციაში ყვითელი მძიმე ფერია – იგი თავის სიკაშკაშით გადაწონის სხვა ფერებს.

ჩავატაროთ რამდენიმე ცდა და ვნახოთ, როგორ ურთიერთქმედებს ყვითელი ფერის ლაქა სხვა ფერებთან.

ფერად ქაღალდებზე შემოხაზეთ და გამოჭერით სხვადასხვა ზომის წრე, ოთხკუთხედი და სამკუთხედი, დაალაგეთ ეს ფიგურები შავ ქაღალდზე ისე, რომ გაწონასწორებული კომპოზიცია მიიღოთ. სცადეთ სხვადასხვა კომბინაცია, გადაალაგეთ ფიგურები, გადაკვეთეთ ისინი, მოუძებნეთ ფურცელზე საუკეთესო ადგილი და დააკვირდით, როგორ მოქმედებს კომპოზიციურ განაწილებაზე ფიგურების ზომა და ფერი. შეხედეთ ერთმანეთის კომპოზიციებს, მიეცით ერთმანეთს რჩევები, ერთად გადაწყვიტეთ, თუ ფიგურების და ფერების როგორი განლაგებაა თვალისთვის უფრო სასიამოვნო.

აქტივობა 1:

მოსწავლეები ფერად ფურცლებზე ხელით, უბრალო ფანქრით შემოხაზავენ და შემდეგ გამოჭრიან გეომეტრიულ ფიგურებს – რამდენიმე დიდ და პატარა წრეს, სამკუთხედს და ოთხკუთხედს (მასწავლებელს შეუძლია ურჩიოს მოსწავლეებს, ფიგურები დახატონ მხოლოდ ერთ ფურცელზე, დაალაგონ ფურცლები ერთმანეთზე და ისე გამოჭრან ერთნაირი ფიგურები და გაუცვალონ ისინი ერთმანეთს სხვა ფიგურებში.)

გამოჭრილი ფიგურებით, შავ ფურცელზე, ააწყობენ გაწონასწორებულ აბსტრაქტულ კომპოზიციას.

მანამ ფიგურები დაწებდება, მოსწავლეები დაათვალიერებენ ერთმანეთის კომპოზიციებს, იმსჯელებენ, თუ რომელი მათგანია გაწონასწორებული, რომელ არა და რატომ, რომელი ფიგურა გადაწონის კომპოზიციას და რატომ (ფერით თუ ზომით), როგორ ჯობია მათი განლაგება.

განხილვის შემდეგ დააწებებენ ფიგურებს და კიდევ ერთხელ გადახედავენ ერთმანეთის ნამუშევრებს, ამოარჩევენ რამდენიმეს და იმსჯელებენ, თუ რატომ დაიმსახურა ამ ნამუშევრებმა მათი ყურადღება.

აქტივობა 2:

მასალა:
სახატავი ფურცლები
გუაშის საღებავები
პალიტრა, ფუნჯი, წყალი

მოსწავლეები ჩაატარებენ ცდას: ყვითელი ფერის საღებავს შეურევენ სხვა ფერის საღებავებს , მოსინჯავენ მათ სახატავ ფურცელზე და იმსჯელებენ მიღებულ შედეგზე - რომელი ფერების შეზავება მოუხდა ყვითელ ფერს, და რომელი ფერების დამატება არ გამოდგა კარგი.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები დახატავენ პეიზაჟს ყვითელი ფერის ყვავილებით. დავალების მიზანია მოსწავლეებმა ბევრი სხვადასხვა ელფერის ყვითელი ყვავილი დახატონ და მოსინჯონ, თუ რა შედეგს მიიღებენ ყვითელი საღებავის სხვა ფერებთან შეზავებით.

მხატვარი და გარემო

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოებში განწყობის ამოცნობის უნარის განვითარება;
ნამუშევარში სხვადასხვა განწყობის, ემოციის ასახვის უნარის განვითარება;
ვინსენტ ვან გოგის შემოქმედებასთან გაცნობა.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 3, 5.
ს.გ. III.4. – 1, 2, 3, 4, 5, 6.

მასალა:

სახატავი რვეული და მასალა მოსწავლის არჩევანის მიხედვით.

ვიზუალური მასალა:

ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრები
მოხუცი; აყვავებული მსხლის ხე; ირისები; მემაღაროე ქალები; წირვის შემდეგ; ნატურმორტი; ოლეანდრა; ავტოპორტრეტი.

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები წაიკითხავენ გაკვეთილის შესაბამის ტექსტს სახელმძღვანელოში. როდესაც მივ-ლენ იმ ადგილზე, სადაც ვან გოგის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ წერია, მასწავლებელი მათ შეეკითხება:

- როგორ ფიქრობთ, სწორად მოიქცა ვან გოგი? თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილას?
- პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განაგრძონ კითხვა. დასას-რულს, ეუბნება:
- დააკვირდით და შეადარეთ ეს ორი ნაწარმოები. რაში ჩანს მხატვრის დამოკიდებულება, განწყო-ბა? როგორი ფერებია? განათება? შინაარსი? რა გრძნობა გეუფლებათ ამ ნახატების აღქმისას?
- პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აძლევს დავალებას:
- დახაზეთ სახატავ რვეულში T სქემა და მარცხენა მხარეს ჩამოწერეთ ვან გოგის სევდიანი, ხოლო მარჯვენა მხარეს – სიხარულის აღმძვრელი ნამუშევრების დამახასიათებელი ნიშნები.

შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებას, რისთვისაც მასწავ-ლებელი აძლევს განმარტებას:

- საკუთარი ფანტაზიით დახატეთ ერთ გვერდზე ორი, განსხვავებული გრძნობის აღმძვრელი ნახატი. შეარჩიეთ თქვენი ჩანაფიქრის შესაფერისი მასალა – გუაში, პასტელი, ფანქრები ან სხვ.

როდესაც ბავშვები ხატვას დაასრულებენ, მასწავლებელი ეუბნება:

- ჰკითხეთ გვერდით მჯდომ თანაკლასელს, როგორ ემოციებს იწვევს თქვენი ნახატები მასში? დაემთხვა თუ არა მეწყვილეს პასუხი თქვენს მოლოდინს? იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალე-ბებით სცადეთ ამა თუ იმ განწყობის შექმნა?

დამატებით, მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს მოსწავლეებს, მიაკუთვნონ ვან გოგის ნაწარმოებები მათთვის ცნობილ ჟანრებს. ეს ცოტა დამაბნეველი კითხვაა, რადგან მათთვის ნატურმორტიცა და პეიზაჟიც სხვაგვარ სურათებთან ასოცირდება. მასწავლებელი განუმარტავს, რომ ფეხსაცმელი უსულო საგანია და ეს სურათიც ნატურმორტია, ხოლო „ნუშის ტოტი“ პეიზაჟია, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბუნების ხედი არ ჩანს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა ფერებითა და გამოსახულებებით შეიძლება სევდიანი განწყობის გადმოცემა?
- რა ფერებითა და გამოსახულებებით შეიძლება სასიხარულო განწყობის გადმოცემა?
- თქვენ რა მხატვრული ხერხებით მოახერხეთ ამ განწყობების გადმოცემა საკუთარ ნამუშევრებში?
- როგორ გამოგივიდათ?
- რამეს ხომ არ შეცვლიდით?

აქტივობა:

1. მოსწავლეები ავსებენ T სქემას.
2. მოსწავლეები გაყოფენ სახატავი რვეულის ფურცელს ორ ნაწილად. ერთზე ხატავენ მხიარულ სურათს, მეორეზე – სევდიანს. თუ კლასში ვერ მოასწრებენ, დასრულება სახლში დაევალებათ.

გრაფიკა და პლაკატი

მიზანი:

ვასწავლოთ მოსწავლეებს ფერწერის და გრაფიკის განსხვავება,
გავაცნოთ მოსწავლეებს გრაფიკის ერთერთი სახეობის, პლაკატის არსი და დანიშნულება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2, 3, 6.
ს.გ. III.3. – 1.
ს.გ. III.4. – 1, 2.
ს.გ. III.5. – 1, 3.

მასალა:

სახატავი ფურცლები
ფერადი პასტელები
ფანქარი
მაკრატელი
შავი ფლომასტერი
დიდი ზომის ფორმატები
მშრალი წებო
ფერადი ფურცლები

ვიზუალური მასალა:



ვან გოგის გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვან გოგის გრაფიკული და ფერწერული სურათების ნიმუშებს და იტყვის:

- ამ სურათების ნაწილი, ფერწერას მიეკუთვნება, ნაწილი კი გრაფიკას. შეგიძლიათ თუ არა ამოიცნოთ, თუ რომელი მათგანია ფერწერა და რომელი გრაფიკა?
- რა ნიშნით განასხვავეთ ერთმანეთისგან ეს ორი დარგი?

შემდეგ, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვან გოგის ორ ფერად გრაფიკულ ნამუშევარს და იკითხავს, თუ რომელ დარგს ეკუთვნის ეს ორი სურათი და რატომ.

ფერწერას მიეკუთვნება ის ნამუშევრები, რომლებშიც მთავარი ელემენტი ფერია. ისინი შესრულებულია ფერადი ლაქებითა და მონასმებით, მასალად კი, ზეთის ან ტემპერის საღებავებია გამოყენებული.

გრაფიკას მიეკუთვნება ნამუშევრები, რომლებშიც მთავარი ელემენტი ხაზია, ფერი კი დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. გრაფიკულ ნამუშევრებს ასრულებენ ფანქრით, ნახშირით, კალმით, ფერადი პასტელებითა და წყლის საღებავებით.

– გრაფიკის ერთ-ერთი სახეობაა პლაკატი. პლაკატი ნახატებისგან განსხვავებული ხერხებით იქმნება.

– შეადარეთ ერთმანეთს პლაკატები და გრაფიკული სურათები. რა სხვაობას ხედავთ მათ შორის?

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რამდენიმე პლაკატს და სთხოვს მათ აღწერონ, თუ რა ინფორმაციას გვატყობინებენ, რას მოგვიწოდებენ ეს სურათები.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს პლაკატის გაკეთებას თემაზე „ჩვენი ჭრელი სამყარო“.

მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად. ყოველი ჯგუფი გააკეთებს 1 პლაკატს.

აქტივობა 1:

მოსწავლეები სახატავ ფურცელზე დახატავენ სხვადასხვა ცხოველის, ფრინველის, თევზის ან მწერის კონტურულ გამოსახულებებს.

სახატავ ფურცელს, მეორე მხრიდან, მთლიანად დაფარავენ სხვადასხვა ფერის პატარა ზომის ლაქებით.

გამოჭრიან კონტურით დახატულ ფიგურებს, და გაფერადებული მხრიდან, შავი ფლომასტერით მორთავენ მათ ორნამენტული მოტივებით.

აქტივობა 2:

მასალა:

I აქტივობაზე გაკეთებული ცხოველების, ფრინველების, თევზების ფიგურები

დიდი ფორმატი

წებო

ფანქარი

ფლომასტერები, საღებავები ან ფერადი ქაღალდები

მაკრატელი

მოსწავლეები, პირველ აქტივობაზე გაკეთებული ცხოველების, ფრინველების, თევზების ფიგურებით გააკეთებენ პლაკატს „ჩვენი ჭრელი სამყარო“:

ერთ დიდ ფორმატზე, წინასწარ მოფიქრებული წესრიგით, დააწებებენ ფერად ფიგურებს.

თუ საჭიროა, პლაკატს დაამატებენ ნახატებს, მოსართავებს ან განმარტებით წარწერებს.

პლაკატს გაუკეთებენ სათაურს:

სათაურისთვის პლაკატზე უნდა გამოიყოს სპეციალური ადგილი.

სათაური უნდა შესრულდეს დიდი ასოებით, რომლებიც შეიძლება დაიხატოს, ან გამოიჭრას ფერადი ქაღალდებისგან და დაწებდეს.

შენიშვნა: ჯგუფებში, მოსწავლეებმა უნდა შეათანხმონ, თუ ვინ რა ცხოველს, ფრინველს... დახატავს.

შტრიხი

მიზანი:

შტრიხების არსის გაგება,
შტრიხებით ხატვის უნარის განვითარება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2, 3.
ს.გ. III.2. – 4.

ასათვისებელი ტერმინები:

შტრიხი

მასალა:

სახატავი ფურცელი
უბრალო ფანქარი

ვიზუალური მასალა:

ვინსენტ ვან გოგის, რემბრანდტის და ალბრეხტ დიურერის ნახატები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ჩიტების ორ გამოსახულებას და ეკითხება, თუ რა განსხვავებას ხედავენ ისინი მათ შორის.



მოსწავლეებმა უნდა იპოვონ სხვაობა – ორივე ჩიტი დახატულია, მაგრამ მეორე უფრო ჰგავს ცოცხალს.

მასწავლებელი იტყვის:

– დააკვირდით ამ ჩიტებს და ამიხსენით, რატომ ჰგავს მეორე ჩიტი უფრო მეტად ნამდვილს? როგორ მოახერხა ეს მხატვარმა?

მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები იპოვიან მიზეზს – პირველი ჩიტი დახატულია მხოლოდ კონტურით, მეორე ჩიტს კი ბუმბული აქვს დახატული და ამიტომ უფრო ჰგავს ნამდვილს.

როგორ არის დახატული ბუმბული? რა საშუალება იხმარა მხატვარმა ბუმბულის დასახატად?

პირველი ჩიტი ერთი მთლიანი ხაზითაა დახატული და ფრთებიც ასეთივე უსახური ხაზებითაა დახატული, ამ ჩიტის ხატვისას, მხატვარს არ გამოუყენებია შტრიხები. ჩიტის გამოსახულება ბრტყელია და სულ არ ჰგავს ცოცხალს.

მეორე ჩიტი კი მრგვალი და ფუმფულაა. მისი ბუმბული დახატულია მოკლე, წვრილი, ნაზი ხაზებით; ფრთები უფრო სქელი, მუქი და უხეში ხაზებით – ჩიტის ფრთებიც სინამდვილეში ხომ უფრო უხეში ბუმბულითაა დაფარული.

დააკვირდით, როგორ არის დახატული ბუმბული – ყოველი ხაზი იმ მიმართულებითაა გავლებული, რა მიმართულებითაც ეზრდება ჩიტს ბუმბული – გვერდებზე და ფრთებზე ბუმბული დახრილი, კუდისკენ მიმართული შტრიხებითაა დახატული, თავზე კი შტრიხებს სულ სხვა მიმართულება აქვთ. დააკვირდით ჩიტს და წარმოიდგინეთ, შტრიხებს სვა მიმართულება რომ ქონდეს, როგორ გამოსახულებას მივიღებდით?

დააკვირდით ნახატებს და მითხარით,

– რა მნიშვნელობა შტრიხების მიმართულებას?

– როგორ აღწერდით თითოეულ ნახატში გამოყენებულ შტრიხებს?

– რა გამოხარეს მხატვრებმა შტრიხებით?

– როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა შტრიხსა და კონტურს შორის?

– რისი დახატვა შეიძლება შტრიხებით?

შეგიძლიათ, ჩამოაყალიბოთ, რა ყოფილა შტრიხები?

ეხლა კი, ჩვენ თვითონ გამოვცადოთ, თუ რა შეუძლიათ შტრიხებს – დახატეთ რამე ცხოველი ან ფრინველი. ეცადეთ, არ გამოიყენოთ კონტური და იხმაროთ მხოლოდ შტრიხები. შეგიძლიათ დახატოთ როგორც ჩვენთვის ნაცნობი – ფუმფულა კატა, ეკლიანი ზღარბი, ასევე რამე უცნაური, თქვენი გამოგონილი არსებაც – გაბურძგნული, ეკლიანი, ბუმბულიანი....

აქტივობა:

მოსწავლეები დახატავენ შტრიხებით ცხოველს.

ეშერის მოზაიკური სამყარო

მიზანი:

ფურცლის დაკეცვის, გამოჭრის და დაწებების დროს სიზუსტის დაცვის უნარის გამომუშავება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 6, 8, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

ოპტიკური ილუზია

მასალა:

A4 ზომის ფერადი ფურცლების ნახევრები (2 ფერი თითო წყვილს)
კვადრატის ფორმის სახატავი ფურცელი
უბრალო ფანქარი
სახაზავი
მაკრატელი
წებო
სკოჩი

ვიზუალური რესურსი:

მორიც კორნელის ეშერის ნახატები

გაკვეთილის მსვლელობა:

რა კავშირი აქვს მათემატიკას მხატვრობასთან?

დღეს ჩვენ გავიცნობთ მათემატიკოსების საყვარელ მხატვარს, მორიც კორნელის ეშერს.

მორიც კორნელის ეშერს უთქვამს: „მათემატიკოსებმა გააღეს სხვა სამყაროს კარი, მაგრამ ამ სამყაროში შესვლა ვერ გაბედეს. მათ უფრო აინტერესებთ გზა, რომელიც ამ კართან მიდის, ვიდრე წალკოტი, რომელიც კარს იქით იშლება“.

მათემატიკოსებს უყვართ ეშერი. მის ნამუშევრებში, რომლებიც ბუნების კანონებსა და საღ აზრს ეწინააღმდეგება, ისინი ორიგინალურ იდეებს, თავიანთი ვარაუდების მტკიცებულებებს პოულობენ.

„სახალისოა, რომ მე, რომელსაც არასდროს მიმიღია კარგი ნიშანი მათემატიკაში, მოულოდნელად, ამ მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული აღმოვჩნდი. და აი, მათემატიკოსები იყენებენ ჩემს ნახატებს თავიანთი ნაშრომების საილუსტრაციოდ, წარმოიდგინეთ, ამ მეცნიერებმა მე ძმასავით მიმიღეს თავიანთ წრეში და ეტყობა წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რომ მათემატიკაში სრულიად უვიცი ვარ“ – თქვა ადამიანმა, რომლის ნახატების გარეშე, მეოცე საუკუნის არც ერთი მათემატიკის და ფიზიკის წიგნი არ გამოსულა.

აღმოჩნდა, რომ ეშერის ნახატების დახმარებით შესაძლებელი გახდა მრავალი რთული მათემატიკური ცნების ახსნა. როდესაც კომპიუტერული ტექნიკა დაიხვეწა, მეცნიერებმა დაიწყეს მის მიერ

დახატული ფიგურების თვისებების შესწავლა და კომპიუტერის დახმარებით აგება იმისა რასაც მხატვარი ხელით, ხელითვე დახაზულ ბადეში ხატავდა.

მოზაიკის მსგავს ნახატებში, მხატვარმა გააცოცხლა გეომეტრიული ფიგურები – გეომეტრიული ფორმებიდან „გამოჩეკილი“ სხვადასხვა ცხოველის გამოსახულება სიმეტრიულად მოწესრიგებულ ნახატად აქცია. ასეთ ნახატებს „მეტამორფოზები“ ანუ სახეცვლილება, გარდაქმნა ეწოდება.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაათვალიერებენ ეშერის ნახატებს, მასწავლებელი შეეკითხება მათ:

- თქვენი აზრით, მხატვრობის რომელ ჟანრს მიეკუთვნება ეშერის ნახატები?
- რა ფიგურებია დახატული ნახატებზე?
- რატომ ეწოდება ამ ნახატებს „მეტამორფოზები“?
- რა არის უცნაური ამ ნახატებში?

აქტივობა:

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად. წყვილები გაინაწილებენ ფერად ქაღალდებს.

ფერად ქაღალდებს დაკეცავენ სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციის დახმარებით და ნაკეცების მიხედვით გამოჭრიან სამკუთხედებს.

ფერადი სამკუთხედებით, მოზაიკის პრინციპით, აეწყობა და სახატავ ფურცელზე დაწებდება ორნამენტული მოტივი.

მოსწავლეები დამთავრებულ ნამუშევრებს ერთმანეთს უკნიდან სკოჩებით გადააწებებენ და ერთ მთლიან ნამუშევრად აკინძავენ.

http://www.shodor.org/interactivate/activities/Tessellate/

ლეონარდოს იგავი

მიზანი:

წარმოსახვის უნარის გაღვივება;

მოსმენილი ამბის ილუსტრირების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 1.

ს.გ.III.4. – 1, 2, 4, 5, 6.

ს.გ.III.5. – 9

ასათვისებელი ტერმინები:

ლეონარდო და ვინჩი

მასალა:

სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

ვიზუალური მასალა:

შუა საუკუნეების გობელენები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი წინასწარ ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათ მოსმენილი ამბის ილუსტრაცია უნდა შექმნან, ანუ დაასურათონ.

- რა არის ილუსტრაცია? – ილუსტრაცია რაიმე ტექსტის უკეთ გასაგებად შექმნილი ნახატია.

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ლეონარდო და ვინჩის იგავს. აჩვენებს შუა საუკუნეების გობელენების (კედელზე დასაკიდებელი ნაქსოვი სამშვენისი) ილუსტრაციებს (პარიზი, კლუნის მუზეუმი) და ეკითხება, რა არის ასახული მათზე. მასწავლებელი უხსნის, რომ მარტორქა ცხენი შუბლზე მაღალი რქით, რომელსაც ზოგჯერ ლიკორნად მოიხსენიებენ, ზღაპრული, გამოგონილი, ფანტასტიკური არსებაა. შესაძლოა, მოსწავლეებმა გაიხსენონ, რომ ასეთი არსება ჰარი პოტერის თავგადასავლიდან ახსოვთ. შუა საუკუნეებში სწამდათ, რომ მარტორქა ცხენის მოთვინიერება მხოლოდ ქალწულებს შეეძლოთ, ხოლო თუ აღვირს გამოსდებდი, მხოლოდ ოქროსას იჩერებდნენ.

თუ დრო დარჩება, მასწავლებელს შეუძლია შემდეგი რამ უამბოს მოსწავლეებს:

– ასეთი ცხენი ქართველი მეფის გერბზეც იყო გამოსახული. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-12-ის ვაჟი, ცნობილი ქართველი მოღვაწე იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) წერდა, რომ დავით IV აღმაშენებლის გერბზე (გერბი – საგვარეულო, პროფესიული ან სახელმწიფო განმასხვავებელი ნიშანი სიმბოლური გამოსახულებებით) გამოსახული იყო „ცხენი რქოსანი“: „ღერბსა ამა მეფისა შეჰსძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან, მიმავალმან მარტოდ ტფილისიდან ქუთაისს საშენებელად... იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შინა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან... აღუდვა ლაგამი წმინდის გიორგის ცხენისა... ცხენი იგი ესრეთი იყო მკვირცხლ და მალი, რომელ

ერთს დღეს ადრე მივიდის ტფილისიდგან ქუთაის და მუნიდგან ქართლს და ქართლიდან კახეთს“.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შემდეგ გაკვეთილზე მოიტანონ მათი საყვარელი ილუსტრირებული წიგნი, აჩვენონ მეგობრებს და ისაუბრონ, რატომ მოსწონთ ეს ილუსტრაციები.

შემაჯამებელი კითხვები:

- რას ნიშნავს ილუსტრაცია?
- რომელი წიგნის ილუსტრაცია მოგწონთ ყველაზე მეტად?
- რომელი ეპიზოდი დაგამახსოვრდათ ყველაზე უკეთ?
- რამ მოახდინა შთაბეჭდილება?
- რომელი ეპიზოდის ილუსტრაცია დახატე?
- რატომ ამოარჩიე ეს ეპიზოდი?
- ისე გამოგივიდა, როგორც ვარაუდობდი თუ რაიმე სხვაგვარად დახატე? რატომ?
- ყველაზე უკეთ რა გამოგივიდა საკუთარ ილუსტრაციაში?
- რამეს ხომ არ შეცვლიდი?
- ვისი ნამუშევარი მოგწონს ყველაზე მეტად?
- რას ნიშნავს გობელენი?
- ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება გობელენი?

აქტივობა:

მოსწავლეები წარმოსახვით ხატავენ ლეონარდო და ვინჩის იგავის ილუსტრაციებს და წარუდგენენ კლასს – საუბრობენ, თუ რომელი ეპიზოდია ასახული მათ ნახატზე.

შემდეგ გაკვეთილზე მოსწავლეებს მოაქვთ მათი საყვარელი ილუსტრირებული წიგნი, აჩვენებენ მეგობრებს და საუბრობენ, რატომ მოსწონთ ეს ილუსტრაციები.

თხზულება „სიზმარი“

მიზანი:

მხატვრობიდან მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარების უნარი; წარმოსახვის უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.III.4. – 2, 4.
ს.გ.III.5. – 1, 2, 3, 9, 10.

მასალა:

ფურცელი, კალამი, ცნობილ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციები.

ვიზუალური მასალა:

იაპონელი კინორეჟისორის აკირა კუროსავას ფილმის „სიზმრები“ შესაბამისი ნოველის (“ყვავები“) ბმული: http://net.adjara.com/Movie/main?id=4455 1.03 წთ-იდან 1.13 წთ-მდე. ფილმი გახმოვანებულია ქართულად;

ცნობილ მხატვართა ფერწერული ნამუშევრების (სასურველია, ყოფითი ჟანრის, თუმცა, შესაძლებელია სხვა ჟანრების ნაწარმოებებიც) რეპროდუქციები (თითო მოსწავლეს თითო).

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოს შესაბამისი გაკვეთილის ტექსტს. მასწავლებელი აჩვენებს მათ 10-წუთიან ნოველას „ყვავები“ იაპონელი კინორეჟისორის აკირა კუროსავას ფილმიდან „სიზმრები“. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება:

- ნაცნობია თქვენთვის ეს გრძნობა? რომელი წიგნის კითხვისას ან ფილმის ყურებისას გაგჩენიათ? განგიცდიათ მსგავსი რამ ნახატის თვალიერებისას? მოდით, ახლა ვსინჯოთ.

მასწავლებელი შეურჩევს მოსწავლეებს ცნობილ მხატვართა ფერწერული ნამუშევრების რეპროდუქციებს (რეკომენდაცია: პიტერ ბრეიგელი, იან ვან ეიკი, დიეგო ველასკესი, კვენტინ მასეისი, პიტერ დე ჰოოხი, იან ვერმეერი, ადრიან ვან ოსტადე, ანტუან ვატო, ჟან ფრანსუა მილე, ჟან სიმეონ შარდენი, პ. ფედოტოვი, ვ. პეროვი, ი. ფირსოვი, ა. ვენეციანოვი, ი. რეპინი, სპარსული მინიატურა, ძმები ლიმბურგების „ჰერცოგ ბერიელის ჟამნის“ მინიატურები, ედუარდ მანე, ედგარ დეგა, ოგიუსტ რენუარი, პოლ გოგენი, მარი კასატი, პაბლო პიკასოს ცისფერი და ვარდისფერი პერიოდები, ნიკო ფიროსმანი, ალექსანდრე მრევლიშვილი და სხვ. სასურველია, თითო მოსწავლეს შეურჩიოთ ყოფითი ჟანრის თითო ნამუშევარი). შემდეგ მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თხზულების მოთხოვნებს. ბავშვებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ იმ სურათში აღმოჩნდნენ.

გთავაზობთ თხზულების გეგმასა და აბზაცების პირველი წინადადებების დასაწყისს:

1. აღწერეთ, რას ხედავთ – დაიწყეთ მთავარით, რაც უფრო მეტად იქცევს ყურადღებას. შემდეგ გადადით დეტალებზე (სად იმყოფებით; ვისთან ერთად; რა დროა; რა ხდება; რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამ მომენტამდე; როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები);

2. რა გრძნობა დაგეუფლათ? რატომ?
3. „გაღვიძების“ შემდეგ მიუთითეთ, სადაური და რომელი მხატვრის რომელი ჟანრის რომელი სურათი „დაგსიზმრებიათ“.

მუზეუმიდან შთაბეჭდილებებით სავსე დავბრუნდი. დაღლილს მალე ჩამეძინა. უცებ სხვაგან აღმოვჩნდი. დავინახე, რომ . . .

ვიგრძენი, რომ. . . .

გამეღვიძა და მივხვდი, რომ დამესიზმრა ცნობილი (სადაური). . . . . .
მხატვრის (სახელი და გვარი), ...
. . . . . ჟანრის (გრაფიკული/ფერწერული) სურათი,
სახელწოდებით . . . . . .
თხზულების ავტორი: III კლასის მოსწავლე . .. . თარიღი . . . . . .

აქტივობა:

მოსწავლეები უყურებენ ფილმს, მსჯელობენ და ინსტრუქციის მიხედვით წერენ თხზულებას. შემდეგ გაკვეთილზე ისინი ხმამაღლა კითხულობენ თხზულებებს და გამოთქვამენ აზრს ერთმანეთის ნაწერების შესახებ.

II თემა: ჟანრები

რას გვიამბობს სურათი

2 გაკვეთილი

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოების შესახებ მსჯელობის უნარის განვითარება; ხელოვნების, როგორც კომუნიკაციის საშუალების გაცნობიერებისა და გამოყენების უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 1, 2, 6.
ს.გ.III.2. – 1
ს.გ.III.3. – 1, 2, 5.
ს.გ.III.4. – 2, 4, 5, 6.
ს.გ.III.5. – 2, 3, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

პლენერი, მოლბერტი, ყოფითი ჟანრი

მასალა:

ამობეჭდილი ილუსტრაციები, 4 ტიპის ერთნაირნახატიანი ბარათები, საწერი ფურცელი, კალამი; სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

ვიზუალური მასალა:

კლოდ მონე. „ქალი მზის ქოლგით“:
ედუარდ მანე. „მონეს ოჯახი მათ ბაღში არჟანტეიში“:
ოგიუსტ რენუარი. „კამილა მონე და მისი ვაჟი ჟანი მათ ბაღში არჟანტეიში“.
ოგიუსტ რენუარი. „კამილა მონე და მისი ვაჟი მედოუში“:

გაკვეთილის მსვლელობა:

ამ გაკვეთილისთვის მასწავლებელმა ოთხივე ილუსტრაცია უნდა ამობეჭდოს. სასურველია, ფერადი. თუ არა, კარგი ხარისხის შავ-თეთრი მაინც (იხ.: დანართი). ასეთ შემთხვევაში, ფერებზე დასაკვირვებლად, კომპიუტერის მონიტორზე ერთდროულად ოთხივე ილუსტრაცია უნდა განთავსდეს). მასწავლებელმა წინასწარ, კლასი ოთხ ჯგუფად უნდა დაყოს. შესაბამისად, წინასწარვე გაამზადოს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი, 4 ტიპის ერთნაირნახატიანი ბარათები. ბარათებს დაახატოს თემასთან დაკავშირებული გამოსახულებები, ვთქვათ, ქოლგა, მარაო, ქათამი ან მამალი და შლაპა. პირობითად, თუ კლასში 20 მოსწავლეა, საჭიროა 5-5 ბარათი ერთნაირი ნახატით. შესაძლებელია ამოცანის გამარტივება – ნახატების ნაცვლად – 5-5 სხვადასხვა ფერის ბარათის დარიგება ან ბარათების დანომვრა, მაგრამ ნახატები უფრო სახალისო გარემოს შექმნის. კლასში შემოსვლისას მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, მაგიდაზე უკუღმა დაყრილი ბარათებიდან თითო აიღონ.

- ხელი აწიეთ, ვის შეგხვდათ ქოლგა? ქოლგიანები ერთად დასხედით. ვინც მარაო აიღეთ, დაჯგუფდით და ასე შემდეგ. თუ ყველამ იპოვა საკუთარი ჯგუფი, საქმეს შევუდგეთ. მოდით, ვითამაშოთ „ვინ, სად, როდის“. ყველა თამაშს წესები სჭირდება, რომ ყველა დაემორჩილოს და არეულობა არ იყოს. თუ წესებს დავარღვევთ, თამაში არ გამოვა, ვინმე გაღიზიანდება და ცუდ ხასიათზე დადგება. თუ გვინდა, რომ ამ გაკვეთილიდან ყველა ნასიამოვნები დარჩეს, წესები უნდა დავიცვათ.
- მე დაგირიგებთ ილუსტრაციებს. თითო ჯგუფს თითო ნამუშევარი გერგებათ. თქვენ კი სურათებს დააკვირდებით და დაფაზე ჩამოწერილი კითხვების მიხედვით, პასუხებს მოამზადებთ. გამარჯვებული ის ჯგუფი იქნება, რომელიც ყველაზე სრულ, ამომწურავ პასუხებს გასცემს. ამისთვის 15 წუთი გეძლევათ. მე დროს გამოვთვლი და როდესაც ტაშს დავუკრავ, მსჯელობა დაიწყეთ. ჩურჩულით უნდა იმსჯელოთ, რომ ჯგუფებმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალოთ. შემდეგი ტაში უკვე საქმის შეწყვეტის ნიშანი იქნება (ტაშის ნაცვლად შესაძლებელია ზანზალაკის აჟღარუნება ან საყვირში ჩაბერვა, რაც უფრო სახალისოს გახდის თამაშს).

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ოთხივე ფერწერული ტილოს ილუსტრაციებს. ფერებზე დასაკვირვებლად, კომპიუტერის მონიტორზე ერთდროულად ოთხივე ილუსტრაცია უნდა განთავსდეს).

დაფაზე წინასწარ ჩამოწერილია კითხვები:

ვინ?	ვინ და რამდენი?	რა ასაკის?	რა აცვიათ?	რას აკეთებენ?
სად?	ქალაქი/სოფელი?	სახლში თუ გარეთ?	რას ხედავთ გარშემო?	
როდის?	ძველი თუ ახალი დრო?	წელიწადის დრო?	დღე/საღამო/ღამე?	
ფერები?	ყველაზე ხშირად გამოყენებული?	საშუალო რაოდენობით?	ყველაზე ცოტა?	

დროის ამუწურვის შემდეგ მასწავლებელი ტაშს უკრავს და ჯგუფებში მსჯელობა წყდება. ჯგუფის წევრები რიგრიგობით პასუხობენ კითხვებს, რომ ყველას მოუწიოს რაღაცის თქმა. მასწავლებელი აკონტროლებს, რომ მოსწავლეებმა საუბარი არ გააწყვეტინონ ერთმანეთს. დასასრულს, მასწავლებელი აჯამებს შედეგებს, რამდენად ამომწურავი იყო მათი პასუხები, რაიმე ხომ არ გამორჩათ ან არასწორად განსაზღვრეს. რომელიმე ჯგუფი ხომ არ ხმაურობდა და ხელს უშლიდა სხვებს და ა.შ. სიტყვიერად შეაფასებს მოსწავლეების დაკვირვებულობას, ჯგუფში მუშაობას და სამომავლო რჩევებს მისცემს.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს სახელმძღვანელოში. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- თქვენ რომელი მხატვრის ნამუშევარი მოგწონთ მეტად? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, ედუარდ მანე ცდებოდა თუ მართალი იყო? თუ ერთ ადამიანს ნამუშევარი არ მოსწონს, ეს აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ ცუდია? (არა. სხვას შეიძლება მოსწონდეს).
- საქმე ისაა, რომ მანამდე ზოგიერთი ადამიანი ედუარდ მანეს ნახატებსაც იწუნებდა. მაგალითად ცნობილია, რომ მის ერთ-ერთ ნამუშევარს გამოფენის მნახველები ქოლგებს და ხელჯოხებს უღერებდნენ, რადგან არ მოეწონათ. როგორ გგონიათ, სწორად იქცეოდნენ? თუ რაიმე არ მოგვწონს, შეგვიძლია ვთქვათ, რატომ არ მოგვწონს, მაგრამ სხვისი ნამუშევრის გაფუჭება

და ასეთი სიტყვებითა თუ საქციელით დაწუნება მას მხოლოდ გულს ატკენს. თქვენც უნდა გაუფრთხილდეთ ერთმანეთის ნამუშევრებს და თუ რაიმე არ მოგეწონებათ, თავაზიანად უნდა ურჩიოთ, რისი გამოსწორება შეიძლება. რა მოხდება, თანაკლასელის ნახატი რომ დაჭმუჭნოთ, დახიოთ, რაიმე მიახატოთ? (ეწყინება, გაიბუტება, შეიძლება მომავალში თქვენთან მეგობრობა გაუჭირდეს).

- თუ შემთხვევით გაუფუჭებთ ნამუშევარს, აჯობებს მაშინვე ბოდიში მოუხადოთ და გამოსწორებაში დაეხმაროთ. მაშინ უთანხმოება არ მოხდება და ყველა ბედნიერი იქნება. მეგობრულმა, კეთილგანწყობილმა ქცევამ შეიძლება ნამუშევრის გაფუჭებით მიყენებული გულისტკივილი გააქარწყლოს.
- რა მოხდებოდა, კლოდ მონეს მართლაც რომ ეთქვა რენუარისთვის, ხატვა არ იციო? (რენუარს ეწყინებოდა, გაებუტებოდა. შესაძლებელია მართლაც დაენებებინა თავი ხატვისთვის და ამ შემთხვევის გამო, ბევრი კარგი ნამუშევარი აღარ შეიქმნებოდა).
- მოდით, ახლა ვნახოთ კლოდ მონეს სხვა ნამუშევრები, სადაც მან მეუღლე კამილა და ვაჟი, ჟანი დახატა.

მასწავლებელი ათვალიერებინებს მოსწავლეებს დამატებით მასალას ელექტრონული რესურსიდან და ეკითხება:

- რა შეიტყვეთ ახალი ამ ოჯახის შესახებ? (მათ ლამაზი და მოვლილი ბაღი და სახლი ჰქონიათ; კარგ ამინდში ბაღში სეირნობდნენ; ბიჭუნას ბალახზე კოტრიალი უყვარდა; იმ დროს ქალებს გრძელი კაბები ეცვათ და ა.შ.)
- მოგეწონათ ეს ბაღი? რატომ? თქვენი საცხოვრებელი გარემო ჰგავს მონეს ოჯახისას თუ განსხვავდება? გიყვართ ბალახზე კოტრიალი? როგორი განწყობა შეგიქმნათ ამ ნამუშევრებმა?
- როგორ ფიქრობთ, ეს ფერწერული ტილოები თქვენთვის ნაცნობ რომელ ჟანრს მიეკუთვნება? ნატურმორტი შეგვიძლია გამოვრიცხოთ. რატომ გამოვრიცხავთ ნატურმორტს? რას ასახავს ნატურმორტი? – უსულო საგნებს.
- მართალია, ამბავი პეიზაჟის ფონზეა გამოსახული, მაგრამ პეიზაჟი არ არის. თუმცა აქ ადამიანებია დახატული, მაგრამ არც პორტრეტია. მაშ რა ჟანრია?
- ამ ჟანრს ყოფითი ჟანრი ეწოდება. ყოფითი ჟანრი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს.

აქტივობა:

მოსწავლეები მსჯელობენ ნამუშევრების შესახებ და შემდეგ გაკვეთილზე ფერადი ფანქრებით ხატავენ ერთსა და იმავე ხედს საკლასო ოთახის ფანჯრიდან ან გადიან „პლენერზე“ (ღია ცის ქვეშ, ეზოში) და ხატავენ ერთსა და იმავე ხედს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რას ნიშნავს მოლბერტი?
- რას ასახავს ყოფითი ჟანრი?
- რა არის პლენერი?
- რის შესაძლებლობას იძლევა პლენერზე ხატვა?

ქალაქის პეიზაჟი

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს პეიზაჟის ერთერთი სახეობა – ქალაქის პეიზაჟი.
შერეული ტექნიკით ნამუშევრის შექმნის უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 2, 3.
ს.გ. III.2. – 1, 4.
ს.გ. III.4. – 2, 3, 4.
ს.გ. III.5. – 1, 2.

ასათვისებელი ტერმინები:

პეიზაჟი
ურბანული
ფაქტურა

მასალა:

ფოლები
სახატავი ფურცლები
გუაშის საღებავები
ფუნჯი
ღრუბელი
წყალი
პალიტრა

ვიზუალური მასალა:

მორის უტრილოს ქალაქის პეიზაჟები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მორის უტრილოს ქალაქის პეიზაჟებს და გამოკითხავს მათ, თუ სახვითი ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნებიან, რა არის გამოსახული ამ ნამუშევრებში და ფერწერის რომელ ჟანრს განეკუთვნებიან ისინი.

მოსწავლეები იმსჯელებენ მორის უტრილოს პეიზაჟების შესახებ. მასწავლებელი დამხმარე შეკითხვებით მიმართულებას მისცემს მათ მსჯელობას – რა არის გამოსახული პეიზაჟებზე? როგორი ფერებითაა შესრულებული ტილოები? რა არის მთავარი სურათებზე და რა ფუნქცია აქვთ ადამიანებს ნამუშევრებში. მოსწავლეების განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მხატვრის მიერ მკვეთრი ხაზების გამოყენების მანერასა და აგრეთვე იმაზე, თუ როგორ ოსტატურად ხმარობს მხატვარი თეთრ ფერს, როგორი მეტყველი, მდიდარი და ფაქტურულია თეთრი ფერი მის ნამუშევრებში.

ანაბეჭდის შესრულების ტექნიკა:

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, დახატონ ქალაქის ხედი ხეებით.

ხეების დასახატად კი გამოიყენონ ფოთლების ანაბეჭდები.

ანაბეჭდის გასაკეთებლად, ფოთლებს, ძარღვიანი მხრიდან, ფუნჯით ან ღრუბელით უნდა წაესვას საღებავი.

საღებავიანი ფოთოლი შეღებილი მხრიდან დაედოს მომზადებულ ფონს.

აქტივობა:

მოსწავლეები საღებავებით დახატავენ სახლებს, ხოლო სახლების ფონზე, ფოთლების ანაბეჭდებით დახატავენ ხეებს.

იაპონური პეიზაჟი

მიზანი:

შერეული მასალით მუშაობის ტექნიკის ათვისება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2, 3.
ს.გ. III.2. – 1, 4.
ს.გ. III.3. - 3

ასათვისებელი ტერმინები:

პეიზაჟი, ფაქტურა, იმიტაცია, ილუზია

მასალა:

მუყაო, ან სქელი სახატავი (აკვარელის) ქაღალდი,
გაზეთი (დასაფენად),
წებო პვა,
წებოს ფუნჯი,
ქვიშა,
მსხვილი მარილი
გუაში, წყალი,
ფუნჯი, ფანქარი.

ვიზუალური მასალა:

კაცუსიკა ჰოკუსაის პეიზაჟები

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს განმარტონ, თუ რა არის პეიზაჟი, რა შეიძლება აისახოს პეიზაჟზე; უპასუხონ, და დაასაბუთონ პასუხები:

– შეიძლება თუ არა, ნახატს, რომელზეც ასახულია ადამიანები, ვუწოდოთ პეიზაჟი.

– შეიძლება თუ არა, ნახატს, რომელზეც ასახულია ცხოველები, ვუწოდოთ პეიზაჟი.

(თუ ნახატზე ასახული ადამიანები ან ცხოველები არ არის მთავარი, ხოლო მთავარია გარემოს ხედი, მაშინ ნახატი პეიზაჟია.)

– დღეს ჩვენ გავაკეთებთ პეიზაჟს შერეული მასალით. ვისწავლით, თუ როგორ გავამდიდროთ ჩვენი ნამუშევარი სხვადასხვა ფაქტურებით და ეფექტებით იმისთვის, რომ ფაქტურის იმიტაციით, მაყურებელს ჩვენთვის სასურველი ილუზია შევუქმნათ.

მასწავლებელი იკითხავს

– რას ნიშნავდა ეს რთული სიტყვებით დახუნძლული წინადადება?

შემდეგ დაფაზე დაწერს სიტყვებს: ფაქტურა, იმიტაცია და ილუზია და იკითხავს:

– რას ნიშნავს ეს სამი სიტყვა?

მოსწავლეები იმსჯელებენ ამ სიტყვების მნიშვნელობაზე და მასწავლებლის დახმარებით მივლენ დასკვნამდე, რომ

იმიტაცია ნიშნავს რაიმეს მიბაძვას, მიმსგავსებას;

ილუზია ნიშნავს მოჩვენებით წარმოდგენას, რაიმეს არასწორად აღქმას;

ფაქტურა კი ნიშნავს ზედაპირის თავისებურებას, მაგ. სიპრიალეს ან ხაოიანობას.

აქტივობა:

მასწავლებელი ამბობს:

- მოდით, დავხატოთ პეიზაჟი თოვლიანი მთებით.
- იმისთვის, რომ მაყურებელს თოვლიანი მთების ილუზია შევუქმნათ, გამოვიყენოთ მარილი, მიწის იმიტაციისთვის კი ვიხმაროთ ქვიშა.

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნის წესებს:

1. ფანქრით იხატება ესკიზი.
2. საღებავებით გაფერადდება ნახატის ის ნაწილები, სადაც მიწა არ იგულისხმება.
3. მთების თოვლიანი ნაწილები შეიღებება წებოში გაზავებული თეთრი ან ცისფერი საღებავით და მანამ საღებავი სველია, დაეყრება მას მარილი.
4. ნახატის იმ ადგილებს, სადაც მიწა უნდა იყოს, წაესმება წებო და დაეყრება ქვიშა.
5. ამის მერე, ფურცელი უნდა გადმოტრიალდეს და თითების ნაზი დარტყმით, გაზეთზე, ჩამოიყაროს ზედმეტი ქვიშა და მარილი.

როცა ნამუშევარი გაშრება, მარილი აბრჭყვიალდება და თოვლის ილუზიას შექმნის, დაწებებული ქვიშა კი მიწის იმიტაცია იქნება.

დამატებითი რჩევები:

გამშრალი და დაწებებული ქვიშა შეიძლება გაფერადდეს გუაშის საღებავით.

ასეთივე ტექნიკით იხმარება ბრინჯი, წიწიბურა, სიმინდის ფქვილი, ჩაი, ყვითელი ყვავილი, ქინძის მარცვლები და სხვა ფხვიერი მასალა სხვადასხვა ფერის და ფაქტურის ზედაპირის მისაღებად.

ამ ტექნიკით შეიძლება კოლოფების, ბოთლების, ღია ბარათების, მაკეტების და სხვა ნივთების გაფორმება.

ზამთრის პეიზაჟი აღწერით

მიზანი:

სურათების სიტყვიერად აღწერის უნარის გამომუშავება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2, 5.
ს.გ. III.2. – 1.
ს.გ. III.4. – 1.

მასალა:

საწერი ფურცელი, ფანქარი
სახატავი ფურცელი
აკვარელის ან გუაშის საღებავები
ფუნჯი, წყალი, პლასტმასის პალიტრა

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ამბობს:

- დახუჭეთ თვალები, და წარმოიდგინეთ ზამთრის თოვლიანი, ცივი, მოღუშული დღე. რა ფერებით დახატავდით ასეთ სურათს?
- ახლა კი, წარმოიდგინეთ ზამთრის თოვლიანი, ცივი, მაგრამ მზიანი დღე. რა ფერებით დახატავდით ამ სურათს?
- როგორი ფერებით განასხვავებთ ერთმანეთისგან ამ ორ სურათს და რა ფერები იქნება ერთნაირი?

დღეს ჩვენ დავხატავთ ორნაირ ზამთრის პეიზაჟს – ერთზე მოღრუბლული ამინდი იქნება გამოსახული, მეორეზე კი მზიანი ოღონდ, მანამ ხატვას შეუდგებით, გადაწყვიტეთ რომელი პეიზაჟის დახატვა გსურთ და პატარა ფურცლებზე, სიტყვიერად აღწერეთ ნახატი, რომლის დახატვასაც აპირებთ.

დაწერეთ, რას დაარქმევთ ნამუშევარს, რა იქნება მასზე გამოსახული და რა ფერებით. დახატავთ თუ არა ადამიანებს ან ცხოველებს და თუ დახატავთ, რას გააკეთებენ ისინი თქვენს ნახატებში. შემდეგ, შეეცადეთ, ზუსტად გაიმეოროთ ნახატში ის, რაც ფურცელზეა აღწერილი. ნახატის აღწერას უკან დააწერეთ თქვენი სახელები, ნახატი კი, მონიშნეთ რაიმე საიდუმლო ნიშნით.

მე წავიკითხავ აღწერებს და შევეცდები გამოვიცნო, რომელი ნახატები შეესაბამება მათ.

აქტივობა:

მოსწავლეები დაწერენ ფანქრით, ფურცელზე სურათის აღწერას, რის შემდეგაც, აღწერის მიხედვით, დახატავენ ზამთრის პეიზაჟებს.

პორტრეტი და ავტოპორტრეტი

მიზანი:

სახვითი ხელოვნების ჟანრების ამოცნობის უნარი
პორტრეტული ჟანრის თავისებურებების და დამახასიათებელი ნიშნების გაცნობა

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 3.
ს.გ. III.2. – 1.
ს.გ. III.4. – 2, 3, 4.
ს.გ. III.5. – 1, 2, 3.

ასათვისებელი ტერმინები:

პორტრეტი
ავტოპორტრეტი
ვერტიკალური
კომპოზიცია

მასალა:

2 სახატავი ფურცელი
ნებისმიერი სახატავი მასალა

ვიზუალური მასალა:

პორტრეტის, ნატურმორტის, პეიზაჟის ამსახველი ბარათები
ფიროსმანის „გოგო ბუშტით“, „მეეზოვე“, „მეთევზე“
ცნობილი მხატვრების ავტოპორტრეტები
რამდენიმე, მოსწავლეების მიერ დახატული ადამიანის გამოსახულება

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები სხვადასხვა მხატვრის პორტრეტებსა და დაათვალიერებენ

- რა მასალითაა შესრულებული ეს პორტრეტი? რა ქვია ხელოვნების დარგს, რომელიც ამ მასალითაა შესრულებული? (ფანქრით – გრაფიკა, საღებავით – ფერწერა, ქვაში – ქანდაკება).

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს:

- ჩვენ ვიცით, რომ პორტრეტზე მთავარია ადამიანი. ესე იგი, პორტრეტზე ყოველთვის გამოსახულია ადამიანი, მაგრამ არსებობს სურათები, რომლებზეც ადამიანია გამოსახული, მაგრამ მათ პორტრეტებს არ ვეძახით – მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში, სურათების ქვეშ გაკეთებულ წარწერებზე:
- ამ ნახატს „მეთევზე“ ქვია, ამას კი „ნაღვლიანი მოხუცი“, ამ ნახატზე პიკასომ მისი შვილი, პოლი დახატა, აქ კი პიკასომ თავისი თავი დახატა.

- როგორ ფიქრობთ, ამ ნახატებიდან რომელია პორტრეტი და რომელი არა? რატომ?

ნახატზე, რომელსაც პორტრეტს ვეძახით, ყოველთვის გამოსახულია ნამდვილი, არა მოგონილი ადამიანი – ადამიანი, რომელიც სინამდვილეში არსებობდა, ანდ სურათი წარმოადგენს რომელიმე ისტორიული პირის წარმოსახვით დახატულ სახეს.

ამ ნახატებზე, მასწავლებელი აჩვენებს ბავშვების მიერ დახატულ ადამიანებს – თქვენი მოგონილი ადამიანებია დახატული ამიტომ, ეს ნახატები არ არის პორტრეტები.

მხატვრები ხშირად ხატავენ საკუთარ თავს – ასეთ ნახატებს ავტოპორტრეტს ვეძახით.

აქტივობა:

დღეს ჩვენ დავხატავთ პორტრეტსაც და ავტოპორტრეტსაც.

ჯერ დავხატოთ ავტოპორტრეტი. ყოველი თქვენგანი დახატავს საკუთარ თავს. არ არის აუცილებელი ზუსტი მსგავსების გადმოცემა. დაფიქრდით, და გაიხსენეთ, რა არის ყოველი თქვენგანის დამახასიათებელი ნიშანი – ვარცხნილობა, ჩაცმულობა, ხასიათი;

ნახატებს უკან დააწერეთ თქვენი სახელები, მე კი შევეცდები ამოვიცნო, თუ ვინ ხატია ნახატებზე.

როდესაც მოსწავლეები დახატავენ ავტოპორტრეტებს, მასწავლებელი ეტყვის:

- ახლა კი, დახატეთ ჩემი პორტრეტი.

მასწავლებელი დგება ისეთ ადგილას, საიდანაც ყველა მოსწავლე მას კარგად დაინახავს და ამბობს:

- შემომხედეთ და კარგად დამაკვირდით, როგორი ვარცხნილობა მაქვს, როგორი გამომეტყველება, რა მაცვია... დახატეთ ის მთავარი ნიშნები, რომლებიც მე მახასიათებს. ხატვის დროს ხშირად შემომხედეთ ხოლმე, რომ რაიმე არ გამოგრჩეთ.

ფიროსმანის პორტრეტი

მიზანი:

პერსონაჟის აღწერის და წარმოსახვით ხატვის უნარის განვითარება,
ხელოვნების ნაწარმოებებზე მსჯელობის, მათი შედარების, გარჩევის, უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ. III.4. – 2.
ს.გ. III.5. – 2, 7.

ასათვისებელი ტერმინები:

პერსონაჟი

ვიზუალური მასალა:

ნიკო ფიროსმანის „თამარ მეფე“, „აკტრისა მარგარიტა“ და „სონა გორაშვილი უკრავს აკორდეონზე“ სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული ნიკო ფიროსმანის პორტრეტები.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ამბობს:

- რა არის პორტრეტი? – პორტრეტი სახვითი ხელოვნების ერთერთი ძირითადი ჟანრია. პორტრეტი არის რეალურად არსებული ადამიანის გამოსახულება. ეს შეიძლება იყოს ფოტოსურათი, ქანდაკება ან ნახატი. პორტრეტი შეიძლება გამოსახავდეს ერთ ან რამდენიმე ადამიანს; პორტრეტში ადამიანი შეიძლება იყოს გამოსახული მთლიანად, წელამდე, მხრებამდე; არსებობს ცხენზე შემჯდარი ადამიანის პორტრეტებიც.
- გაიხსენეთ და დაასახელეთ, რომელი ცნობილი ადამიანების პორტრეტები კიდია ჩვენს სკოლაში?
- კიდევ სად და ვისი პორტრეტი გინახავთ?

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ნიკო ფიროსმანის მიერ დახატულ „თამარ მეფის“, „შოთა რუსთაველის“ და „სონა გორაშვილის“ პორტრეტებს (იხ. ელექტრონული რესურსი).

მოსწავლეები შეადარებენ და იმსჯელებენ, რა ხერხით განასხვავებს ფიროსმანი პორტრეტებს – რა განსხვავებაა ჩაცმულობაში, რა დეტალებით გვაჩვენებს მათ ხასიათს, რითი მიგვანიშნებს მათ წარმომავლობაზე მხატვარი.

შემდეგ მოსწავლეები დაათვალიერებენ და გაარჩევენ სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებულ პორტრეტებს, რომლებზეც ნიკო ფიროსმანია გამოსახული.

იმსჯელებენ, არის თუ არა მსგავსება ნიკო ფიროსმანის ფოტოპორტრეტსა და ავტოპორტრეტს შორის, არის თუ არა მსგავსება სხვა მხატვრების მიერ დახატულ ფიროსმანის პორტრეტებში, გამოთქვამენ აზრს, თუ რა შთაბეჭდილება შეექმნათ მხატვარზე მისი პორტრეტების ნახვისას. როგორ წარმოედგინათ ფიროსმანი, მანამ მის პორტრეტს ნახავდნენ.

1916 წელს თბილისში „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ სხდომა მოეწყო.

სხდომაზე ფიროსმანი მიიწვიეს. მხატვარი მაშინ 60 წლის იყო.

კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, რომელიც ამ სხდომას ესწრებოდა, იგონებდა:

„ფიროსმანაშვილი მხატვრებისგან მოშორებით იჯდა. აგიწერთ ნიკოს გარეგნობას, განსაკუთრებით სახეს, რომელიც მას შესანიშნავი ქონდა. სწორნაკვთებიანი სახე გასხივოსნებული იყო დიდი შავი თვალებით, ისინი ასხივებდნენ სიკეთესა და სიმშვიდეს, მისი შავი წვერი და თმა, გადატკეცილი სახე, ქართული ფრესკების გამოსახულებას მოგაგონებდათ. არაჩვეულებრივი და ამავე დროს წყნარი იყო ფიროსმანაშვილი“.

მხატვრებმა სხდომაზე ფიროსმანის გრაფიკული პორტრეტები გააკეთეს. ამის თაობაზე ჭიაურელი წერდა: „არცერთი მხატვრის მონახაზს არ შეეძლო დაეჭირა მისი სახის შთაგონებული გამომეტყველება“.

– ქართველმა მწერალმა რევაზ ინანიშვილმა მოთხრობაში „ფიროსმანი“, მხატვარი ასე აღწერა (მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ამონარიდს რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „ფიროსმანი“):

„...ასეთი კაცი იყო – მაღალი, ხმელ-ხმელი, პირქუში, ბოხხმიანი, და მაინც დამყოლი. ბავშვს რომ ეთქვა: არაფრის მაქნისი არა ხარ, არაფერს არ წარმოადგენ ამ ქვეყნისთვისო, თავზე მოფერებით გადაუსვამდა ხელს, ჩაეღიმებოდა და ასე მიუგებდა: მართალი ხარ, მეც ბევრჯერ მიფიქრია ამაზეო. მეგობარ მხატვრებთან ხომ შემოპარული კაცივით იქცეოდა. თუ, რა თქმა უნდა, ჟინის ჭია არ ჰყავდა შემჯდარი. არავინ არ იცის მისი დახლის ამბავი. სარდაფი ყოველთვის სავსე იყო მუშტრით, აურაცხელი ღვინო-არაყი ისმებოდა, სარდაფის პატრონს კი, ისევ „ხუდოჟნიკ ნიკალას“ რომ ეძახდნენ, ყოველთვის ერთი მუხლებთან გამობერილი „დიაგანალის“ შარვალი და სატინის ხალათი ეცვა, ყოველთვის დაბრეცილი ჩექმებით დადიოდა.

ეს კია – შაბათ საღამოს, როცა სხვა დუქნების შემოსავალი ერთიათად მატულობდა, ფიროსმანი სულ არ ვაჭრობდა. მაშინ ის მხრებში მოჭმუჭნულ პიჯაკს შემოიცვამდა, ჩექმებს ვაქსით გააპრიალებინებდა, თმას დაივარცხნიდა, ულვაშებს დაიპეწავდა და გოლოვინის პროსპექტზე გავიდოდა. მიდიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მძიმედ, ხველებ-ხველებით, ხან ამას დაუძახებდა სიცოცხლესა და გამარჯვებას, ხან იმას. თუ რაღაც საინტერესო რამ იყო – ქართულ თეატრში ან ოპერაში შეუხვევდა...“

მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, მიღებული შთაბეჭდილებით დახატონ ფიროსმანის პორტრეტი.

აქტივობა:

მოსწავლეები დახატავენ ნიკო ფიროსმანის პორტრეტს.

ნატურმორტი

მიზანი:

ნატურმორტის ჟანრთან გაცნობა;
ნატურმორტის ჟანრში ნამუშევრის შექმნის უნარი.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 2, 6.
ს.გ. III.2. – 1.
ს.გ. III.5. – 2, 3, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

ნატურმორტი

მასალა:

სახატავი ფურცელი, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფლომასტერები ან ფერადი ფანქრები.

ვიზუალური მასალა:

ძველი ეგვიპტური ნატურმორტი
პომპეის ნატურმორტები
ედვარდ კოლიე
პოლ სეზანი
პოლ გოგენი
ანრი მატისი
ნიკო ფიროსმანი
დავით კაკაბაძე

გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილის ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი ეუბნება:

- მხატვრობაში არსებობს ცალკე ჟანრი, – ნატურმორტი, რომელიც უსულო საგნებს ასახავს. დააკვირდით ილუსტრაციებს და ჩამოთვალეთ, რა საგნებს ხედავთ მათზე? (ჭურჭელი, საჭმელი, ქსოვილები, წიგნი, გლობუსი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ყვავილები და სხვ.).
- როგორ ფიქრობთ, რატომ მოუნდათ მხატვრებს მათი დახატვა? (ედვარდ კოლიე თითქოს თავისი ოსტატობით იწონებს თავს – საგნები ისეა დახატული, თითქოს ნამდვილია, ან ფოტო გეგონება. ანრი მატისს თითქოს სიმწვანეში მიმობნეული, თევზების წითელი ლაქები ხიბლავს).
- რა საგნები გეცნობათ ფიროსმანის და კაკაბაძის ნატურმორტებში? სად გინახავთ ეს საგნები? რას გაგონებთ?
- თქვენც შეგიძლიათ დახატოთ ნატურმორტი.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ალაგებს მარტივ ნატურმორტს (ერთ რიგში დაამწკრივებს საგნებს) და ბავშვები იწყებენ ხატვას.

საშინაო დავალებად მასწავლებელს შეუძლია გაუგზავნოს მოსწავლეებს პოლ სეზანის ნატურ-მორტების ონლაინ გასაფერადებელის ბმულები, დაავალოს გაფერადება, შენახვა და მასწავლებლისთ-ვის ელექტრონულად გაგზავნა:

http://www.thecolor.com/Coloring/paul-cezanne-compotier-and-still-life.aspx

http://www.thecolor.com/Coloring/paul-cezanne-curtain-jug-and-fruit.aspx

http://www.thecolor.com/Coloring/paul-cezanne-still-life-with-curtain.aspx

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ ნატურმორტს.

სურბარანის ნატურმორტები

მიზანი:

ნატურმორტის ჟანრთან გაცნობა;
ნატურიდან ხატვის უნარის განვითარება;
შუქ-ჩრდილის, სიმეტრიის მარტივად ასახვის უნარის შეძენა;
ხელოვნების ნაწარმოებზე მსჯელობის უნარის გაღვივება;

შედეგი:

ს.გ.III.1. – 2, 4, 5, 6, 8.
ს.გ.III.2. – 1.
ს.გ.III.5. – 1, 2, 3, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

ნატურმორტი, ნატურიდან ხატვა, მენატურე, შუქ-ჩრდილი, კონტრასტი, სიმეტრია

მასალა:

შავი ფერის ქაღალდი, თეთრი სახატავი ქაღალდი, პასტელი, მაკრატელი, წებო.

ვიზუალური მასალა:

სურბარანის ნატურმორტები
სქემა:

https://www.thecolor.com/Coloring/francisco-de-zurbaran-cup-of-water-and-a-rose.aspx

გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილზე შემოსულ მოსწავლეებს ხვდებათ ჭურჭლითა და ხილით გაწყობილი ნატურმორტი. ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ამოიწერონ ტექსტიდან ტერმინები: მწვანე ფანქრით ნაცნობი ტერმინები, წითელი ფანქრით კი – უცნობი, ახალი სიტყვები.

შემდეგ სთხოვს, წაიკითხონ მწვანე ფანქრით ამოწერილი ნაცნობი ტერმინები და განმარტონ ისინი ზეპირად – ვთქვათ, ნატურმორტი, შუქ-ჩრდილი, სიმეტრია.

- ნატურმორტი ფრანგული სიტყვაა და უსულო საგნებს ნიშნავს. ნატურმორტებში უსულო საგნებია ასახული.

- შუქ-ჩრდილი ნიშნავს სინათლის წყაროსგან განათებულ და პირიქით, სინათლეს მოფარებულ, დაჩრდილულ მხარეს. დააკვირდით, როგორ გამოჰყოფს სურბარანი საგნების განათებულ ადგილებს? – ღია ფერით.
- როგორ აღნიშნავს სურბარანი დაჩრდილულ ადგილებს? – მუქი ფერით.
- როგორია სიმეტრიული საგნები? – სიმეტრიულ საგნებში სიმეტრიის ღერძის ორივე მხარეს ფორმა მეორდება, თან ზომებიც იგივეა. სიმეტრიული საგანი ღერძის მიმართ თანაბარზომიერია.
- ზოგიერთი სიტყვის შინაარსს შესაძლოა თავადაც მიხვდეთ ტექსტიდან და ილუსტრაციებიდან გამომდინარე. მაგალითად, რას ნიშნავს მკვეთრი შუქ-ჩრდილი? – ეს არის ძლიერ განათებული და ძლიერ დაჩრდილული მხარეების დაპირისპირება.
- ნატურა ბუნებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში, ნატურიდან ხატვა ნიშნავს, როდესაც საგანს უყურებ, აკვირდები და ისე ხატავ.
- რით განსხვავდება მეხსიერებით ან ფანტაზიით/წარმოსახვით ხატვა ნატურიდან ხატვისგან? როცა მეხსიერებით ხატავ, იხსენებ ნანახს და ისე ხატავ. როცა ფანტაზიით ანუ წარმოსახვით ქმნი რაიმეს, მას თავად იგონებ. ნატურიდან ხატვისას კი შენ წინ მდებარე საგანს აკვირდები და იხატავ.

დავალება:

მოდით, ახლა შევქმნათ ნატურმორტი ფრანსისკო დე სურბარანის სტილში.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

მასწავლებელი დაფაზე ხატავს ნატურმორტის რამდენიმე საგანს – ჭიქას, ქილას, დოქს, ლიმონს ან რაიმე სხვა ხილს. სთხოვს რომელიმე მოსწავლეს, გამოვიდეს დაფასთან და ამ საგანის გამოსახულებაზე წყვეტილი ხაზით გაავლოს სიმეტრიის ღერძი.

მასწავლებელი კიდევ ერთხელ აჩვენებს მოსწავლეებს სურბარანის ნატურმორტებს და სთხოვს დააკვირდნენ, როგორ ნაწილდება შუქი და ჩრდილი. მასწავლებელი უხსნის, რომ საგნის სიმეტრიის ღერძის ცალი ნახევარი განათებულია, მეორე კი – დაჩრდილული. განათებული მხარე უნდა გააფერადონ ღია ფერის პასტელით, ხოლო დაჩრდილული – მუქი ფერის პასტელით. იმ შემთხვევაში, თუ არ გაქვთ ერთი ფერის ღია და მუქი წყვილები, შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა წყვილებიც. მაგ.:

ჩრდილი/მუქი	შუქი/ღია
ლურჯი	ცისფერი
ლურჯი	მწვანე
იისფერი	ვარდისფერი
იისფერი	წითელი
ნარინჯისფერი	ყვითელი
მწვანე	ყვითელი
წითელი	ყვითელი

მოსწავლეები აკვირდებიან დალაგებული ნატურმორტის საგნების ფორმებს. თეთრი ფერის

ქაღალდზე უბრალო ფანქრით ხატავენ სიმეტრიულ საგანს. თუ სიმეტრიის დაცვა არ გამოუვათ, გაავლებენ ნახატზე სიმეტრიის ღერძს, დააკვირდებიან, რომელი ნახევარი უფრო მოსწონთ, გაკეცავენ ქაღალდს სიმეტრიის ღერძის გასწვრივ და მაკრატლით გამოჭრიან სასურველი ნახევრის კონტურის გაყოლებაზე. ამ წესით გამოჭრიან ნატურმორტის ყველა საგანს.

ცალ ნახევარს გააფერადებენ ღია ფერით, მეორეს – მუქი ფერით. მასწავლებელი მიუთითებს იმაზე, რომ ა) თუ პირველ საგანზე მუქი მარცხნივაა, ხოლო ღია ფერი – მარჯვნივ, ასევე უნდა იყოს დანარჩენი საგნების გამოსახულებებზეც, რომ შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სურათში შუქი ერთი მხრიდან შემოდის. ბ). თუ ჭურჭლის ყელის შიდა მხარე ჩანს, აქ ფერები პირიქით ნაწილდება.

როცა ნატურმორტის ყველა საგანი დაფერილია და გამოჭრილი, მოსწავლეები ანაწილებენ მათ შავ ქაღალდზე (ფონზე) და მოძებნიან სასურველ განლაგებას. შესაძლოა, ერთმა საგანმა გადაფაროს მეორე, როთაც სივრცის შთაბეჭდილება შეიქმნება. ამ შემთხვევაში, წინ მდებარე საგან უფრო დაბლა უნდა განთავსდეს, ხოლო უკან მდებარე – უფრო მაღლა.

როდესაც სასურველი განლაგება მიგნებულია, მოსწავლეები აწებებენ გამოსახულებებს შავ ფონზე.

აქტივობა:

მოსწავლეები მსჯელობენ ფრანსისკო დე სურბარანის ნატურმორტებზე, ტექსტში ნახმარ ტერმინებზე, ხატავენ ნატურმორტის საგნებს, აფერადებენ პასტელით, ჭრიან და აკრავენ შავი ფერის ქაღალდზე. თუ დრო დარჩება, მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ამ გაკვეთილზე მათ მითითებების მიხედვით მუშაობა მოუხდათ. მათთვის ეს გამაღიზიანებელი იყო თუ არა? შემოქმედებისას თავისუფლება ურჩევნიათ თუ მითითებების შესრულება? მეორეს მხრივ, მითითებების წყალობით მათ აითვისეს ერთ-ერთი ხერხი. სხვა დროს, თუ სურვილი ენებათ, ამ ხერხს ისევ გამოიყენებენ ან თავისებურად შეცვლიან.

საშინაო დავალება:

საყვარელი ნივთების ამსახველი ნატურმორტის დახატვა.

ასევე, საშინაო დავალებად მასწავლებელს შეუძლია დაურიგოს მოსწავლეებს, სურბარანის ნატურმორტის დაქსეროქსებული გასაფერადებელი (იხ.: დანართი) ნიმუშები, ან გაუგზავნოს მათ ონლაინ გასაფერადებელის ბმული, დაავალოს ბუკის სახატავ პროგრამაში ნატურმორტის გაფერადება, დამახსოვრება და მასწავლებლისთვის ნამუშევრის ელექტრონულად გაგზავნა:

http://www.thecolor.com/Coloring/francisco-de-zurbaran-cup-of-water-and-a-rose.aspx

შემაჯამებელი კითხვები:

- რომელი მხატვრის ნატურმორტებს გავეცანით?
- რას ნიშნავს ნატურმორტი?
- რას ნიშნავს ნატურიდან ხატვა?
- ნატურიდან ხატვა გირჩევნიათ, ფანტაზიით თუ მეხსიერებით?
- რას ნიშნავს სიმეტრია?
- დამისახელეთ სიმეტრიული საგნები.
- როგორ ნაწილდება შუქ-ჩრდილი საგანზე?

- როგორ გადმოვცეთ დაჩრდილული მხარე?
- მოგწონთ საკუთარი ნამუშევარი თუ არა? რატომ?
- რა მოგწონთ ან არ მოგწონთ საკუთარ ნამუშევარში? რატომ?
- როგორ შეცვლიდით მას, ხელახლა რომ ხატავდეთ?
- ვისი ნამუშევარი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ?

ყოფითი ჟანრი

მიზანი:

ყოფით ჟანრთან გაცნობა;
ყოფით ჟანრში ნამუშევრის შექმნისა და წარდგენის უნარების განვითარება;
ხელოვნების ნაწარმოების შესახებ მსჯელობის უნარის განვითარება;
დიმიტრი ერისთავის შემოქმედებასთან გაცნობა.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2, 3.
ს.გ. III.2. – 1.
ს.გ. III.4. – 1, 2, 3, 4, 5, 6.
ს.გ. III.5. – 1, 2, 3, 9, 10.

ასათვისებელი ტერმინები:

ყოფითი ჟანრი

მასალა:

სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები, სათლელი, საშლელი

ვიზუალური რესურსები:

დიმიტრი ერისთვის ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- გუშინ ქუჩაში რომ მიდიოდით, რაიმე საინტერესო ხომ არ შეგიმჩნევიათ? რა დაინახეთ? თუნდაც უმნიშვნელო რამ – კატა ხეზე ახტა, გაზეთების გამყიდველი თვლემდა, გოგონა სახტუნაოთი დახტოდა, ბაზრიდან პროდუქტებით დატვირთული მამაკაცი მოდიოდა, ხანდაზმულს ქუჩაზე გადასვლა უჭირდა ან ბიჭუნა ჭინჭარმა დასუსხა, – სულერთია, გაიხსენეთ რაიმე, რამაც თქვენი ყურადღება მიიქცია, შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე და ერთი წინადადებით გვიამბეთ.

მასწავლებელს შეუძლია წაახალისოს მოსწავლეები და გაიხსენოს, რას წააწყდა ქუჩაში თავად – ვთქვათ, დაინახა, როგორ უკრავდა მევიოლინე ერთ-ერთი სახლის ფანჯარაში ან როგორ მოუტეხა ღვეზელი ბიჭუნამ ქუჩის ძაღლს და ამან კარგ გუნებაზე დააყენა, ან რაიმე ამგვარს. მოსწავლეები თითო წინადადებით (ეს ლიმიტი მასწავლებელმა უნდა დაუწესოს), იხსენებენ ნანახ ამბებს.

მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოს ტექსტს, ათვალიერებენ დიმიტრი ერისთავის ყოფითი ჟანრის ნაწარმოებებს, აღწერენ, საუბრობენ იმის შესახებ, თუ უნახავთ მსგავსი სცენები, ან თავად თუ ყოფილან ერისთავის პერსონაჟების ადგილზე (უყიდიათ მზესუმზირა, უთამაშიათ კლასობანა, უნახავთ ქუჩაში მოსიარულე ჯარისკაცები ან სპორტსმენები და ა.შ.).

მასწავლებელი ეკითხება:

- თქვენ როგორ დაასათაურებდით ამ ნამუშევრებს?

მასწავლებელი განუმარტავს, რომ ყოფითი ჟანრი მხოლოდ ქუჩის სცენები არ არის. ამ ჟანრის ნაწარმოებში შეიძლება სხვაგან – სახლში ან პეიზაჟის ფონზე გათამაშებული სცენა იყოს ასახული. მთავარია, რომ სურათი ადამიანის ყოფა-ცხოვრების შესახებ გვიამბობდეს.

შემდეგ მოსწავლეები ქმნიან ნახატს ყოფით ჟანრში – სცენას საკუთარი ცხოვრებიდან. თუ კლასშივე ამას ვერ ასწრებენ, შეუძლიათ სახლში დაასრულონ, საშინაო დავალების სახით. სურათს უკან, საკუთარ სახელთან, გვართან და თარიღთან ერთად, უნდა მიაწერონ: „ყოფითი ჟანრი“ და ნახატის სათაური. დასასრულს, წარუდგენენ კლასს ნამუშევრებს. ჯერ გამოიცნონ, რა ასახეს მათმა მეგობრებმა, გამოთქვან ვარაუდი ნამუშევრის სახელწოდების შესახებ. შემდეგ უკვე განმარტონ საკუთარი ნამუშევრების სიუჟეტები და გაამხილონ საკუთარი სათაურები.

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ ყოფითი ჟანრის სურათს – რომელიმე ეპიზოდს საკუთარი ცხოვრებიდან, რაც დაამახსოვრდათ. თუ კლასში დასრულებას ვერ მოასწრებენ, სახლში განაგრძონ.

შემაჯამებელი კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, საიდან მოსდით ადამიანებს შთაგონება? საიდან მოგდით შთაგონება თქვენ?
- რას ნიშნავს ყოფითი ჟანრი?
- დაგიხატავთ ადრე ნამუშევარი ყოფით ჟანრში?
- რა არის საინტერესო ყოფით ჟანრში?
- რომელი ქართველი მხატვრის შემოქმედებას გავეცანით დღეს?
- გამოვიდა ის, რასაც აპირებდით თუ არა?
- რა გამოგივიდათ კარგად?
- არის ისეთი რამ, რაც შეგიძლიათ შეცვალოთ უკეთესობისაკენ თქვენს ნამუშევრებში?
- რა იყო მუშაობისას ყველაზე რთული? ადვილი?
- რა ფერები შეარჩიეთ დასახატად და რატომ?
- ქაღალდის როგორი ორიენტაცია (ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური) აირჩიეთ და რატომ?
- მიუბრუნდით მეწყვილეს და გაუზიარეთ, რა ისწავლეთ დღევანდელ გაკვეთილზე?

იპოვე განსხვავება

მიზანი:

სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის სპეციფიკის გაცნობიერება;
ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა დარგში შექმნილი ნაწარმოებების შედარების უნარი;
სხვადასხვა დარგში ნამუშევრის შექმნის უნარი;
ძველი ეგვიპტური და ბერძნული ხელოვნების ნაწარმოებებთან გაცნობა.

შედეგი:

ს.გ. III.2. – 3.
ს.გ. III.5. – 1, 3, 9.

მასალა:

სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები, პლასტილინი ან თიხა.

ვიზუალური მასალა:

ძველი ეგვიპტე. მამაკაცი ანტილოპათი
ძველი საბერძნეთი. მამაკაცი ხბოთი
ბიზანტიური მოზაიკა. მწყემსი კეთილი

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს საილუსტრაციო მასალას. ერთ ილუსტრაციაზე გამოსახულია ძველი ეგვიპტური კედლის მხატვრობის ფრაგმენტი მწერალ მენას (თუთმოს IV-ეს კარის მწერალი) სამარხიდან თებეში (ძვ. წ-აღ-ით მე-15 ს.).

მეორე, ე.წ. მოსხოფოროსის ანუ ხბოს მზიდავის ქანდაკება, ათენის აკროპოლისთან აღმოაჩინეს და იგი ძვ.წ-აღ-ით მე-6 ს-ით თარიღდება.

მასწავლებელი უამბობს ბავშვებს სახელმძღვანელოს ტექსტის შინაარსს.

შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს:

- სახვითი ხელოვნების რომელ დარგებს მიეკუთვნება ეს ნამუშევრები? (მხატვრობას და ქანდაკებას).
- შეგიძლია ნახატს გარშემო შემოუარო? ნახატს აქვს უკანა მხარე? (არა)
- ქანდაკებას? (აქვს. ის შეგიძლია ყველა მხრიდან დაათვალიერო. ასეთ ქანდაკებებს მრგვალს უწოდებენ).
- რა განსხვავებაა ამ დარგების მხატვრულ საშუალებებს შორის? (ნახატი ბრტყელია, ქანდაკება – მრგვალი, მოცულობითი. მას აქვს ჩაღრმავებული და ამობურცული ფორმები. ამით ის უფრო ჰგავს ნამდვილ, ცოცხალ არსებებს, რომლებსაც ასახავს. ხოლო ნახატი ბრტყელია. ნახატზე ვხედავთ ხაზებს, კონტურს და ფერს. ქანდაკებაზე – ფორმებს.
- ფურცელზე ფერადი ფანქრებით დახატეთ რაიმე მარტივი გამოსახულება. შემდეგ ერთი ფერის პლასტილინით გამოძერწეთ იგივე გამოსახულება.

აქტივობა:

მოსწავლეები მსჯელობენ მხატვრობისა და ქანდაკების სახვით შესაძლებლობებზე, ქმნიან ორ ნამუშევარს ერთსა და იმავე თემაზე – ძერწავენ ერთი ფერის პლასტილინით ან თიხით და ხატავენ ფერადი ფანქრებით (მარტივად, ვთქვათ, ხილს; ჭურჭელს, რომელიმე ცხოველს). შემდეგ, საკუთარი ნამუშევრების საფუძველზე საუბრობენ, თუ რა შესაძლებლობებს იძლევა თითოეული დარგი, რა განსხვავებაა მათ შორის.

III თემა: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

ორნამენტის ისტორია

ქვის ხანის ორნამენტები

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ქვის ხანის ორნამენტის ნიმუშები
მარტივი ელემენტებით ორნამენტის დახატვის უნარის განვითარება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 9.

ასათვისებელი ტერმინები:

ორნამენტი
ნეოლითი
თილისმა

მასალა:

სახატავი ფურცლები
ფანქარი
ფერადი ფანქრები
საშლელი

ვიზუალური მასალა:

გეომეტრიული ორნამენტების ნიმუშები ნეოლითის კერამიკაზე

გაკვეთილის მსვლელობა:

ქვის ხანა ადამიანის ისტორიის ყველაზე დიდი პერიოდია. რატომ დაერქვა ქვის ხანა? იმიტომ, რომ ამ დროს, ადამიანმა ისწავლა ქვის იარაღების დამზადება.

ორნამენტი ადამიანის შემოქმედების ყველაზე ძველი სახეობაა, რომელიც წარმოიშვა მაშინ როცა ადამიანმა დაიწყო სამუშაო, საბრძოლო იარაღების და საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადება. ნაპოვნია უამრავი, ხაზებით გალამაზებული ქვის, ძვლის, ხის ნივთი, რომელთა ასაკი 30 ათას წელზე მეტია.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს გერმანიაში, ვოგელჰერდის გამოქვაბულში ნაპოვნ ლეოპ-არდის, ლომის და მამონტის მინიატურულ ქანდაკებებს და გაამახვილებს ყურადღებას ფიგურების ხაზებით დასერილ მონაკვეთებზე. მოსწავლეები შეადარებენ ამ ფიგურებს საფრანგეთში, მადელენის გამოქვაბულში ნაპოვნი ბიზონის ფიგურას.

მასწავლებელი იკითხავს:

– შეიძლება თუ არა, ბიზონის ფიგურაზე გაკეთებული ხაზები ჩაითვალოს ორნამენტად? – ბიზონის

ფიგურაზე ხაზებით ბიზონის თმებია გამოსახული, ამიტომ ეს ხაზები ორნამენტი არ არის. ლეოპარდის და მამონტის ფიგურებზე კი ორნამენტია გამოსახული, ვინაიდან ხაზები რიტმულადაა გამოკვეთილი ისე, რომ მათი გადაკვეთით რომბები გამოისახა.

ლეოპარდი

ლომის თავი

მამონტი

ბიზონი

ქვის ხანა ძალიან დიდხანს გრძელდებოდა. მის მიწურულს, დაახლოვებით მერვე, მეშვიდე ათასწლეულს, მანამ ადამიანები ბრინჯაოს დამუშავებას ისწავლიდნენ, ნეოლითის ხანა ეწოდება.

ნეოლითის ხანაში ქვის იარაღები უკვე ძალიან დახვეწილი და მრავალფეროვანი იყო. უკვე გამოგონილი იყო საქსოვი დაზგა, ადამიანებმა იცოდნენ ტანსაცმლის კერვა, თიხის ჭურჭლის კეთება. ნეოლითის ხანის თიხის ნაწარმი ისეთი რაოდენობითაა ნაპოვნი, რომ ნეოლითს, თიხის ქოთნების ხანასაც ეძახიან.

სავარაუდოდ, პირველი ორნამენტი, რომელმაც თიხის ჭურჭელი შეამკო, ჭურჭლის პირზე, ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული, ოსტატის ფრჩხილით ჩაწყლეტილი ღრმულები იყო. ამ ღრმულებს არანაირი დანიშნულება არ ქონდა – ისინი ჭურჭელს ვერაფერს შემატებდნენ სილამაზის მეტს.

ორნამენტს იმ შორეულ დროში, მოსართავის გარდა, თილისმის დანიშნულებაც ქონდა – ნივთებზე გამოსახული წრე, კვადრატი, სამკუთხედი, სპირალი, ჯვარი და სხვა ნიშნები – ის, რაც ჩვენ საგნის გასალამაზებლად დახატული ხაზები და ფიგურები გვგონია, პატრონი ბოროტი ძალებისგან უნდა დაეცვა. ამიტომ, თილისმას ხანდახან ნივთების თვალისგან დაფარულ ადგილებზეც ახატავდნენ – ჭურჭლის ფსკერზე ან მის შიგნით, სამკაულის, უკანა მხარეზე. ასეთივე დანიშნულება ქონდა ტანსაცმლის მოსართავებს, რომლებსაც საყელოზე, სახელოებსა და კაბის ბოლოზე ათავსებდნენ, რათა ადამიანის სხეული დაცული ყოფილიყო უხილავი ბოროტი ძალებისგან.

მართალია, ყოველი კულტურა თავისებურ მნიშვნელობას აძლევდა ამა თუ იმ ნიშანს, არსებობს გეომეტრიული ფიგურებით გამოხატული სიმბოლოები, რომლებსაც ადამიანები დედამიწის ყველა კუთხეში და ყველა დროში ერთნაირად აღიქვამენ:

წრე – სამყაროს, მზეს, ციურ სხეულების სიმბოლოა;

ოთხკუთხედი – მიწის სიმბოლო;

სამკუთხედი – მთებს, ხეებს აღნიშნავს;

ზიგზაგი და ტალღოვანი ხაზები – ელვას, წყალს;

სპირალური ფორმები – მუდმივ მოძრაობას, განვითარებას, უსასრულობას.

მოსწავლეები დაათვალიერებენ ნეოლითის ხანის კერამიკული ჭურჭლის მოხატულობის ნიმუშებს.

მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს აქტივობის პირობებს: სახატავი ფურცელზე, ვერტიკალურად დაიხატება ნებისმიერი ფორმის ჭურჭლის კონტური.

ჭურჭელი უნდა მოიხატოს გეომეტრიული ორნამენტით ისე, რომ ნეოლითის დროინდელ მოხატულობას გავდეს. (მოსწავლეებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითებით).

დამთავრებული ნამუშევრებით შესაძლოა გაკეთდეს ექსპოზიცია ან ალბომი სათაურით „ნეოლითის კერამიკა“.

აქტივობა:

მოსწავლეები ფანქრით დახატავენ სხვადასხვა ფორმის კერამიკული ჭურჭლის კონტურს.

გააფორმებენ დახატულ ჭურჭელს, ნეოლითის ხანის ორნამენტების მსგავსი გეომეტრიული ფიგურებით და გააფერადებენ მათ.

მოსწავლეები დაათვალიერებენ დამთავრებულ ნამუშევრებს და იმსჯელებენ, თუ რამდენად შეძლეს ამოცანის შესრულება – ჰგავს თუ არა მათი ორნამენტები ნეოლითის ეპოქის ორნამენტებს, მოუხდა თუ არა მათი ჭურჭლის ფორმა ამ ორნამენტებს და სხვა.

პორტრეტი ჩარჩოში

მიზანი:

ვასწავლოთ ტრადიციული ინსტრუმენტების გარეშე წრის და ოვალის დახატვა

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2, 9.
ს.გ. III.2. -1.

ასათვისებელი ტერმინები:

ოვალი
წრე
პორტრეტი
ორნამენტი

მასალა:

სავარჯიშო ფურცლები
სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქარი
საშლელი
სქელი ძაფის რამდენიმე ნაჭერი
2 ჭიკარტი
ფერადი ფანქრები

ვიზუალური მასალა:

წრის და ოვალის დახატვის ხერხები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ხატავს დაფაზე წრეს და ამბობს:

- რა მოუვა ამ წრეს, თუ გვერდებში მოვკიდებთ ხელებს და გავწელავთ?
- წრე დავიწროვდება და მოგრძო ფორმას მიიღებს.

მასწავლებელი ხატავს დაფაზე ოვალს.

- ეს ოვალია. ვიწრო და მოგრძო ფორმის წრეს ოვალი ეწოდება.
- გაიხსენეთ, სად გინახიათ ასეთი ფორმები?

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რაიმე მრგვალ საგანს (მაგ. ჭიქას ან თასს) და ამბობს:

- თუ ამ საგანს (ჭიქას) ზევიდან დავხედავთ, დავინახავთ, რომ იგი მრგვალია, მაგრამ თუ მას ოდნავ დავატრიალებთ, წრე ოვალის ფორმას მიიღებს.

- ხელით, ხელსაწყოს გარეშე, სწორი წრის დახატვა ძნელია. როდესაც საჭიროა ლამაზი, სწორი წრის დახატვა, ჩვენ მას ფარგლის დახმარებით ვხატავთ, მაგრამ როგორ დავხატოთ წრე, თუ ფარგალი არ გვაქვს?
- ფურცელზე უნდა დავდოთ მრგვალი საგანი და შემოვხაზოთ იგი ფანქრით.
- როგორ მოვიქცეთ, თუ მრგვალი საგანი არ გვაქვს, ან მისი ზომა არ გვაწყობს? ასეთი შემთხ-ვევისთვის გასწავლით საინტერესო ხერხს.



- აიღეთ ძაფი და მისი ერთი ბოლო მიაბით ფანქარს.
- ძაფის მეორე ბოლო დადევით სავარჯიშო ფურცელის ცენტრში, დაამაგრეთ ჭიკარტით ან დაადეთ მას მარცხენა ხელის თითი და მაგრად დაიჭირეთ ძაფის ბოლო. მარჯვენა ხელით დაი-ჭირეთ ძაფმობმული ფანქარი. დაჭიმეთ ძაფი და შემოხაზეთ წრე ისე, რომ ძაფი არ მოადუნოთ.

ეხლა კი, დავხატოთ სწორი ოვალი:






- დაამაგრეთ ორი ჭიკარტი სავარჯიშო ფურცელზე
- განასკვეთ ძაფის ბოლოები და ჩამოაცვით ძაფის ყულფი ჭიკარტებს. (რაც უფრო დიდია ძაფის ყულფი, მით უფრო დიდი და განიერი გამოვა დახატული ოვალი).
- გაუყარეთ ფანქარი ყულფში, კარგად დაჭიმეთ ძაფი და შემოატარეთ ფანქარი ჭიკარტების გარშემო ისე, რომ ძაფი მუდმივად იყოს დაჭიმული.

ეხლა კი სახატავ ფურცელზე დახატეთ რამდენიმე მრგვალი და ოვალური ჩარჩო, რომლებშიც ჩახატავთ თქვენი ოჯახის წევრების პორტრეტებს.

ეცადეთ, ფურცელზე ჩარჩოები ლამაზად გაანაწილოთ.

აქტივობა:

მოსწავლეები სახატავ ფურცლებზე, ინსტრუქციის მიხედვით, დახატავენ სხვადასხვა ზომის მრგვალ და ოვალურ ჩარჩოებს.

ჩახატავენ ჩარჩოებში ოჯახის წევრების პორტრეტებს,

მოხატავენ ჩარჩოებს მარტივი ორნამენტით.

ბერძნული ლარნაკი

მიზანი:

ორნამენტის დახატვის უნარის განვითარება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 2, 8, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

სიმეტრია

მასალა:

შავი ქაღალდი
სტაფილოსფერი 1/2 ქაღალდი
ფანქარი
საშლელი
შავი ფლომასტერი

ვიზუალური მასალა:

ბერძნული ლარნაკები
ბერძნული ორნამენტების ნიმუში

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები დაათვალიერებენ ბერძნული ლარნაკების სურათებს. მასწავლებელი სთხოვს მათ აღწერონ, თუ როგორი ფორმისაა ლარნაკები, რა არის გამოსახული ლარნაკებზე – რა დეტალებისგან შედგება ორნამენტი, რას ასახავენ ლარნაკებზე გამოსახული ფიგურები. ასევე, მოსწავლეები აღწერენ, ლარნაკებისა და მათი მოხატულობის ფერს.

აქტივობა:

სიმეტრიული ფორმის მისაღებად, მოსწავლეები მოკეცავენ შუაზე სტაფილოსფერ ქაღალდს და დახატავენ ნახევარი ლარნაკის კონტურს. ლარნაკის ცენტრალური ღერძი ქაღალდის მოკეცვის ადგილს უნდა ემთხვეოდეს.

ორად მოკეცილ ფურცელზე, დახატული კონტურის მიხედვით გამოჭრიან ლარნაკს, გაშლიან ფურცელს და დააწებებენ გამოჭრილ ლარნაკს შავი ფერის ქაღალდზე.

უბრალო ფანქრით მოხატავენ ლარნაკს ბერძნული ორნამენტების ნიმუშიდან ამორჩეული ორნამენტებით. ლარნაკის მუცელზე დახატავენ რაიმე ფიგურების სილუეტებს. ორნამენტის კონტურებს და ფიგურებს გააფერადებენ შავი ფლომასტერით.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები გადაიხატავენ ბერძნული ლარნაკების კონტურულ გამოსახულებებს და მოხატავენ მათ.

მანდალა

მიზანი:

მსოფლიოს სხვა კულტურებთან გაცნობა;
ორნამენტული, ცენტრული კომპოზიციის შექმნის უნარის განვითარება;
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 3, 4, 5, 6, 8, 9.
ს.გ.III.2. – 2.
ს.გ.III.3. – 2, 3.

ასათვისებელი ტერმინები:

მანდალა, ცენტრული კომპოზიცია

მასალა:

კომპიუტერი (გრაფიკული დიზაინის პროგრამა), სქემები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

ვიზუალური მასალა:

მანდალას რამდენიმე მარტივი ილუსტრაცია და შავ-თეთრი სქემები.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „მანდალა“ და ბავშვებს ეკითხება:

- როგორ ფიქრობთ, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს სიტყვა?

მასწავლებელი მოისმენს ვარაუდებს (ცხადია, მოსწავლეებმა ეს არ იციან და ვარაუდებიც სახალისო ინება. შეკითხვა ინტრიგისთვისაა საჭირო), აკეთებს კომენტარებს და შემდეგ სთხოვს, წაიკითხონ ტექსტი სახელმძღვანელოში.

მეორე აბზაცის პირველი წინადადების შემდეგ მასწავლებელი აწყვეტინებს კითხვას და ეკითხება მოსწავლეებს:

- რას გაგონებთ ასეთი კომპოზიცია? (სავარაუდო პასუხები – მზეს, ყვავილს, ფიფქს)
- რა აქვთ საერთო ასეთ გამოსახულებებს? (სავარაუდო პასუხები – წრიული ფორმა, ცენტრი, და ცენტრიდან ყველა მიმართულებით ერთნაირი ნახატი).
- რა ქვია ისეთ დეკორატიულ, რაიმეს სამშვენისად, მოსართავად გამოსაყენებელ ნახატს, რომელზეც ელემენტები რიტმულად მეორდება? – ორნამენტი.

მოსწავლეები განაგრძობენ კითხვას.

დასასრულს, მასწავლებელი უხსნის, როგორ დახატონ მანდალა კომპიუტერის გრაფიკული დიზაინის პროგრამაში და გააფერადონ ის. დასასრულს, მოსწავლეებმა უნდა დაიმახსოვრონ ნამუშევარი კომპიუტერში და ელექტრონულად გაუგზავნონ მასწავლებელს, თანაკლასელს და მშობლებს.

აქტივობა I:

ციფრული ტექნოლოგიების (გრაფიკული დიზაინის კომპიუტერული პროგრამა) გამოყენებით მოსწავლეები ქმნიან მანდალას გამოსახულებას.

ინსტრუქცია:

- დახატეთ წრე.
- მოძებნეთ ცენტრი.
- ცენტრის გარშემო კიდევ რამდენიმე წრე დახატეთ.
- წრეები თანაბარი დაცილებით ჯვარედინად, შემდეგ კი, მეოთხედებად დაყავით.
- ჯვრის მკლავებს შორის, გარეთა წრის კიდიდან საპირისპირო კიდემდე ცენტრის გავლით გაავლეთ დახრილი ხაზები.
- წრეებს შორის არეები სხვადასხვა გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით შეავსეთ.
- „ჩაასხით“ ფერი თითოეულ არეში.
- დაიმახსოვრეთ ნამუშევარი კომპიუტერში სასურველი სათაურით (ან საკუთარი გვარით) და ელექტრონულად გაუგზავნეთ მასწავლებელს, თანაკლასელს და მშობლებს.

აქტივობა II:

აიღეთ რაიმე წრიული საგანი, დადეთ სახატავ ქაღალდზე და შემოხაზეთ. ოთხად გადაკეცვით მოძებნეთ ცენტრი. ცენტრის გარშემო კიდევ რამდენიმე წრე დახატეთ. შემდეგ წრეები თანაბარი დაცილებით ჯვარედინად (გადაკეცვის ხაზების მიხედვით) – მეოთხედებად დაყავით. ჯვრის მკლავებს შორის, გარეთა წრის ერთი კიდიდან საპირისპირო კიდემდე ცენტრის გავლით გაავლეთ ხაზები და ასე შემდეგ. წრეებს შორის არეები სხვადასხვა გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით შეავსეთ. შემდეგ გააფერადეთ ფანქრებით ან ფლომასტერებით.

აქტივობა III:

მასწავლებელს შეუძლია ამობეჭდოს შავ-თეთრი გასაფერადებელი სქემები და მოსწავლეებს დაავალოს გაფერადება გარკვეული სისტემის გათვალისწინებით.

მანდალას სქემები:





აქტივობა IV:

მანდალას ონლაინ გაფერადება, დამახსოვრება, მასწავლებლისთვის გაგზავნა მითითებული ბმულებიდან:

http://www.hellokids.com/r_262/coloring-pages/mandala-coloring-pages
https://colormandala.com/
http://mandalas.coloringcrew.com/
http://scrapcoloring.com/texts/mandala
http://www.morningkids.net/online-coloring-pages-638-en-mandalas.html

მომდევნო ბმულზე მოსწავლეს შეუძლია გაყოს სახატავი არე ორად (ჰორიზონტალურად ან ვერ-ტიკალურად) ან ოთხად (ამის ფუნქცია ერთვის მენიუს). რასაც ცალ მხარეს დახატავს, სარკისებურად დაიხატება დანარჩენ ნაწილებშიც. აქვე შესაძლებელია დამახსოვრება და შემდეგ ელექტრონულად გაგზავნაც:

http://www.abcya.com/mirror_paint.htm

შემაჯამებელი კითხვები:

- რა არის მანდალა?
- რა არის ორნამენტი?
- როგორ ვიპოვოთ წრის ცენტრი?
- მოგწონს საკუთარი ნამუშევარი?
- კიდევ ვისი ნამუშევარი მოგწონს და რატომ?

ლურჯი სუფრა

მიზანი:

ქართული ხალხური ტრადიციული მრეწველობის ერთ-ერთ დარგთან (ლურჯი სუფრა) გაცნობა; ორნამენტის ხატვის უნარი.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 3, 6, 7, 8, 9.
ს.გ.III.5. – 1, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

სიმეტრია, რიტმი, მედალიონი, ინდიგო, მანი.

მასალა:

აქტივობა I:

სახატავი ქაღალდი, უბრალო ფანქარი, თეთრი პასტელი, ლურჯი ფერის აკვარელი, ფუნჯი, წყალი, წინსაფარი, სამკლავურები.

აქტივობა II:

(საშინაო დავალება. გადასაღებია ასლი)



ვიზუალური მასალა:

ლურჯი სუფრის ნიმუშები.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკრანზე აჩვენებს ბავშვებს ლურჯი სუფრის ნიმუშებს და

ტექსტის კითხვის პარალელურად, სთხოვს, განმარტონ მათთვის ნაცნობი ტერმინები ან აღნიშნონ, რომელი ტერმინი ან სიტყვა არ იციან. მასწავლებელი ორ მწკრივად ჩამოწერს დაფაზე ამ სიტყვებს. მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში ახალი ტერმინების განმარტებას.

მასწავლებელი ეკითხება:

- რა არის გამოკვეთილი, გამოყოფილი, მთავარი სუფრის საერთო ნახატში? – რა იქცევს თქვენს ყურადღებას პირველ რიგში? – მედალიონი.
- რითია მიღწეული ეს ეფექტი? ის შუაშია და ყველაზე დიდია.

მასწავლებელი სთავაზობს, შექმნან სუფრის საკუთარი დიზაინი.

საშინაო დავალებად:

ურიგებს დაქსეროქსებულ სქემას ლურჯი სუფრის ორნამენტის განმეორებადი ელემენტებით, სადაც ზოგი ელემენტი გამოტოვებულია. მოსწავლეებმა ის უნდა შეავსონ შესაბამისი ორნამენტით.

შემდეგი გაკვეთილისთვის, მასწავლებელი ასევე ავალებს, მოიძიონ ინფორმაცია მათ რეგიონში გავრცელებული, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე დარგის (ქსოვა, ქარგვა, მეთუნეობა, ხეზე კვეთა და სხვ.) შესახებ და გააცნონ თანაკლასელებს.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- აკვარელის ქაღალდის შუაგულში უბრალო ფანქრით მკრთალად შემოხაზეთ რაიმე მრგვალი საგანი, რომ გამოვიდეს წრე.
- წრის ცენტრზე მკრთალად გაავლეთ სიმეტრიის ღერძი.
- ღერძის ორსავ მხარეს, უბრალო ფანქრით და ასევე მკრთალად, თანაბრად გაანაწილეთ ლურ-ჯი სუფრისთვის დამახასიათებელი ორნამენტის მარტივი გამოსახულებები. ერიდეთ წვრილ დეტალებს. თუმცა, მსხვილი გამოსახულებების შიგნით (ვთქვათ, მანი ან თევზი), შეგიძლიათ მონიშნოთ კოპლები.
- ქაღალდის კიდეების გასწვრივ უბრალო ფანქრითვე მონიშნეთ ჩარჩო და შიგ დახატეთ რომე-ლიმე, რიტმულად განმეორებადი ორნამენტი – ვთქვათ, ყვავილები.
- გადაატარეთ ფანქრით დახატულ გამოსახულებებს თეთრი ზეთოვანი პასტელი. რადგან თეთრ პასტელს ვხმარობთ, ის არ ჩანს. ამიტომ, ყურადღებით გადახედეთ ნამუშევარს – ფანქრით მონიშნული რომელიმე ადგილი ხომ არ დარჩა პასტელით დაუხატავი?
- ახლა შეგიძლიათ ლურჯი ფერის აკვარელითა და ფუნჯით დაფეროთ მთელი ზედაპირი. თამ-ამად გადაუარეთ თეთრი პასტელით მონიშნულ ნახატებს.
- რა გამოვიდა?

აქტივობა:

1. მოსწავლეები ქმნიან ლურჯი სუფრის სიმეტრიულ დიზაინს ტრადიციული ორნამენტული მოტივებით.
2. (საშინაო დავალება) მასწავლებლის მიერ დარიგებულ ქსეროასლებზე გამოსახულ ორნამენტულ მწკრივში მოსწავლეები ჩასვამენ გამოტოვებულ ორნამენტებს.
3. მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ინფორმაცია მათ რეგიონში გავრცელებული, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე დარგის (ქსოვა, ქარგვა, მეთუნეობა, ხეზე კვეთა და სხვ.) შესახებ და გააცნონ თანაკლასელებს.

შემაჯამებელი კითხვები:

- ხელოვნების რომელ დარგს განეკუთვნება სუფრა?
- რა ფერია ინდიგო?
- რა ნახატები გამოიყენებოდა ლურჯი სუფრის ორნამენტად?
- საიდან შემოვიდა საქართველოში ლურჯი სუფრის დამზადების წესი?
- რას ნიშნავს რიტმი?
- რა ფორმა აქვს მედალიონს?
- როგორი ფორმა აქვს მანს?
- რა გამოგივიდათ კარგად?
- რას გამოასწორებდით, რომ შეგეძლოთ?
- ვისი ნამუშევარი მოგწონთ ყველაზე მეტად? რატომ?
- გიმუშავიათ ადრე ამ ტექნიკით?
- რა გაითვალისწინეთ იმდროინდელი გამოცდილებიდან?
- რატომ არ დაიფერა ლურჯი აკვარელით თეთრი ზეთოვანი პასტელი?
- რატომ არ გირჩიეთ წვრილი დეტალების დახატვა? (პასტელი რბილია, მალე ბლაგვდება და ბლაგვი წვერით დეტალები არ გამოდის.)

ნოხი და ფარდაგი

მიზანი:

ვასწავლოთ მოსწავლეებს ორნამენტის შემადგენელი ელემენტების ამოცნობა

შედეგი:

ს.გ. III.1. – 6, 8, 9.
ს.გ. III.4. – 3.
ს.გ. III.5. – 1

მასალა პირველი გაკვეთილისთვის:

სახატავი რვეული ან ფურცელი
უბრალო ფანქარი
ფერადი ფანქრები
საშლელი

ვიზუალური მასალა:

1. ქართული ფარდაგის და ნოხის რამდენიმე ნიმუში http://armuri.4forum.biz/t115-topic
2. ფოტოებზე გამოსახული ფარდაგების ორნამენტების ცალკეული ელემენტების ნიმუშები





გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- რა არის ნოხი? რა არის ფარდაგი? რა განსხვავებაა ნოხსა და ფარდაგს შორის? კიდევ რა სახელს ვეძახით ნოხს?

ნოხი, ანუ ხალიჩა და ფარდაგი სქელი მატყლის ძაფით ნაქსოვი დიდი, მძიმე ქსოვილია.

ნოხი ხაოიანია, ფარდაგი კი უხაო. მათი დამზადების ტექნოლოგიაც განსხვავებულია:

ნოხი იქსოვება საქსოვ ყდაზე, ანუ ჩარჩოზე დაჭიმულ ბაწარს შორის გაყრილი ფერადი ძაფის ნასკვებით – ძაფებით ბაწარზე კეთდება ნასკვები.

განასკვული ძაფების ბოლოებს ერთ სიმაღლეზე კრეჭენ, ამიტომაც არის ნოხი ხაოიანი.

ფარდაგის მოსაქსოვად კი ფერად ძაფებს ჩარჩოზე დაჭიმულ ბაწარს შორის წინ და უკან ატარებენ.

ნოხი იატაკზე დასაფენად იხმარება, ფარდაგი კი კედელზე ჩამოსაკიდად. სიტყვა ფარდაგი ფარ-დიდან მოდის. ფარდაგს ადრე კარებზეც კიდებდნენ, სიცივისგან თავის დასაცავად.

– ხელოვნების რომელ დარგს მიაკუთვნებდით ნოხის და ფარდაგის დამზადების ხელოვნებას?

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ნოხის და ფარდაგის ნიმუშებს და იკითხავს:

– რა არის გამოსახული ფარდაგების ამ ნიმუშებზე?

– ნოხები და ფარდაგები შემკულია ორნამენტებით.

– რა ელემენტებია გამოყენებული ორნამენტებში?

ორნამენტებში გამოყენებულია გეომეტრიული ფიგურები – სამკუთხედები, რომბები, წრეები, ჯვრები.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ფარდაგებზე გამოსახულ ორნამენტებს, და ყოველი ფარდაგის ორნამენტის შემადგენელი მთავარი დეტალი ამოიხატონ სახატავ რვეულში.

თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ დეტალების ამოცნობა, მასწავლებელი აჩვენებს ამ დეტალებს სახელმძღვანელოდან.

გაკვეთილი 2

ფარდაგის ესკიზი

მიზანი:

ვასწავლოთ მოსწავლეებს ბადეზე ორნამენტის დახატვა

ფორმის, ფერის და რიტმის შეგრძნების განვითარება

წვრილი დეტალების გულდასმით დახატვის და გაფერადების უნარის განვითარება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 6, 8, 9.

მასალა:

უჯრებიანი ფურცელი

ფერადი ფურცელი

უბრალო ფანქარი

სახაზავი

საშლელი

ფერადი ფანქრები

მაკრატელი

წებო

ასათვისებელი ტერმინები:

ნაყში – მოხატულობა, ორნამენტი

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ქართული ფარდაგების და ნოხების სურათებს და სთხოვს მათ ისაუბრონ ქართული ფარდაგებისა და ნოხების ფერთა გამაზე – როგორი ფერებითაა შესრულებული ისინი – კონტრასტული თუ მშვიდი, ჭყეტელა თუ მკრთალი, ჭრელი თუ ერთფეროვანი; მოსწავლეები ჩამოთვლიან ცალკეულ ფერებს და დათვლიან, რამდენი და რა ფერია გამოყენებული თითოეულ ფარდაგზე.

– იმისთვის, რომ ნოხი ან ფარდაგი ლამაზი გამოვიდეს, ორნამენტის დეტალები არ იყოს უსისტემოდ გაბნეული, ორნამენტი კი დაბრეცილი და მოუწესრიგებელი, ჯერ ქაღალდზე იხატება ფარდაგის ესკიზი, რომელიც საქსოვი ყდის, ანუ ჩარჩოს უკან მაგრდება.

ქსოვის დროს ოსტატი ამ ესკიზის მიხედვით ქსოვს ორნამენტულ მოტივებს.

იმისთვის, რომ ორნამენტი იყოს გამართული, იგი იხატება ბადეზე. ბადე საშუალებას იძლევა, დაცული იყოს სიზუსტე ორნამენტის დეტალების ზომასა და განლაგებაში.

დღეს დავხატავთ ორნამენტებით შემკულ ნოხს.

ამისთვის, ჯერ უჯრებიან ფურცელზე დავხაზავთ ბადეს, ჩავხატავთ ბადეში გეომეტრიულ ფიგურებს და გავაფერადებთ მათ.

უნდა შესრულდეს ორი პირობა:

1. დაიხატოს ორნამენტები გეომეტრიული ფიგურებით.
2. დახატული ორნამენტების განლაგება უნდა იყოს სიმეტრიული.

აქტივობა:

მოსწავლეები უჯრებიან ფურცელზე შემოხაზავენ ნოხის პერიმეტრს და მონიშნავენ ორნამენტების განლაგების ადგილებს.

ბადეში ჩახატავენ გეომეტრიული ფიგურებით შესრულებულ სიმეტრიულ ორნამენტს.

გააფერადებენ ორნამენტს ფერადი ფანქრებით და დააწებებენ ნახატს ფერად ფურცლებზე.

ფერადი ფურცლის ორ, მოპირდაპირე გვერდს ჩაჭრიან მაკრატლით ფოჩების იმიტაციისთვის.

ჩალის თოჯინა (გობელენი)

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოების რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირების უნარის განვითარება;
მოძრაობაში ფიგურის ასახვის უნარის განვითარება;
შემოქმედებითი აზროვნების განვითარება;
ფრანსისკო გოიას შემოქმედების გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 1.
ს.გ.III.4. – 1, 2, 4, 5, 6.
ს.გ. III.5. – 3, 2, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

გობელენი, ესკიზი, ყოფითი ჟანრი.

მასალა:

სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

ვიზუალური მასალა:

ფრანსისკო გოიას გობელენების ესკიზები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ფრანსისკო გოიას გობელენების ესკიზების სურათებს და ეკითხება:

- როგორ ფიქრობთ, რისთვის დაიხატა ეს სურათები? სად შეიძლება დაკიდო ან გამოიყენო მსგავსი ნახატი?

მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, რის შემდეგაც მასწავლებელი სთავაზობს, წაიკითხონ სახელმძღვანელოში გაკვეთილის ტექსტი. შემდეგ ეკითხება:

- ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება გობელენი? – დეკორატიულ-გამოყენებითს.
- რომელ ჟანრს მიაკუთვნებდით ამ ნამუშევრებს? – ეს ყოფითი ჟანრია. ყოფითი ჟანრი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს.
- გითამაშიათ როდესმე მსგავსი თამაში? დასვენებაზე ხომ არ გვეთამაშა?

შემდეგ, აძლევს დავალებას, დახატონ ყოფითი ჟანრის სურათი – მათი საყვარელი თამაში, სადაც სხვადასხვა მოძრაობას ასახავენ. მასწავლებელი სთავაზობს, თავად მოიფიქრონ, რა მასალა უფრო გამოდგება მათი ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად. შესაძლოა, დაეხმაროს კიდეც:

- გუაშის საღებავით დეტალების გადმოცემა რთულია – ეს განსაკუთრებულ სიფრთხილესა და სიფაქიზეს მოითხოვს, რადგან მონასმი თუ სქელი გამოვა, ნახატი შეიძლება გაიდღაბნოს. რა მასალა მოგცემთ შესაძლებლობას, ყველა დეტალი გადმოსცეთ?

მასწავლებელს მიჰყავს მოსწავლეები იმ აზრამდე, რომ ფერადი ფანქრებით ან ფლომასტერებით უკეთ შეძლებენ დეტალების დახატვას.

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ მათ საყვარელ თამაშებს, რომლებიც სხვადასხვა მოძრაობის ასახვას მოითხოვს.

საშინაო დავალებად მასწავლებელს შეუძლია მისცეს ფრანსისკო გოიას „ჩალის თოჯინის“ ონლაინ გასაფერადებელი (იხ. დანართი). პალიტრა მოცემულია მარცხნივ. მოსწავლემ უნდა დააწკაპუნოს ფერზე, შემდეგ გასაფერადებელ არეზე და ფერი ჩაისხმევა. ბმულზე შესაძლებელია ნამუშევრის შენახვა, გაზიარება (ელექტრონულად გაგზავნა), ამობეჭდვა და ხელახლა გაფერადება. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს უფასოდ დარეგისტრირებაში და ორიგინალის ილუსტრაციის მოძებნაში ინტერნეტით, რომ მოსწავლემ იხელმძღვანელოს ფერების შერჩევისას.

ნეცკე

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს იაპონური ხელოვნების ერთერთი დარგი,
პატარა ფიგურების ძერწვის უნარის განვითარება

შედეგი:

ს.გ. 3.1. – 1
ს.გ. 3.2. – 3

ასათვისებელი ტერმინები:

ნეცკე – იაპონური მინიატურული ქანდაკება, ღილი
კიმონო – იაპონური ტრადიციული სამოსი
ობი – კიმონოს ქამარი

მასალა:

პლასტილინი
პლასტილინის დაფა
პლასტილინის დანა
წვრილი ჩხირები

ვიზუალური მასალა:

იაპონური კიმონოს ნიმუშები
ნეცკეს რამდენიმე გამოსახულება

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები გაეცნობიან იაპონიის გამოყენებითი ხელოვნების ერთერთ დარგის, მინიატურული ქანდაკებების – ნეცკეს დანიშნულებას. დაათვალიერებენ მათ გამოსახულებებს და მოიფიქრებენ საკუთარ ნეცკეებს.

აქტივობა:

მოსწავლეები პლასტილინით გამოძერწავენ პატარა ქანდაკებებს, რომლებსაც რაიმე სიმბოლურ მნიშვნელობას მიანიჭებენ (მაგ, სიმამაცისთვის, შეჯიბრში გამარჯვებისთვის, უკეთ სწავლისთვის და სხვა).

გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს, თუ რას გამოხატავენ, რა სიმ-ბოლური მნიშვნელობა მიანიჭეს თავიანთ გამოძერწილ ფიგურებს.

აპლიკაცია – მატისის ზღვა

მიზანი:

- აპლიკაციის ტექნიკის შესაძლებლობების გაცნობიერება,
- აპლიკაციის შექმნის უნარის განვითარება,
- ნატიფი მოტორიკის განვითარება,

შედეგი:

ს.გ.III.1. – 8, 9.
ს.გ.III.2. – 1.
ს.გ.III.3. – 1, 2.

ასათვისებელი ტერმინები:

ფაუნა, ფლორა, კონტრასტი, ბუნებრივი ფორმა.

მასალა:

თეთრი ფურცელი (თითო მოსწავლეს თითო), 5 ცალი ცისფერი და 5 ცალი ლურჯი ფერის ა4 ფორმატის ქაღალდები, უბრალო ფანქარი, მაკრატელი, წებო, სკოჩი.

ვიზუალური მასალა: გრაფიკულ დიზაინერს:

პოლინეზია, ზღვა
პოლინეზია, ცა
მატისი სამუშაო პროცესში

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ანრი მატისის ჯერ ერთ ნამუშევარს – „პოლინეზია, ზღვა“ და სთხოვს, ამოიცნონ, რა არის გამოსახული ამ დეკორატიულ კომპოზიციაზე (რას აგონებთ ეს ფორმები). სავარაუდოდ, მოსწავლეები ამოიცნობენ წყალმცენარეებს, მედუზებს, თევზებს, ნიჟარებს; შენიშნავენ ცისფერ-ლურჯ ფონს და დაასკვნიან, რომ გამოსახულია ზღვა.

შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მატისის მეორე ნამუშევარს – „პოლინეზია, ცა“ და სთხოვს, ამოიცნონ, რა არის გამოსახული ამ დეკორატიულ კომპოზიციაზე. სავარაუდოდ, მოსწავლეები ამოიცნობენ ფრინველებს და დაასკვნიან, რომ გამოსახულია ცა.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, წაიკითხონ ტექსტი სახელმძღვანელოში და ნახონ, დაემთხვა თუ არა მათი ვარაუდი მატისის ნამუშევრების სათაურებს. თუ მოსწავლეებმა ჰკითხეს, სად არის პოლინეზია, მასწავლებელი აუხსნის, რომ პოლინეზია არის ავსტრალიის აღმოსავლეთით, წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულების (1000-ზე მეტი კუნძული) სახელწოდება.

სანამ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, მასწავლებელი დაფაზე ხატავს მატისის ფორმებს – წყალმცენარეებს, მედუზებს, თევზებს და ეკითხება:

- როგორია ეს ფორმები? შეიძლება ამ ფორმებს გეომეტრიული ვუწოდოთ? რით განსხვავდება მატისის ფორმები გეომეტრიულისგან? – მათ არ აქვთ სწორი გვერდები და კუთხეები. ისინი

უსწორმასწოროა. კიდევ რა ფორმები იცით? – წრე, ოთხკუთხედი, სამკუთხედი... მატისი გეო-

მეტრიულ ფორმებს ძალიან იშვიათად მიმართავდა. მას უფრო ბუნებრივი ფორმები მოსწონდა.

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს მასალებს (თეთრ ფურცლებს, ფანქრებსა და მაკრატლებს) და ეუბნება, რომ თეთრ ფურცელზე უბრალო ფანქრით უნდა დახატონ ფორმები და შემდეგ გამოჭრან.

სანამ მოსწავლეები ფორმებს ხატავენ და ჭრიან, მასწავლებელი დაალაგებს მაგიდაზე ცისფერ და ლურჯ ფურცლებს ჭადრაკული წყობით და სკოჩით გადააბამს ერთმანეთს კიდეებით. შემდეგ მოსწავ-ლეები მაგიდაზევე, უკვე მზა ფონზე ალაგებენ თეთრ ფორმებს და ეძებენ საუკეთესო კომპოზიციურ გადაწყვეტას. როცა ფორმების საუკეთესო განლაგება მიგნებულია, წაუსვამენ ფორმებს წებოს უკანა მხარეს და დააკრავენ მათთვის განსაზღვრულ ადგილებზე.

დასასრულს, თეთრი ფურცლის კიდეების ნარჩენებზე ფანქრით ხატავენ უსწორმასწორო, მცენარეული ფორმის აშიას, ჭრიან და აწებებენ ფონის კიდეებზე.

მზა „ხალიჩას“ აკრავენ სტენდზე.

მასწავლებელი ეკითხება, მოეწონათ თუ არა საერთო საკლასო ნამუშევარი, ხაზს გაუსვამს იმ გარემოებას, რომ ერთობლივი ძალებით საქმე სწრაფად და სახალისოდ კეთდება და რომ ყველას თანაბრად მიუძღვის წვლილი ამ მშვენიერი ნამუშევრის შექმნაში.

აქტივობა:

მოსწავლეები ჭრიან ბუნებრივ ფორმებს და ქმნიან საერთო საკლასო ნამუშევარს აპლიკაციის ტექნიკით მატისის სტილში.

საშინაო დავალებად – ერთი ფურცლის ცალ მხარეს დახატონ ბუნებრივი, ხოლო მეორე მხარეს – გეომეტრიული ფორმები.

მოსწავლის ნამუშევრის ნიმუში:



შემაჯამებელი კითხვები:

- რა განსხვავებაა ბუნებრივ და გეომეტრიულ ფორმებს შორის?
- უმეტესად, რა სახის ფორმებს იყენებდა ანრი მატისი?
- რით განსხვავდება მარტო მუშაობა ერთად მუშაობისგან?
- მსგავსი პროექტი რომ მარტო ერთ ადამიანს გაეკეთებინა, რა მოხდებოდა? (მეტ დროს წაიღებ-და).

- რა არის ყველაზე კარგი ერთად მუშაობაში?
- რა სირთულეა ერთად მუშაობაში?
- რას ნიშნავს კონტრასტი და რა მხატვრული ხერხებით შეიძლება მისი მიღწევა?
- რა არის ფლორა?
- რა არის ფაუნა?





IV თემა: ისტორიები

პირველი მხატვრები

მიზანი:

პირველყოფილი ადამიანების შემოქმედებასთან გაცნობა;
ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 4, 6.
ს.გ. III.2. – 2, 3.
ს.გ. III.5. – 3, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

არქეოლოგი

მასალა:

მუყაოს ნაჭრები ან თიხის ფირფიტები ან ფიქალი ქვის ნატეხები, ცარცი, ნახშირი, პასტელი (აგურისფერი და ოქრა).

ვიზუალური მასალა:

ლასკოს, შოვეს, ალტამირას და სხვა პრეისტორიული გამოქვაბულების ნახატები
მოსწავლეების ნამუშევრები

გაკვეთილის მსვლელობა:

- ერთ დროს ადამიანებს ეგონათ, რომ კაცობრიობის უძველესი ნახატები ძველ ეგვიპტესა და შუამდინარეთში შეიქმნა. ცოტა უცნაური კი იყო, რომ პირველი ნიმუშები უკვე ასე დახვეწილად და ოსტატურად გამოიყურებოდა, მაგრამ მანამდელი ნაწარმოებების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ერთმანეთს რამდენიმე გამაოგნებელი აღმოჩენა მოჰყვა და თანაც, სკოლის მოსწავლეების წყალობით.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ან მასწავლებელი უამბობს მათ აღმოჩენის ისტორიებს. თან, აჩვენებს მოსწავლეებს გამოქვაბულის კედლებზე შესრულებულ, პირველი მხატვრების ნამუშევრებს (ილუსტრაციებს ელექტრონული რესურსიდან ან ვირტუალურ ტურებს ლასკოსა და ალტამირას გამოქვაბულებში).

სახელმძღვანელოში ტექსტის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი ამბობს:

- წარმოიდგინეთ, რომ ბუნების წიაღში ხართ და ხელთ არანაირი საღებავი და ფუნჯი არ გაგაჩნიათ. რა მასალას გამოიყენებთ, რომ კლდეზე დახატოთ?

მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს. მასწავლებელი იტყვის:

- ქიმიკოსებმა საღებავი შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ პირველყოფილი ადამიანები ბუნებრივ

მასალებს იყენებდნენ – ნახშირს, ცარცს, მარგანეცს, ჟანგს, თიხას, მცენარეების წვენს.

პირველი მონადირეები საათობით აკვირდებოდნენ ცხოველებს და კარგად იცოდნენ მათი ხასიათი, მოძრაობები, აგებულება. სწორედ ამ ცოდნის წყალობით, ეს ნახატები ახლაც ცოცხალივით გამოიყურება. რა ეწოდება ჟანრს, რომელიც ცხოველებს ასახავს? – ანიმალისტური. რა ყოფილა სახვითი ხელოვნების ყველაზე ძველი ჟანრი? გამოდის, რომ ანიმალისტური ჟანრი უძველესი ყოფილა.

შემაჯამებელი კითხვები:

- ვინ არიან არქეოლოგები?
- რა ეხატა გამოქვაბულების კედლებზე?
- რომელი ცხოველები ამოიცანი ამ ნახატებზე?
- არის მათ შორის თქვენთვის უცნობი ცხოველის გამოსახულება?
- როგორ ფიქრობთ, რატომ ხატავდნენ პირველყოფილი ადამიანები მარტო ცხოველებს?
- რა მასალით ხატავდნენ პირველყოფილი ადამიანები?
- რა სირთულე აქვს უსწორმასწორო ზედაპირზე ხატვას?

აქტივობა:

მოსწავლეები მუყაოს ნაჭრებზე, თიხის ფირფიტებზე ან ფიქალ ქვებზე ცარცით, ნახშირით და პასტელით ხატავენ რომელიმე ცხოველის გამოსახულებას.

საშინაო დავალება (არდადეგებზე შესასრულებელი):

არდადეგებზე, ბუნებაში თამაშისას, კლდეზე ან დიდ ლოდზე პირველყოფილი ადამიანის მსგავსად, დახატე ნახატი ბუნებრივი, შენ მიერ მომზადებული საღებავებით:

იპოვე ერთი ბრტყელი და ერთი მომრგვალებული ქვა საღებავების დასაფქვავად. წვრილად დასრისე აგური, ცარცი ან თეთრი ფერის რბილი კენჭები, ნაცარი, ნახშირი, მიწა. შეურიე ფხვნილებს კვერცხის გული ან ზეთი. ბუმბულით, ჯოხებით, მცენარეებით დაიმზადე ფუნჯები. ნახშირით ან ცარცით შემოხაზე ნახატის კონტური და გააფერადე იგი შენივე საღებავებით.

მზერა შუამდინარეთიდან

მიზანი:

შუამდინარეთის ხელოვნებასთან და ქანდაკების დარგთან გაცნობა; წვრილი მოტორული კუნთების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 8.
ს.გ.III.2. – 3.
ს.გ.III.5. – 1, 3, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

არქეოლოგი, ქანდაკება

მასალა:

თიხა, საძერწი დაფა, პლასტმასის საძერწი დანა, წინსაფარი, სამკლავურები, რვეული, ფანქარი.

ვიზუალური მასალა:

შუამდინარული ქანდაკებები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- ახლა ფანტაზიის სავარჯიშოს მოგცემთ: წარმოიდგინეთ, რომ გევალებათ ყოვლისმხილველი მზერის დახატვა, ანუ არსებისა, რომლის ერთადერთი თვისება ისაა, რომ ყველაფერს ხედავს, მის მზერას ვერაფერი გამოეპარება. ფანქრით ფურცელზე დახატეთ ეს არსება. გეძლევათ სამი წუთი – ერთი წუთი მოფიქრებისთვის და ორი წუთი დასახატად.

სამ წუთში მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აჩვენონ საკუთარი იდეების ჩანახატები. ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ, მასწავლებელი იტყვის:

- ახლა ვნახოთ, როგორ გადაწყვიტეს ეს ამოცანა შუამდინარეთში, 50 საუკუნის წინ.

სახელმძღვანელოს ტექსტთან გაცნობისა და შუამდინარული თვალადი კერპების ნიმუშების დათვალიერების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ და აღწერონ ეს ფიგურები. მასწავლებელი ეხმარება კითხვებით:

- ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება ეს ფიგურები? – ქანდაკებას.
- რა არის ქანდაკება? – ეს არის სამგანზომილებიანი გამოსახულება, შექმნილი თიხით, ხით ან ლითონით. ის შეგიძლია ყველა მხრიდან დაათვალიერო, განსხვავებით ნახატისგან.
- როგორ არის გამოყვანილი თვალები?
- რა ფორმა აქვს ტანს? – ზარის.
- სიმეტრიულია თუ ასიმეტრიული? რა არის სიმეტრია? სად გადის ამ ფიგურებზე სიმეტრიის ხაზი?

- შეხედეთ ფიგურის თავს გვერდიდან. რას გაგონებთ? – გადაბრუნებულ რვიანს. გადაბრუნებული, დაწვენილი რვიანი მარადისობის სიმბოლოა. ეს უძველესი ქანდაკებებიც უკვე მარადიულად გვეჩვენება, მაგრამ ისინი განადგურების წინაშე მყოფი, კულტურული მემკვიდრეობის წითელ წიგნშია შეტანილი. საქმე ისაა, რომ სირიის ტერიტორიაზე ომი მიმდინარეობს. ქალაქები ინგრევა და მათთან ერთად, მუზეუმებში დაცული ნივთებიც ნადგურდება.

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს მასალებს (თიხის ნაცვლად შეიძლება იხმაროთ პლასტილინი ან მარილიანი ცომი (თანაბარი წილი ფქვილი, მარილი და წყალი) და მოხატონ ისინი თხევადი წებო პვა-ნარევი გუაშით).

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- გამოძერწეთ ზარის ფორმა.
- ოდნავ დააბრტყელეთ.
- შეგიძლიათ ხის ჩხირით ან პლასტილინის საძერწი დანით დაიტანოთ ბრტყელ ზედაპირზე ხაზოვანი ორნამენტები
- გამოძერწეთ რვიანის ფორმა და ა) პლასტმასის საძერწი დანით გამოიყვანეთ მასზე თვალების კონტურები ან ბ) გამოჭერით თვალის უპეები მსხვილი ხვრელების სახით.
- ჩაარჭეთ რვიანის შუაგულში ხის ჩხირი
- ჩამოაცვით ის ზარის კენწეროს. ხის ჩხირი არ უნდა ჩანდეს. ის საჭიროა იმისთვის, რომ ფიგურას თავი არ მოძვრეს.
- შეგიძლიათ სახლში სთხოვოთ ამ ფორმის ნამცხვრის გამოცხობა. შუამდინარელები ალბათ გაბრაზდებოდნენ, მათთვის ხომ ეს ღვთაებისთვის შესაწირი ქანდაკება იყო. მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ქალღმერთი ნინურტა უკვე ისტორიას ჩაბარდა. ჩვენ მხოლოდ იმ მოქანდაკეთა ნახელავის საოცარ ფორმას მივაგებთ პატივს. მათ ხომ მშვენივრად გადმოსცეს ყოვლისმხედველი მზერა.

აქტივობა:

მოსწავლეები თიხით ძერწავენ შუამდინარული თვალადი კერპების მსგავს ფიგურებს და შეამკობენ მათ გეომეტრიული ორნამენტით.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა არის ქანდაკება?
- ვინ აღმოაჩინა ეს ფიგურები?
- ვინ არიან არქეოლოგები?
- სად გადის ამ ქანდაკებებში სიმეტრიის ხაზი?

ინტერვიუობანა

მიზანი:

კომუნიკაციისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარება;
ბერძნული კლასიკის ხელოვნებასთან გაცნობა.

შედეგი:

ს.გ. III.4. – 2, 4.
ს.გ. III.5. – 1, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

ინტერვიუ, მითი, სკულპტურული ჯგუფი, დედანი, ასლი, ათლეტი, პროპორცია.

ვიზუალური მასალა:

მირონის ქანდაკება ათენა და მარსიუსი

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ამბობს:

- დღეს თქვენ ჟურნალისტები იქნებით, მე – ძველი ბერძენი ხელოვანი მირონი. ეს „ჩემი“ ნამუშევარია (აჩვენებს ათენასა და მარსიუსის სკულპტურული ჯგუფის ფოტოს). თქვენ შეგიძლიათ დამისვათ კითხვები, მე – გიპასუხებთ. კითხვა ყველამ ერთდროულად რომ არ დამისვათ, მიკროფონი დაგვჭირდება (ნებისმიერი საგანი შეიძლება გაათამაშოთ, როგორც მიკროფონი).

მოსწავლეები იწყებენ აზრის გამოთქმას პერსონაჟების ვინაობისა და ასახული სიტუაციის, ვითარების შესახებ. შემდეგ იწყება ინტერვიუ.

შესაძლო კითხვები:

- თქვენ მოქანდაკე ხართ?
- საბერძნეთში მოქანდაკეებს კარგად უხდიან?
- ვინ არიან ეს ადამიანები?
- რას აკეთებენ?
- რატომ იქნევს ეს კაცი ხელს?
- რატომ არის ეს კაცი შიშველი?
- რატომ აქვს ამ კაცს კუდი?
- ამ ქალს თავზე რა ახურავს?
- მერე როგორ გაგრძელდა ეს ამბავი?
- კიდევ რა ნამუშევრები გაქვთ?
- რატომ ხართ ცნობილი?
- თქვენს დროს კიდევ რომელი მოქანდაკე იყო ცნობილი?

მასწავლებლის პასუხებისთვის საჭირო ინფორმაცია:

მირონი იყო ძვ.წ.-აღ-ით V ს-ის ბერძენი მოქანდაკე, წარმოშობით ქალაქ ელეფთერიდან. მისი ნამუშევრები საბერძნეთშიც ცნობილი იყო და მის ფარგლებს გარეთაც. მირონის ერთ-ერთი ნამუშევარი, სკულპტურული ჯგუფი „ათენა და მარსიუსი“ ძველ ბერძნულ მითს ასახავს. მითი – ძველი ხალხური თქმულებაა სამყაროს წარმოშობაზე, ღმერთებსა და გმირებზე. სკულპტურა – იგივე ქანდაკებაა. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს სკულპტურული ჯგუფი? სკულპტურული ჯგუფი ქანდაკებაა, რომელიც ერთზე მეტი, ერთმანეთთან დაკავშირებული ფიგურისგან შედგება.

მითის მიხედვით, სიბრძნისა და ომის ქალღმერთმა ათენამ ორმაგი ფლეიტა გამოთალა და დაუკრა. უცებ სხვა ქალღმერთების – აფროდიტასა და ჰერას დამცინავი სიცილი მოესმა. წყალში საკუთარ ანარეკლს ჩახედა და დაინახა, რომ დაკვრის დროს ლოყები სასაცილოდ ებერებოდა. გაბრაზდა, ფლეიტა გადააგდო და დაწყევლა ის, ვინც მასზე დაკვრას გაბედავდა. ტყის კუდიანმა სატირმა (იგივე სილენმა) მარსიუსმა ფლეიტა იპოვა და ზედ დაუკრა. ათენამ მოიხედა, რომ ენახა, ვინ იყო ის ურჩი, რომელიც მის წყევლას არ დაემორჩილა. მარსიუსი შეცბა, ფლეიტა დააგდო და უკან დაიხია. შეშინებული, თვალს ვერ უსწორებდა განრისხებულ ქალღმერთს. სწორედ ეს მომენტია ასახული სკულპტურულ ჯგუფში.

პერსონაჟები დგანან, როგორც ცელქი მოსწავლე და მკაცრი მასწავლებელი. ათენას, როგორც ომის ქალღმერთს, თავზე მუზარადი ახურავს. სატირი (სილენი) მარსიუსი კი, ნაწილობრივ ცხოველური ბუნების ტყის არსებაა, ამიტომაც ის შიშველია, აქვს კუდი და გაბურძგნული თმა. მითი გვიამბობს, რომ მარსიუსი ისე დაოსტატდა ფლეიტაზე დაკვრაში, რომ შეჯიბრში თვით აპოლონი გამოიწვია. აპოლონმა დაამარცხა მარსიუსი და სასტიკად დასაჯა (აპოლონის ბრძანებით, მარსიუსს ტყავი გააძრეს, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია გამოტოვოს ეს დასასრული).

დროთა განმავლობაში, ქანდაკების დედანი ანუ ის, რაც მირონმა შექმნა, სამწუხაროდ დაიკარგა. სამაგიეროდ, მორონის შემოქმედებით აღტაცებულმა, ძველმა რომაელმა მოქანდაკეებმა მათი ასლები გააკეთეს ანუ, დედნის მსგავსი ვარიანტი გამოაქანდაკეს. ჩვენამდე სწორედ ამ ასლებმა მოაღწია, მაგრამ არა ჯგუფის, არამედ ცალკეული და თანაც, ძლიერ დაზიანებული ფიგურების სახით, და ისინიც, სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმების კოლექციებში ინახება. ერთი უთავო ათენა პარიზის ლუვრშია, ერთი თავიანი – მადრიდის პრადოს მუზეუმში. ათენას ფიგურა აღდგენილია გერმანიაში, ფრანკფურტის მუზეუმში დაცული ფიგურის მიხედვით. ათენას თავი აღდგენილია დრეზდენის მუზეუმში დაცული თავის მიხედვით. მარსიუსის ქანდაკება ინახება რომში, ლატერანას მუზეუმში.

ქანდაკების შექმნიდან 7 საუკუნის შემდეგ, ჩვ.წ-აღ-ით II საუკუნეში რომის იმპერიაში, კერძოდ კი საბერძნეთში, ცხოვრობდა გეოგრაფი და მოგზაური პავსანიუსი, რომელმაც აღწერა მირონის მიერ შექმნილი ქანდაკება „ათენა და მარსიუსი“. ამ აღწერისა და სხვა რამდენიმე გამოსახულების (ერთი – კერამიკულ ჭურჭელზეა, მეორე კი – მონეტაზე) საფუძველზე, ხელოვნებათმცოდნეებმა დააკავშირეს სხვადასხვა მუზეუმში მიმოფანტული, მირონის ეს სკულპტურული ჯგუფი, ხოლო მოქანდაკეებმა, მისი აღდგენა სცადეს – ერთად დააყენეს და ნაკლული კიდურებიც გამოაქანდაკეს.

მირონის კიდევ ერთი განთქმული ქანდაკებაა „ბადროს მტყორცნელი“ ათლეტი, რომელიც ტრიალდება, რომ ბადრო მძლავრად მოიქნიოს. დედანი არც ამ ქანდაკებისა შემორჩა – მხოლოდ რომაული ასლების წყალობითაა ცნობილი. თუ დააკვირდებით, ამ ქანდაკებაში არაჩვეულებრივადაა გადმოცემული ნავარჯიშევი ათლეტის (სპორტსმენის) მოძრაობა, დახვეწილი პროპორციები, კუნთები, დაჭიმული ძარღვებიც კი!

ალბათ დაგაინტერესებთ, როგორ შეძლო მირონმა ასე კარგად ადამიანის ანატომიისა (სხეულის აგებულების) და პროპორციების (სხეულის ნაწილების ზომების თანაფარდობის) შესწავლა. საქმე ისაა,

რომ ოლიმპიურ თამაშებში ქალებს არ ჰქონდათ მონაწილეობის უფლება. ამიტომ, შემთხვევით მათ შორის ქალი რომ არ შეპარულიყო (წესის მიღებამდე ასეთი შემთხვევა მართლაც მოხდა), მამაკაცები შიშვლები ვარჯიშობდნენ. თანაც, ადამიანი სამყაროს ერთ-ერთ ულამაზეს ქმნილებად ითვლებოდა და სიშიშვლე სულაც არ იყო სირცხვილი. პირიქით, ასე უკეთ ჩანდა ათლეტის განვითარებული კუნთები, მისი ღონე და უძლეველობა.

მირონის თანამედროვე, ასევე სახელგანთქმული მოქანდაკეები იყვნენ ფიდიასი და პოლიკლეტე.

პლანეტა მერკურიზე ერთ-ერთ კრატერს მირონის სახელი დაარქვეს.

საშინაო დავალებად მასწავლებელი აძლევს ამ სიუჟეტის დახატვას, ოღონდ არა მირონის სკულპტურული ჯგუფის, არამედ ამბის საკუთარი ინტერპრეტაციის, ანუ თავად როგორ წარმოიდგინეს ეს მითი.

აქტივობა:

მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, სვამენ კითხვებს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა შეიტყეთ დღევანდელ გაკვეთილზე?
- რა არის სკულპტურა?
- რას ნიშნავს ასლი?
- რა არის მითი?
- რას ნიშნავს სკულპტურული ჯგუფი?
- ვინ არის ათლეტი?
- ვინ გამოაქანდაკა „ათენასა და მარსიუსის“ სკულპტურული ჯგუფი?

ველასკესის ინფანტა

მიზანი:

კომუნიკაციის, ინტერპრეტაციისა და ხელოვნების კონტექსტში აღქმის უნარების განვითარება; დიეგო ველასკესის შემოქმედებასთან გაცნობა;

შედეგი:

ს.გ.III.4. – 4, 6.
ს.გ. III.5. – 9.

ასათვისებელი ტერმინები:

ჯგუფური პორტრეტი, ინფანტა, მენინები.

ვიზუალური მასალა:

დიეგო ველასკესის ფერწერული ტილო „მენინები“. ბმული პრადოს მუზეუმის ოფიციალური ვებ-გვერდიდან საშუალებას იძლევა, გაადიდოთ გამოსახულების ესა თუ ის დეტალი.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი წერს დაფაზე „დიეგო როდრიგეს დე სილვა ველასკესი“ და ეკითხება მოსწავლეებს, რას შეიძლება ეს ნიშნავდეს. ვარაუდები შეიძლება სახალისოდ ჟღერდეს. ცხადია, მესამეკლასელების უმეტესობას ეს არ ეცოდინება, მაგრამ კითხვა გაუღვივებს ინტერესს. ვარაუდების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ეუბნება, რომ ეს ესპანელი მხატვრის სახელი და გვარია. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ წიგნში გაკვეთილის შესაბამისი ტექსტი.

ტექსტის კითხვის დასრულებისას, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- თქვენი აზრით, რა ჟანრშია შესრულებული სურათი?

მასწავლებელი უხსნის ან შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ჯგუფური პორტრეტი არის ერთ სურათში რამდენიმე ადამიანის გამოსახულება, სადაც მნიშვნელოვანია გარეგნული მსგავსება, მათი სულიერი მდგომარეობის ასახვა და ხასიათის წარმოჩენა.

მაგრამ ეს სურათი ჯგუფური პორტრეტისა და ყოფითი ჟანრების ნაზავია, რადგან სიტუაცია სასახლის ყოველდღიური ცხოვრების ერთ მომენტს ასახავს.

- შეეცადეთ აღწეროთ, რა ხდება სურათზე. ვინ არიან გამოსახულნი?

სავარაუდოდ, მოსწავლეები გამოიცნობენ ინფანტას, ველასკესსა და სეფე ქალებს. თუ მათ გაუჩნდებათ კითხვები – ვინ არიან დანარჩენი პერსონაჟები, ამ სქემის მიხედვით, მასწავლებელი ეტყვის, რომ:

1 – ინფანტა მარგარიტა-ტერეზაა; 2 და 3 – სეფექალები; 4 – გერმანელი ჯუჯა მარია ბარბოლა, რომელიც სიბრძნით გამოირჩეოდა და ინფანტას აღმზრდელადაც ითვლებოდა; 5 – იტალიელი ჯუჯა ნიკოლას პერტუსატო, რომელიც ფეხით ეთამაშება მასტიფის ჯიშის ძაღლს; 6 – მონაზვნის სამოსში – დონა მარჩელა დე ულოა; 7 – ინფანტას პირადი მცველი; 8 – ღია კარში დგას დონ ხოსე ველასკესი, შესაძლოა, დიეგო ველასკესის ნათესავი, მეფის კარის გობელენების სახელოსნოს ხელმძღვანელი;

9 – ხელში პალიტრითა და ფუნჯით, მაღალი ტილოს უკან დგას თავად მხატვარი დიეგო ველასკესი (მის მკერდზე წითელი ჯვარია გამოსახული, ჯილდო, რომელიც სურათის შექმნიდან 3 წლის შემდეგ მიიღო. ეს ჯვარი მოგვიანებით, ველასკესის გარდაცვალების შემდეგ, თავად მეფე ფილიპე IV-ემ მიუხ-ატა მხატვრის პორტრეტს); 10-11 – სარკეში ინფანტა მარგარიტას მშობლების – მეფე ფილიპე IV-ესა და დედოფალ მარიანა ავსტრიელის ანარეკლი ჩანს (მაგრამ მასწავლებელი ამას ოდნავ მოგვიანებით, ინსცენირების შემდეგ გაამხელს).

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს:

- აღადგინეთ გარემო – დადექით ისე, როგორც სურათის გმირები დგანან. გამოიცანით, ვის ხატავს ველასკესი?

სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ მხატვარი ხატავს ინფანტას. თუ მოსწავლეები ვერ მიხვდნენ, რომ ველასკესი ინფანტას მშობლებს ხატავს, მასწავლებელი მიანიშნებს:

– კედლებზე სურათები მუქია და ჩამქრალი. ისინი სინათლეს არ ირეკლავს. ერთადერთი, კარის გვერდით მოთავსებული „სურათი“ ირეკლავს შუქს. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ეს? (სავარაუდოდ, ბავშვები მიხვდებიან, რომ ეს სარკეა და სარკეში ინფანტას მშობლების ანარეკლია გამოსახული).

– ესე იგი, ვის ხატავს ველასკესი? (მეფე-დედოფალს). ინფანტა სახელოსნოში ამ პროცესს ესწრება. მშობლებთან რომ არ მივიდეს და ხელი არ შეუშალოს, მენინები ანუ სეფე ქალები აკავებენ – ერთ-ერ-თი წვენს სთავაზობს. ნახეთ, როგორ საინტერესოდ მოიფიქრა მხატვარმა – თითქოს მაყურებელი იქ დამსწრე ადამიანი ხდება, რომლის ზურგს უკან მეფე-დედოფალი დგანან, ყველა დანარჩენი კი – წინ. ჩვენ მეფე-დედოფლის მხოლოდ ანარეკლს ვხედავთ სარკეში. ასე „შეგვიყვანა“ ველასკესმა სურათში! და მაინც, ღიად რჩება ერთი საკითხი – თუკი ველასკესი მეფე-დედოფალს ხატავს, ხოლო კომპოზიცი-

ის ცენტრში ინფანტაა გამოსახული, რატომ ჰქვია სურათს „მენინები“? ეს კითხვა დღემდე მრავალ ვერსიას წარმოშობს და სურათის ერთ-ერთ საიდუმლოდ რჩება.

აქტივობა:

მოსწავლეები მსჯელობენ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების გარშემო, აკეთებენ კომ-პოზიციის ინსცენირებას, გამოთქვამენ ვარაუდებს.

საშინაო დავალება:

მოსწავლეებმა უნდა დაწერონ პატარა მოთხრობა (რვეულის ნახევარი ან ერთი გვერდი) სურათის გმირებისა და ამ კონკრეტული მომენტის შესახებ.

ასევე, მასწავლებელს შეუძლია საშინაო დავალებად მისცეს დიეგო ველასკესის „მენინების“ ონლაინ გასაფერადებელი. პალიტრა მოცემულია მარცხნივ. მოსწავლემ უნდა დააწკაპუნოს ფერზე, შემდეგ გასაფერადებელ არეზე და ფერი ჩაისხმევა. ბმულზე შესაძლებელია ნამუშევრის შენახვა, გაზიარება, ამობეჭდვა და ხელახლა გაფერადება. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს უფა-სოდ დარეგისტრირებაში და ორიგინალის ილუსტრაციის მოძებნაში ინტერნეტით, რომ მოსწავლემ იხელმძღვანელოს ფერების შერჩევისას. ბმული:

http://www.thecolor.com/Coloring/diego-velasquez-the-maids-of-honor.aspx

თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მასწავლებელს შეუძლია გადაიღოს გასაფერადებელი სქემის ასლი (იხ.: დანართი) და გაატანოს მოსწავლეებს სახლში.

შემაჯამებელი კითხვები:

- ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება დიეგო ველასკესის „მენინები“?
- რომელი ჟანრების ელემენტებს შეიცავს ეს ფერწერული ტილო? დაასაბუთეთ.
- სადაური იყო დიეგო ველასკესი?
- მოინდომებდით ინფანტა მარგარიტას ადგილზე ყოფნას? რატომ?

მატარებელი

მიზანი:

მშვენიერის დანახვის და აღქმის უნარის განვითარება
აპლიკაციის ტექნიკის დაუფლება

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2.
ს.გ. III.2. – 2.
ს.გ. III.3. – 1, 2, 5.

მასალა:

ფერადი ქაღალდები
ფლომასტერები, მაკრატელი, წებო.

ასათვისებელი ტერმინები:

ტრანსპორტი, სამგზავრო, სატვირთო,

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს გამოთქვან აზრი და დაასაბუთონ საკუთარი შეხედ-ულება და დასვამს სადისკუსიო შეკითხვას:

- რა უფრო ლამაზია, აყვავებული ბაღი თუ რკინიგზის სადგური?

მოკლე დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი დაათვალიერებინებს მოსწავლეებს უილიამ ტერნერის, კლოდ მონეს, კამილ პისაროს, ვან გოგის, ნიკო ფიროსმანის და ვასილი კანდინსკის სურათებს და სთხოვს მათ, გამოთქვან აზრი, თუ რამდენად მოეწონათ სურათები, რომელი მხატვრის ნამუშევარი მოეწონათ მეტად, რომელი ნაკლებად და რატომ; რატომ აირჩიეს მხატვრებმა ეს თემა, რამ მოხიბლა ისინი.

„ჩემი საქმეა, ვხატო ის, რასაც ვხედავ და არა ის, რაც ვიცი“ – უთქვამს უილიამ ტერნერს.

ეს ნაწარმოებები შეიქმნა იმ დროს, როდესაც ადამიანების წყნარ, მდორე ცხოვრებაში ახალი, ხმაურიანი მანქანებით შემოიჭრა ტექნიკური პროგრესი და დაამკვიდრა ახალი ცხოვრების წესი.

ეს გარდაქმნები აისახა ხელოვნებზეც და რა თქმა უნდა მხატვრობაზეც.

ამ დროს, ჩაისახა ხელოვნების ახალი დარგები – ფოტოგრაფია და კინო. პირველი ფილმი, რომე-ლიც ძმებმა ლუმიერებმა აჩვენეს მაყურებელს, გადაღებულია 1895 წელს და მისი სახელწოდებაა „მატარებლის ჩამოდგომა სიოტას სადგურზე“. ითვლება, რომ კინოს ეპოქა სწორედ ამ ფილმით დაიწყო.

თქვენს მიერ ნანახ ნაწარმოებებში, მხატვრები გამოხატავენ თავიანთ ემოციას, აღტაცებას ამ ახალი გარდაქმნების წინაშე.

აქტივობა:

მოსწავლეებმა აპლიკაციით უნდა გააკეთონ მატარებელი და გაამგზავრონ თავიანთი ოჯახები სამოგზაუროდ.

(კლასში მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, დამზადდება რამდენიმე 3-4 ვაგონიანი მატარებელი). შესაბამისად, მოსწავლეები გაერთიანდებიან 3-4 კაციან ჯგუფებად. ყოველი ჯგუფი დაამზადებს ერთ მატარებელს ორთქმავლით.

მოსწავლეები ამოარჩევენ მათთვის სასურველი ფერის ფურცელს ორთქლმავლისთვის და ვაგონისთვის, მასწავლებელი დაურიგებს მათ თეთრ, და შედარებით მომცრო ზომის შავი ფურცლების ზოლებს.

შავ ფურცლებზე დახატავენ წრეებს და გამოჭრიან ბორბლებს.

თეთრ ფურცლებზე დახატავენ ფანჯრებს (რომლებიც ზომით და რაოდენობით უნდა ჩაეტიოს ვაგონებში), ფანჯრებში ჩახატავენ თავიანთი ოჯახის წევრებს.

ორთქლმავლის ფანჯარაში ჩახატავენ მემანქანეს.

ფანჯრებს და ბორბლებს დააწებებენ ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილ ვაგონებზე. ვაგონს დააწერენ მათი ოჯახის გვარს (მაგ. ჩხეიძეების ოჯახი).

ვაგონებს ჩააბამენ ერთმანეთს მუქი ქაღალდის გრძელი წვრილი ზოლით (რელსი ბორბლების ძირში).

ასეთივე წვრილი ზოლი დაწებდება ვაგონების უკანა მხრიდან, მათი გადაბმის ადგილას.



გამზადებული მატარებლები დაწებდება ერთ დიდ ფორმატზე.

საბოლოოდ შესაძლოა ნამუშევარი ასე გამოიყურებოდეს:

ჯადოსნური სატრიალო

მიზანი:

საკუთარი ხელით სათამაშოს შექმნის უნარის განვითარება
შემოქმედებითი უნარების განვითარება

შედეგი:

ს.გ. 3.2 – 2
ს.გ. 3.5. – 7

ასათვისებელი ტერმინები:

მულტიპლიკაცია

მასალა:

აქტივობა 1:
სქელი სახატავი ფურცლის ნახევარი ან მუყაოს ნაჭერი
ფარგალი ან მრგვალი საგანი
სახაზავი
ფანქარი
ფლომასტერი
ხის წვეტიანი ჩხირი
მაკრატელი
სქელი ძაფი

გაკვეთილის მსვლელობა:

- რა არის ანიმაცია?

ლათინურად „ანიმა“ სულია, „ანიმარე“ კი გაცოცხლებას ნიშნავს. ამ სიტყვიდან წარმოიშვა სიტყვა ანიმაცია, რომელსაც დღეს ჩვენ ნახატ ფილმებს ვეძახით.

- ანიმაციის გარდა კიდევ რას ვეძახით ნახატ ფილმებს? – მულტფილმებს, ან მულტიპლიკაციას. ლათინურ ენაზე „მულტი“ ბევრს ნიშნავს, მულტიპლიკაცია კი გამრავლებას.
- როგორ ფიქრობთ, რა კავშირია ნახატ ფილმებს, გაცოცხლებას და გამრავლებას შორის?
- ნახატ ფილმებში, ნახატები ცოცხლებივით მოძრაობენ ამიტომ ვეძახით მათ ანიმაციას.
- იმისთვის, რომ ნახატები გაცოცხლდეს და პერსონაჟებმა იმოძრაონ, უამრავი ნახატი უნდა დაიხატოს – ყოველი ნახატი მოძრაობის ერთ პატარა მონაკვეთს ასახავს.

ანიმაციის ხელოვნება ბევრად უფროსია კინოზე, რომლის გამოგონებაც ანიმაციის დამსახურებაა.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ანიმაცია დაიბადა მაშინ, როდესაც მეცნიერებმა შეამჩნიეს ადამიანის მხედველობის ერთი საინტერესო თვისება – თურმე, ჩვენი მხედველობა, მეხსიერებაში ინახავს და ხედავს იმას, რაც უკვე გაქრა. ეს მოვლენა ძალიან ცოტა ხანს, შეიძლება წამის მეათედს გრძელდება, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ ერთმანეთის მიყოლებით, სწრაფად შეცვლილი სურათები ერთ

მთლიან, უწყვეტ ამბად დავინახოთ.

ჩვენი თვალების ამ თვისებაზეა დამყარებული ანიმაცია, კინო და ტელევიზია.

როდესაც ჩვენ მულტფილმს ან კინოს ვუყურებთ, ჩვენს თვალწინ, წამში 24 სურათი, იგივე კადრი გარბის, ჩვენი თვალები ვერ ასწრებენ ცალ-ცალკე სურათების და მათი მონაცვლეობის დანახვას და სურათებს ერთ მთლიან, გადაბმულ მოძრაობად აღვიქვამთ.

ტაუმატროპი არის პირველი ოპტიკური სათამაშო, რომლითაც იწყება ანიმაციის ისტორია. სიტყვა ტაუმატროპი შედგება ორი ბერძნული სიტყვისგან – ტაუმა – ჯადოსნობა, და ტროპი – ტრიალი.

- რას უნდა ნიშნავდეს ტაუმატროპი? – ჯადოსნურ სატრიალოს.

მანამ მოსწავლეები შეუდგებიან სათამაშოს გაკეთებას, მაწავლებელი მოუყვება მათ ტაუმატროპის გამოგონების ისტორიას.

აქტივობა 1:

მოსწავლეები სახატავ ფურცელზე შემოხაზავენ წრეს.

სახაზავით იპოვიან დიამეტრს და წრეწირისგან 5-6 მმ-ის დაშორებით, ერთმანეთის საპირისპიროდ, დიამეტრის აქეთ-იქით მონიშნავენ ორ-ორ წერტილს.

გამოჭრიან წრეს;

წვეტიანი ჩხირით გახვრეტენ მონიშნულ წერტილებს;

გამოჭრილი წრის ერთ მხარეს, ცენტრში დახატავენ პატარა ჩიტს, და გააფერადებენ მას.

გადმოატრიალებენ წრეს ვერტიკალურად, წრის მეორე მხრიდან დახატავენ ცარიელ გალიას. გალია იმხელა უნდა დაიხატოს, რომ ჩიტი მასში თავისუფლად ეტეოდეს.

გაუყრიან წერტილებში თანაბარი სიგრძის ძაფებს და გაუნასკვავენ მათ ბოლოებს.

მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ თუ წრეს ჰორიზონტალურად გადმოატრიალებენ, გალია უკუღმა უნდა დაიხატოს, რათა ტრიალის დროს, ჩიტი გალიაში უკუღმა არ „ჩაჯდეს“.



როდესაც სათამაშო მზად იქნება, მოსწავლეები თითებით დაატრიალებენ ძაფებს, მოსინჯავენ, თუ როგორ მოქმედებს ტაუმატროპი და იმსჯელებენ, თუ კიდევ რისი დახატვა შეიძლება მსგავსი სათამაშოს დასამზადებლად (ლომი -გალია, ყვავილი – ქოთანი, თევზი – აკვარიუმი. აყვავებული და შიშველი ხე, ღრუბელი და მზე...).

ანიმაცია

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ანიმაციის ტექნიკა
მარტივი ანიმაციის დახატვის უნარი

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1.

ასათვისებელი ტერმინები:

კადრი
ფაზა

მასალა:

A4 სახატავი ფურცლები
ფანქარი
საშლელი
მაკრატელი

ვიზუალური მასალა:

შოვეს გამოქვაბულის მარტორქა და ლომები

გაკვეთილის მსვლელობა:

- მხატვრობა ხელოვნების ერთ-ერთი დარგია. ამ დარგს ბევრი სხვადასხვა მიმართულება გააჩნია, რომლებსაც ჟანრებს ვუწოდებთ. მოდით, გავიხსენოთ და ჩამოვთვალოთ, მხატვრობის ძირითადი ჟანრები (პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ხელოვნების სხვა დარგები და ყურადღებას შეაჩერებს კინოზე.

კინოს, ისევე, როგორც მხატვრობას, რამდენიმე მიმართულება გააჩნია. ფილმები, რომლებიც როგორც მოთხრობა ლიტერატურაში, რაიმე მოგონილ ამბავს გვიყვებიან, მხატვრულ კინოს მიეკუთვნებიან. ფილმებს, რომლებიც ნამდვილ ამბავს, დასაბუთებულ ისტორიას გვაჩვენებენ, დოკუმენტურ კინოს მიეკუთვნებიან.

- რა ეწოდება კინოს სახეობას, სადაც გმირებიც და გარემოც გაცოცხლებული ნახატებია? (ნახატი ფილმები, ანუ ანიმაცია).

მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს, თუ რა იციან ანიმაციის შესახებ და სთხოვს გაიხსენონ, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ანიმარე“, მხედველობის რა თვისებას ემყარება ანიმაციის პრინციპი.

მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს, თუ რომელი ნახატი ფილმები იციან, რომელია მათ შორის ყველაზე კარგი, ნახატი ფილმების რომელი გმირი მოსწონთ და რატომ.

მასწავლებელი იკითხავს, თუ რას უნდა ნიშნავდეს სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაცია ჩიტის გამოსახულებით.



მასწავლებელი მოისმენს მოსწავლეების მოსაზრებებს და იტყვის:

ამ სურათზე ნაჩვენებია ფრენის დროს, ჩიტის მოძრაობის ყველა ფაზა, ანუ მოძრაობის თანმიმდევრობა. კინოში ამ ფაზებს კადრები ეწოდება. იმისთვის, რომ ნახატი „გაცოცხლდეს“, ასეთი კადრები იხატება. ყოველი ნახატი ფილმის ერთ წამში, 24 კადრია. წარმოიდგინეთ, რამდენი ნახატია დასახატი თუნდაც ერთწუთიანი ფილმის გასაკეთებლად! (24X60=1440 ნახატი)

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს შოვეს გამოქვაბულის მხატვრობის ნიმუშებს:

- დააკვირდით შოვეს გამოქვაბულში დახატულ მარტორქას და ლომებს. რატომ აქვს ამ მარტორქას ბევრი რქა? რას გაგონებთ მიჯრით დახატული ლომის თავები?

ანიმაცია არის ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა უსულო, უმოძრაო ნახატებით, მოძრაობის შთაბეჭდილება შევქმნათ.

იმისთვის, რომ ნახატები ამოძრავდნენ, ისინი გარკვეული წესით უნდა დაიხატოს – ყველაზე მარტივი ანიმაცია ორი ნახატით კეთდება.

აქტივობა:

მოსწავლეები სახატავ ფურცლებს სიგანეზე დაჭრიან 6 ვიწრო ზოლად და ყოველ ზოლს გადაკეცავენ შუაზე.

1. გადაკეცილი ფურცლის ერთ ნახევარზე, კიდესთან დახატავენ გაღიმებულ სახეს; მეორე ნახევარზე, ისე, რომ სახეების მდებარეობა დაემთხვეს, დახატავენ მოწყენილ სახეს.
2. გადაკეცილი ფურცლის ზედა ნახევარს მჭიდროდ, (შიგნიდან გარეთ) დაახვევენ ფანქარზე და სწრაფი მოძრაობით აამოძრავებენ ფანქარზე დახვეულ ფურცლის ზოლს.

ასეთივე ხერხით მოსწავლეები დახატავენ კაცუნას, რომელიც ზოლის ერთ ნახევარზე ხელებს მაღლა წევს, მეორეზე კი დაბლა.

მოსწავლეები გასინჯავენ თავიანთ და მეგობრების ნამუშევრებს, შეხედავენ, გაცოცხლდა, ამოძრავდა თუ არა მათი ნახატები, მოიფიქრებენ, და გაუზიარებენ ერთმანეთს, კიდევ რისი დახატვა შეილება და დანარჩენ ფურცლებზე დახატავენ დამოუკიდებლად მოფიქრებულ ორნახატიან სიუჟეტებს.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები დამოუკიდებლად დახატავენ და გააფერადებენ ორფაზიან ანიმაციას.

V თემა: პროექტი

არქიტექტურა

ეს ხანგრძლივი პროექტი შედგება 8 გაკვეთილისგან: 1. დარგის შესავალი; 2. ვირტუალური ტური (მსოფლიოს ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება და კლასელების წინაშე წარდგენა); 3. შემეცნებითი ექსკურსია არქიტექტურის შესასწავლად; 4. ფანტაზიით პლასტილინის შენობის ძერწვა; 5. ფანტაზიით კომპიუტერული გრაფიკული დიზაინის პროგრამაში შენობის ხატ-ვა; 6. მოწვეულ არქიტექტორთან საუბარი; 7. არქიტექტურული სახელოსნო – ჯგუფებში მუყაოს არქიტექტურული მოდელების შექმნა; 8. ნამუშევრების წარდგენა. მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს აქტივობების თანმიმდევრობა.

მიზანი:

არქიტექტურის დარგთან გაცნობა;

ნაგებობის სივრცობრივი, სამგანზომილებიანი ფორმებისა და მათი შემამკობელი დეკორატიული ელემენტების აღქმისა და სამგანზომილებიანი მოდელირების უნარების განვითარება.

გაკვეთილი I:

შესავალი არქიტექტურის დარგში

შედეგი:

ს.გ. III.5. – 1, 3, 4, 5.

მასალა:

კომპიუტერი, სკოლის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი წიგნები არქიტექტურაზე.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ელექტრონული რესურსიდან აჩვენებს მოსწავლეებს ილუსტრაციებს და თან ეუბნება, რა შენობაა და სად მდებარეობს (წარწერები ახლავს). შემდეგ ეუბნება:

- თქვენ ნახეთ ტაძარი, თეატრი, სამარხი, სასახლე, ციხე-სიმაგრე, აკვედუკი (წყლის არხი) და სტადიონი. მათ ყველას სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. როგორ ფიქრობთ, რა აქვთ მათ საერთო? მიხვდით, რაზე იქნება ჩვენი დღევანდელი გაკვეთილი? ყველა ისინი ადამიანის მიერაა აგებული. ხომ არ გახსოვთ, რა ეწოდება ხელოვნების ამ დარგს? დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ხელოვნების დარგზე – არქიტექტურაზე. რა იცით არქიტექტურის შესახებ?

მასწავლებელი დაფის ცენტრში დახაზავს წრეს და შიგ ჩაწერს სიტყვას „არქიტექტურა“ (ასოცია-ციური ბადე). მოსწავლეების მიერ ნათქვამი ამ წრის გარშემო, სამი დამატებითი წრის ქვეშ დაიწერება. დაახლოებით ასე (ჩამონათვალი შეიძლება უფრო მოკლე ან ვრცელი იყოს:



როდესაც მოსწავლეები სათქმელს ამოწურავენ, მასწავლებელი სთავაზობს:

- ჩაიწერეთ თქვენს სახატავ რვეულებში ეს სქემა. პროექტზე მუშაობის განმავლობაში ამ სქემას დაუმატეთ ის, რასაც ახალს ისწავლით. შემდეგ გვერდზე ჩამოწერეთ, კიდევ რისი ცოდნა გსურთ არქიტექტურაზე. თანდათანობით ამ კითხვებზე პასუხებს მოიძიებთ და თემის გავლის დასასრულს დარწმუნდებით, რამდენი რამ შეიტყვეთ და ახალ გაჩენილ კითხვებსაც ჩაწერთ.
- მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში შესაბამის ტექსტს, ან მასწავლებელი თავად უამბობს ტექსტის შინაარსს. შემდეგ სვამს კითხვას:
- რა დანიშნულებისაა ეს ნაგებობები? რა მასალითაა აგებული?
- რომელი არქიტექტურული ნაგებობები იცით? (შესაძლოა, რომელიმე მოსწავლემ ქანდაკებაც ახსენოს. მასწავლებელი შეახსენებს, რა არის ქანდაკება და რა არის არქიტექტურა)

დასასრულს, მასწავლებელი სთავაზობს, მოაწყონ ვირტუალური ტური ანუ წარმოსახვითი ექსკურსია მსოფლიოს ცნობილ არქიტექტურულ ნაგებობის სანახავად. აძლევს დავალებას, მოიძიონ ინფორმაცია რომელიმე არქიტექტურულ ნაგებობაზე, დახატონ ის და შემდეგ გაკვეთილზე წარუდგინონ კლასელებს (2 წთ-იანი პრეზენტაცია). მასწავლებელი უმახვილებს ყურადღებას მოსწავლეებს იმაზე, რომ მოძიებულ ინფორმაციას აუცილებლად უნდა ახლდეს მითითებული წყარო – საიდან არის აღებული (ინტერნეტის ბმული, წიგნის სათაური, ავტორი, გამომცემლობა და წელი. ინფორმაციის ქურდობა ისეთივე ქურდობაა, როგორც აქლემისა და ნემსისა.

გთავაზობთ სავარაუდო თემებს:

1. სტოუნჰენჯი
2. ეგვიპტის პირამიდები
3. იშტარის კარიბჭე
4. ათენის პართენონი
5. რომის პანთეონი
6. რომის კოლიზეუმი
7. კონსტანტინოპოლის აია-სოფიაა ტაძარი
8. ისფაჰანის იმამის მეჩეთი
9. ტაჯ-მაჰალი აგრაში
10. პარიზის ნოტრ-დამი
11. მილანის დუომო
12. პიზის კოშკი
13. ფლორენციის სანტა-მარია-დელ-ფიორეს ტაძარი
14. ვერსალის სასახლე
15. იაპონური პაგოდა
16. ეიფელის კოშკი
17. სიდნეის ოპერა
18. დუბაის ცათამბჯენი
19. გაუდის გუელის პარკი

20. ჰუნდერტვასერის საცხოვრებელი არქიტექტურა
21. ლე კორბუზიეს რონშანის ნოტრ-დამის კაპელა
22. ფრენკ ლოიდ რაიტის გუგენჰეიმის მუზეუმი
23. პარიზის პომპიდუს ცენტრი
24. ქართული ციხე-სიმაგრე
25. ქართული ტაძარი
26. მეგრული ოდა
27. კანადური შალე
28. ფრანგული შატო
29. ინდიელების ვიგვამი და ტიპი
30. გრენლანდიური იგლუ
31. აზიური იურტა

აქტივობა:

გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეები მსჯელობენ არქიტექტურის დარგის შესახებ, ნანახი და ადრე ცნობილი არქიტექტურული ძეგლების, მათი დანიშნულების, მასალისა და ადგილმდებარეობის შესახებ. მათ ეძლევათ დავალება, მოიძიონ ინფორმაცია მსოფლიოში განთქმული რომელიმე ნაგებობის შესახებ, გაუგზავნონ მასწავლებელს ელექტრონულად, დახატონ იგი, და შემდეგ გაკვეთილზე უამბონ თანაკლასელებს (2 წთ-იანი პრეზენტაცია) მათ მიერვე შესრულებული ნახატის ჩვენებით.

გაკვეთილი II:

ვირტუალური ტური (მსოფლიოს ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება და კლასელების წინაშე წარდგენა)

შედეგი:

ს.გ. III.3. – 3.
ს.გ.III.4. – 1, 2, 4, 6.
ს.გ. III.5. – 3, 5.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს მიმდინარე განმავითარებელი შეფასება კრიტერიუმებით – კვლევის უნარი, წარდგენის უნარი (კომენტარებით).

მოსწავლეების მიერ ნამუშევრების წარდგენის შემდეგ მასწავლებელი ესაუბრება მომდევნო გაკვეთილზე ექსკურსიის შესახებ და წინასწარ აცნობს ექსკურსიაზე ქცევის წესებს. სასურველია, მოსწავლეებმა თავადვე განსაზღვრონ ეს წესები. გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელი დაბეჭდავს მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათებს, რომ ექსკურსიაზე დაურიგოს ისინი.

აქტივობა:

მოსწავლეები წარუდგენენ კლასელებს მოძიებულ ინფორმაციას. ილუსტრაცია მოსწავლის მიერ უნდა იყოს დახატული. შემდეგ – ადგენენ ექსკურსიაზე ქცევის წესებს.

გაკვეთილი III:

შემეცნებითი ექსკურსია არქიტექტურის შესასწავლად

შედეგი:

ს.გ.III.1. – 2, 6, 7, 8, 9.
ს.გ. III.5. – 5.

მასალა:

შესავსები ფორმები და თვითშეფასების ფორმები იხილეთ დანართში

გაკვეთილის მსვლელობა:

ექსკურსიამდე მასწავლებელი ურიგებს თვითშეფასებისა და სამუშაო ფორმებს. ექსკურსიის ჩატარების ადგილი მასწავლებელს თავად შეუძლია განსაზღვროს. თბილისში ეს შეიძლება იყოს: ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, თბილისის ისტორიის მუზეუმი ქარვასლა, ძველი თბილისი (აბანოთუბანი, მეჩეთი, სინაგოგა, მართლმადიდებლური, სომხური გრეგორიანული, კათოლიკური ტაძრები და სინაგოგა); ნარიყალას ციხე-სიმაგრე, რევაზ გაბრიაძის თეატრი და მისი საათის კოშკი; რეგიონებში – რომელიმე ახლომდებარე ტაძარი ან ციხე-სიმაგრე. არ არის აუცილებელი, ეს იყოს კათედრალური ტაძარი. კვეტერას ტიპის მომცრო ეკლესიაც კი, მოსწავლეებს არქიტექტურული ფორმების, ფაქტურისა და ფერის მშვენიერების შეგრძნებას გაუღვივებს. ისინი ხელით უნდა შეეხონ ნაგებობას, ცოტა ხნით ჩუმად ისხდნენ და ცქერით დატკბნენ. საქართველოში სადაც არ უნდა იყოთ, არქიტექტურული შედევრის სანახავად შორს წასვლა არ დაგჭირდებათ.

აქტივობა:

ექსკურსიამძღოლის მოსმენის შემდეგ მოსწავლეები მოხერხებულად მოკალათდებიან და გაა-კეთებენ ჩანახატებს და ჩანაწერებს. დასასრულს, ავსებენ თვითშეფასების ფორმას.

გაკვეთილი IV:

ფანტაზიით პლასტილინის შენობის ძერწვა

შედეგი:

ს.გ.III.1. – 1, 6, 8.
ს.გ. III.2. – 2, 3, 4.

მასალა:

ფერადი პლასტილინები, საძერწი დაფა, პლასტმასის დანა.

აქტივობა:

მოსწავლეები ფანტაზიით ძერწავენ პლასტილინის შენობებს.

გაკვეთილი V:

ფანტაზიით კომპიუტერული გრაფიკული დიზაინის პროგრამაში შენობის ხატვა

შედეგი:

მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ს.გ.III.1. – 1.

ს.გ.III.2. – 5.

ს.გ.III.3. – 3.

ვიზუალური მასალა:

ბლოგპოსტი არქიტექტურისა და დიზაინის შესახებ (ელ. რესურსებში)

აქტივობა:

მოსწავლეები კომპიუტერში, გრაფიკული დიზაინის პროგრამაში ხატავენ ფანტასტიკურ შენობებს.

გაკვეთილი VI:

მოწვეულ არქიტექტორთან საუბარი

ეს გაკვეთილი მხოლოდ მასწავლებლის წიგნში უნდა იყოს. ს.ქ.)

შედეგი:

კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.III.3. – 1, 5.

ს.გ.III.4. – 2, 4.

ს.გ.III.5. – 3, 4, 5, 8, 9.

გაკვეთილის მსვლელობა:

თუ არქიტექტორი ვერა, მშენებელი შეგიძლიათ მოიწვიოთ. მასწავლებელი წინასწარ აუხსნის სტუმარს, რომ საუბარი შეეხება იდეის ჩანახატიდან სასრულ შენობამდე პროცესს, მის სტადიებს, სამუშაოს სპეციფიკას, მასალებს, უსაფრთხოებას, მშენებლობაში დაკავებულ სხვადასხვა პროფესიებს, შენობის ფუნქციას, მასალას, გამძლეობასა და ესთეტურ მხარეს. მოსწავლეებმა წინასწარ შედგენილი კითხვებიც უნდა დასვან და იქვე გაჩენილიც. დასასრულს, შეუძლიათ აჩვენონ საკუთარი ნამუშევრები.

აქტივობა:

მოსწავლეები ესაუბრებიან არქიტექტორს, უსვამენ მათ კითხვებს, აჩვენებენ საკუთარ ნამუშევრებს.

გაკვეთილი VII:

არქიტექტურული სახელოსნო – საკუთარი ფანტაზიით ჯგუფებში მუყაოს სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელების შექმნა (სავარაუდოდ, ამ აქტივობას 2-3 გაკვეთილი დასჭირდება)

შედეგი:

ს.გ.III.1. – 1, 3, 6, 8.
ს.გ.III.2. – 2. 4.
ს.გ.III.3. – 1, 2, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

არქიტექტურული პროექტი, გეგმა, მასშტაბი, მოდელი, ფასადი, ვერანდა.

მასალა:

მუყაო, ქაღალდი, კოლოფები, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო, სტეპლერი, სკოჩი.

გაკვეთილის მსვლელობა:

პროექტი მოიცავს გეგმას, ნახატს და მოდელს;			
გათვალისწინებულია დამკვეთის ყველა მოთხოვნა;			
შესახედად აკურატულია და სასიამოვნო;			
ნახატშიცა და მოდელშიც გათვალისწინებულია მასალის ფერისა და ფაქტურის იმიტაცია			
წარდგენა მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას.			



კლასში მოსწავლეების რაოდენობიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია დაამატოს საკუთარი ფანტაზიით შედგენილი „დაკვეთა“. მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს – როგორც ნამუშევრის, ასევე ჯგუფური მუშაობის უნარების სტანდარტულ კრიტერიუმებს. ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება დაზუსტდეს დავალებასთან შესაბამისობაში – ვთქვათ.

შემდეგ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს დაჯგუფებაში, ჯგუფებს შორის ანაწილებს „დაკვეთებს“, ურიგებს მასალებს და ეხმარება პროექტის მომზადებაში (უსაფრთხოების წესების

დაცვაში – შესაძლებელია, მასწავლებელმა ცალკეული დეტალები ცხელი წებოს პისტოლეტით დაუწებოს (მოსწავლეები მას არ უნდა გაეკარონ, რომ არ დაიწვან).

ჯგუფის წევრები ერთ მაგიდასთან დასხდებიან და იდეებს ჩამოწერენ ერთ ფურცელზე. შემდეგ ამოარჩევენ საუკეთესო ვარიანტს და შეუდგებიან მუშაობას.

აქტივობა:

მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ პროექტებზე – არქიტექტურული ნაგებობის მუყაოს, სამგანზომილებიანი მოდელის შექმნაზე. დასასრულს, წარდგენისთვის, ჯგუფი ადგენს წერილს დამკვეთისადმი, რომელშიც ხსნის, როგორ გაითვალისწინეს მათი სურვილები, რა მასალისგან უნდა აშენდეს შენობა და რით არის ის გამორჩეული.

გაკვეთილი VIII:

ნამუშევრების წარდგენა

შედეგი:

ს.გ.III.4. – 1, 2, 3, 4, 5, 6.

მასალა:

მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატები, ნახაზები, სამგანზომილებიანი მოდელი და წერილი დამკვეთისადმი.

გაკვეთილის მსვლელობა:

ეს გაკვეთილი შემაჯამებელი შეფასების საგანია. მასწავლებელი წინასწარ, მუშაობის დაწყებამდე აცნობს მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. შეფასება წარმოებს ღიმილებით – მხიარული, ნეიტრალური და მოწყენილი (იხ. წინა გაკვეთილი).

აქტივობა:

მოსწავლეები წარადგენენ პროექტს კლასელების და მასწავლებლის წინაშე – კითხულობენ დამკვეთისადმი დაწერილ წერილს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა არის არქიტექტურა?
- რა და რა ტიპის არქიტექტურული ნაგებობები იცით? (ფუნქციები)
- რა უნდა გაითვალისწინოს არქიტექტორმა ნაგებობის დაპროექტებამდე?
- საინტერესო იყო პროექტზე მუშაობა? რა იყო ყველაზე სახალისო? ყველაზე რთული?
- როგორ დაძლიეთ პრობლემები?
- რა წვლილი შეიტანეთ საერთო საქმეში?

- როგორ შეარჩიეთ მასალა თქვენი ნაგებობისთვის?
- დამკვეთის ყველა მოთხოვნა გაითვალისწინეთ?
- მსოფლიოს ცნობილი არქიტექტურული ძეგლებიდან რომელი მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?
- რა დარგების ცოდნა და უნარებია საჭირო არქიტექტორისთვის?
- რა არის მომხიბვლელი ამ პროფესიაში?
- მომავალში ისურვებდით არქიტექტორობას?

VI თემა: დღესასწაულები

შობა

მიზანი:

რელიგიურ ჟანრთან გაცნობა;

შერეული ტექნიკით მუშაობის უნარი;

ნამუშევარში მთავარის გამოყოფის მხატვრული ხერხების ამოცნობისა და საკუთარ ნამუშევარში მთავარის გამოყოფის უნარის განვითარება;

დღესასწაულზე ხელოვნების ნამუშევრით რეაგირების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 1, 3, 7, 8.

ს.გ.III.2. – 1.

ს.გ.III.5. – 2, 3, 9, 10.

მასალა:

სახატავი ფურცელი, ფანქარი, აკვარელის საღებავები, ფუნჯი, წყალი, შავი და ყვითელი ფერის ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო, წინსაფარი, სამკლავურები.

ვიზუალური მასალა:

ფრა ბეატო ანჯელიკო, „ქრისტეს თაყვანისცემა“

დუჩო დი ბუონისენია, „შობა“

ბარტოლომე ესტებან მურილიო, „შობა“

ლევან მარგიანი, „შობა“

მოსწავლის ნამუშევრის ნიმუში:

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოს ტექსტს, ათვალიერებენ ილუსტრაციებს და გამოთქვამენ აზრს, რით არის მინიშნებული, რომ ახალშობილი ქრისტე აქ მთავარი ფიგურაა? რითი იპყრობს ის ჩვენს ყურადღებას?

- იტალიელი მხატვრის, ფრა ბეატო ანჯელიკოს ნამუშევარში ის ცენტრშია, სხვებისგან გამოყოფილი. დანარჩენები მის გარშემო არიან განლაგებულნი და მას დასცქერიან.
- ასევეა იტალიელი დუჩო დი ბუონისენიას კომპოზიციაში. ქრისტე აქაც ცენტრშია, შავ ფონზე, თეთრ სახვევებში. ეს კონტრასტი უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს მის ფიგურას. აქაც, ყველა მისკენაა მიბრუნებული.
- ესპანელ ბარტოლომე ესტებან მურილიოს ფერწერული ტილო ღამის წყვდიადშია ჩაფლული. ქრისტეს ფიგურა თეთრ საფენზე ყველაზე განათებული, კონტრასტული ლაქაა. მარიამი, იოსები და ანგელოზები თითქოს მისგან მოფენილი კაშკაშა შუქით ნათდებიან.
- თანამედროვე ქართველი მხატვრის ლევან მარგიანის კომპოზიციაში მწოლიარე ღვთისმშობელი ლეიბის ხასხასა წითელი ფერითაა აქცენტირებული. ჩვილის პაწაწინა სხეული ამ ალისფერ ლაქაზე მარგალიტის მძივივით მოჩანს. მის თავზე ზეციდან გადმოსული ნათელი სვეტი სული წმინდას აღმნიშვნელია.
- შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხატვრები მთავარ გამოსახულებას მეორეხარისხოვანისგან გამოყოფენ (მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს):

• ცენტრალური მდებარეობით
• ფერით
• განათებით

- კიდევ რა ხერხით შეიძლება გამოვარჩიოთ მთავარი მეორეხარისხოვანისაგან?

მასწავლებელი დაფაზე ხატავს მარტივ კომპოზიციას:



- რა იქცევს აქ ყველაზე მეტად თქვენს ყურადღებას? რა არის გამორჩეული? – კვარდატი.
- რით განსხვავდება ის დანარჩენებისგან? – ფორმითა და ზომით.

მასწავლებელი მიაწერს ამ სიტყვებს (**ფორმა და ზომა**) უკვე ჩამოწერილ ხერხებს.

- თქვენ მიერ ნანახ ილუსტრაციებში რატომ არ გამოყვეს მხატვრებმა ახალშობილის გამოსახულება ზომით? – იმიტომ, რომ ის ჩვილია და ჯერ პაწაწინაა.
- როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ მიაკუთვნოთ ეს ნამუშევრები თქვენთვის ნაცნობ რომელიმე ჟანრს? ჩამოთვალეთ, რა ჟანრები იცით?
- ეს ნამუშევრები რელიგიურ თემას ეხება. მათზე ქრისტეს შობაა ასახული. ამ ჟანრს რელიგიური ჟანრი ეწოდება.

რადგან ამ ჟანრის ცოდნა მესამეკლასელთათვის სავალდებულო არ არის, მასწავლებელი ეტყვის, მაგრამ არ ცდილობს, გაუმახვილოს ამაზე ყურადღება. ეს ერთგვარი „ჩაწვეთება“ იქნება შემდგომ საფეხურებზე ცნების გასაცნობად.

- ახლა თქვენც შექმნით ნამუშევარს ქრისტეს შობის თემაზე. ნამუშევარში მთავარის გამოყოფის რომელიმე ან რამდენიმე ხერხს გამოიყენებთ. თანაც, შერეულ ტექნიკასაც გაეცნობით. რას ნიშნავს შერეული ტექნიკა? – როდესაც სხვადასხვა მასალის შერევით ქმნი ნამუშევარს, ეს შერეული ტექნიკაა. დღეს გუაშით დავხატავთ და აპლიკაციის ტექნიკას გამოვიყენებთ.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- სახატავი ფურცლის შუაში დადეთ რაიმე მოზრდილი მრგვალძირიანი საგანი (ჭიქა, ქილა..) და უბრალო ფანქრით მკრთალად შემოავლეთ ხაზი.
- ლურჯი ფერის აკვარელში დაასველეთ ფუნჯი და შემოატარეთ წრეს გარშემო.
- ლურჯი წრის ამ ფენას გარშემო შემოავლეთ კიდევ ერთი წრე ლურჯი აკვარელით. ამავე წრეზე მეორედ გადაატარეთ საღებავიანი ფუნჯი, რომ შემდეგი წრე უფრო მუქი გამოვიდეს.
- შემდეგი, გარეთა წრე უკვე სამ ფენა აკვარელს მოითხოვს, რომ კიდევ უფრო მუქი იყოს.
- ასე განაგრძეთ, სანამ კიდეებისკენ ლურჯი ძალიან არ გამუქდება. განაპირა წრეებზე მეტი საღებავი იხმარეთ და რაც შეიძლება, ნაკლები წყალი. ამისთვის ფუნჯი დაწურეთ ხელსაწმენდზე ან ჭიქის კიდეზე ჩამოსმით და ისე ჩააწეთ საღებავში.
- თეთრი წრის ქვეშ, აკვარელის საღებავის რომელიმე მუქი ფერით (იისფერი, იისფერის და ლურჯის ნაზავი ან შავი) დახატეთ ნიადაგი ანუ მიწა. ფონი მზადაა.
- სანამ ფონი გაშრება, ყვითელი ფერის ქაღალდზე უბრალო ფანქრით დახატეთ მოზრდილი ვარსკვლავი და გამოჭერით.
- შავი ფერის ქაღალდისგან გამოჭერით თითის სისქის ორი მოგრძო და ორი მოკლე ზოლი.
- შავი ფურცლის ნარჩენზე უბრალო ფანქრით დახატეთ აკვნის, ქალისა და მამაკაცის ფიგურების კონტურები. უბრალო ფანქრით გასმული ხაზი შავ ფურცელზე იპრიალებს და საკმარისად გამოჩნდება, რომ გამოჭრათ ისინი.
- გამოჭერით დახატული სილუეტები. სილუეტი არის საგნის ფორმის მქონე მთლიანი გამოსახულება. ის ჩრდილს ან ლაქას ჰგავს.
- თქვენი ნამუშევარი უკვე მშრალი იქნება. ნიადაგის ზოლზე ვერტიკალურად დადეთ მოკლე შავი ზოლები. ზედ სახურავივით, დამრეცად დადეთ გრძელი შავი ზოლები. ეს თავშესაფრის სიმეტრიული გამოსახულებაა.
- ამ გადახურულ თავშესაფარში ასევე სიმეტრიულად, ჩასვით ქალისა და მამაკაცის სილუეტები. მათ შორის, სიმეტრიის ღერძზე, მოათავსეთ აკვანი.
- თავშესაფრის სახურავის ზედა კუთხეზე დააწებეთ ყვითელი ვარსკვლავი.
- დააკვირდით ნამუშევარს და თქვით, რა და რა მხატვრული ხერხებითაა ხაზგასმული ჩვილი ქრისტეს გამოსახულების მნიშვნელობა თქვენს ნამუშევარში? (განათებით, მდებარეობით).

აქტივობა:

შერეული ტექნიკით მოსწავლეები ქმნიან ნამუშევარს ქრისტეს შობის თემაზე, რომელშიც მთავარის გამოყოფის რომელიმე ან რამდენიმე ხერხს გამოიყენებენ.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა ხერხებით არის გამოყოფილი მთავარი თქვენს ნამუშევარში?

- კიდევ რა ხერხებით შეიძლება მთავარის გამოყოფა?
- გიმუშავიათ ადრე შერეული ტექნიკით?
- რა გამოგივიდათ ყველაზე კარგად თქვენს ნამუშევარში?
- რა არ გამოგივიდათ კარგად?
- როგორ შეძლებდით ამის გამოსწორებას, ახლა რომ ხატავდეთ?

ნაძვის ხე

მიზანი:

ხელოვნების მეშვეობით დღესასწაულზე რეაგირების უნარის განვითარება; კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება;

დეკორატიული ხელოვნების საფუძვლებთან გაცნობა;

საკუთარი ხელით მოსართავის დამზადების უნარის შეძენა.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 1, 2, 6, 8.

ს.გ. III.2. – 4.

ს.გ. III.3. – 1, 2.

ასათვისებელი ტერმინები:

კელტები

მასალა:

ერთი დიდი ფორმატის ქაღალდი, ფერადი ქაღალდები, წებო, მაკრატელი

ვიზუალური მასალა:

მოსწავლეების ერთობლივი ნამუშევარი

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, შემდეგ მასწავლებელი ეკითხება:

- რა ფორმა აქვს ნაძვს? (კონუსის)
- ახლა ვეცდებით, ჩვენი ნაძვი არ იყოს ბრტყელი. მისი ტოტები ზედაპირიდან რელიეფურად ამოშვერილი უნდა იყოს. ამას 3-განზომილებიანი გამოსახულება ჰქვია, რადგან სიგრძე-სიმაღლის გარდა, სიგანეც აქვს.

მოსწავლეები ეცნობიან ინსტრუქციას და შეუდგებიან კლასის საერთო ნამუშევრის შექმნას, რომელიც შეიძლება საკლასო ოთახის კედელზე ან კარზე გამოფინონ. ეს ნამუშევარი ყველა მნახველს საახალწლო განწყობას შეუქმნის.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- დიდი ფორმატის ქაღალდისგან გამოჭერით სამკუთხედი.
- შეარჩიეთ ფერები თქვენი ნაძვის ხისთვის. ვთქვათ, ტრადიციული მწვანე და წითელი. ეს ხომ კონტრასტულ ფერთა ერთ-ერთი წყვილია და ისინი ძალიან უხდებიან ერთმანეთს. სხვა ფერების გამოყენებაც შეგიძლიათ.
- აიღეთ ამ ფერები ქაღალდები და მაკრატლით გამოჭერით ფართო ზოლები. თუ ა4 ფორმატის

ქაღალდებს იყენებთ, თითო გრძივი ზოლიდან ორი „ტოტი“ გამოვა. ასე რომ, გრძივი ზოლები შუაში გაჭერით.

- ზოლი ფრთხილად გაატარეთ ფანქარსა და თითს შორის (ან მაკრატლის ბლაგვ მხარესა და თითს შორის). ის კულულივით დაიხვევა.
- წაუსვით წებო ზოლის ერთ ბოლოს და დააწებეთ დიდი ფორმატიდან გამოჭრილ სამკუთხედს, სანამ სამკუთხედი ასეთი „ტოტებით“ არ შეივსება.
- კენწერო შეგიძლიათ განსხვავებულად მორთოთ, ვთქვათ, ბაფთით.
- ახლა თქვენი ნაძვის ხე მზადაა და ბუნებაც არ დაზარალდა. გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

აქტივობა:

მოსწავლეები ქმნიან კლასის საერთო დეკორატიულ ნაძვის ხეს.

ფაქტურა

მიზანი:

სახვითი ხელოვნების ელემენტთან, ფაქტურასთან გაცნობა ნამუშევარში განსხვავებული ფაქტურების გამოყენებისა და არატრადიციული მასალებით მუშაობის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.III.1. – 1, 2, 7.
ს.გ.III.2. – 1, 4.
ს.გ.III.4. – 1, 3, 4, 6.

ასათვისებელი ტერმინები:

ფაქტურა

მასალა:

ძველი ვინილის ფირფიტა ან მუყაოს ნაჭერი, ფერადი პლასტილინი, პლასტილინის დანა ან კბილის საწმენდი ხის ჩხირი, ჩანგალი, სავარცხელი.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთავაზობს რომელიმე მოსწავლეს, აიხვიოს თვალები რაიმე ქსოვილით (თავსაფარი, შარფი) და წინ უდებს სხვადასხვა მასალის საგნებს (ხე, ქვა, ქსოვილი, ქაღალდი, თიხა, მაქმანი, ბეწვი და სხვ). სთხოვს, გამოიცნოს, რას ეხება.

შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. მასწავლებელი სთხოვს, მოიფიქრონ, რა იარაღი გამოდგება ნამუშევრებზე ფაქტურული ეფექტის მისაღებად (ჩანგალი, სავარცხელი, ხის ჩხირი...).

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ინსტრუქციას და ისინი იწყებენ მუშაობას.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- წინასწარ მოიფიქრეთ და წარმოიდგინეთ, რას ხატავთ.
- მყარ ზედაპირზე თქვენს მიერ მოფიქრებული კომპოზიციის მიხედვით, დადეთ შესაბამის ადგილზე შესაბამისი ფერის პლასტილინის მომცრო ნაჭრები და თითის დაჭერით, ნელი მოძრაობით გაგლისეთ ისინი ზედაპირზე;
- როდესაც გამოსახულებები ფორმას შეიძენს, შეგიძლიათ ზემოდან დაამუშაოთ ისინი ნაკაწრებით (კბილის საწმენდი ხის ჩხირებით, სავარცხლით, ჩანგლით, წვეტიანი საგნით, კალმისტრის ცარიელი ბუდით ან პლასტილინის ბურთულებით).
- წარუდგინეთ კლასს თქვენი ნამუშევარი.

აქტივობა:

მოსწავლეები ქმნიან პლასტილინის კომპოზიციებს და ცალკეულ მონაკვეთს ანიჭებენ სხვადასხვა ფაქტურას.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა არის ფაქტურა?
- როგორი ფაქტურები არსებობს?
- როგორ ფაქტურულ ეფექტს მიაღწიეთ ზედაპირის დამუშავებით?
- რა იარაღი გამოიყენეთ?
- ეს სწორედ ის ეფექტია, რისი მიღებაც გსურდათ თუ განსხვავებული?
- კიდევ რა საგნების გამოყენება შეიძლებოდა ფაქტურის მისანიჭებლად?
- რაიმეს ხომ არ შეცვლიდით თქვენს ნამუშევარში?
- რა გაგიძნელდათ?
- კარგად რა გამოგივიდათ?
- ყველაზე მეტად ვისი ნამუშევარი მოგწონთ და რატომ?
- რაიმე რჩევას ხომ არ მისცემდით თქვენს მეგობარს მის ნამუშევართან დაკავშირებით?

ქალთა დღე

მიზანი:

ნატიფი მოტორიკის განვითარება;
საკუთარი ხელით სუვენირის დამზადების უნარი;
სიმეტრიული ნამუშევრის შექმნის უნარი.

შედეგი:

ს.გ. III.1. – 6, 8, 9.
ს.გ. III.2. – 2, 3.
ს.გ. III.5. – 1, 3, 4.

ასათვისებელი ტერმინები:

სუვენირი, კულონი, იუველირი

მასალა:

თიხა, თხელი მუყაო ან სქელი ქაღალდი, საძერწი დაფა, საძერწი დანა, მავთულის პატარა ნაჭერი, წინსაფარი, სამკლავურები.

გაკვეთილის მსვლელობა:

სასურველია, ეს გაკვეთილი მარტის პირველ რიცხვებში – ქალთა ან დედის დღის წინ ჩატარდეს. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს იმ ამაგსა და მზრუნველობას, რასაც ახლობელი ქალბატონები მათ მიმართ ყოველდღიურად იჩენენ. ჩვენ ყოველ დღე და ყოველ ჯერზე მათ მადლობას არ ვუხდით, მაგრამ ქალთა დღეს საკუთარი ხელით დამზადებული საჩუქრით შეგვიძლია გამოვხატოთ სიყვარული და მადლიერება.

- სამკაულის გასაკეთებლად, მასალად, დაგვჭირდება თიხა. მაგრამ გარდა ამისა, დაგვჭირდება სიმეტრიული ფორმის შექმნის უნარი. რა არის სიმეტრია? – სიმეტრია არის შუაგულის ანუ ღერძის მიმართ გამოსახულების თანაბრად განაწილება.
- გაიხსენეთ, რა არის ბუნებაში სიმეტრიული? – პეპელა, ჭიამაია, გული, ადამიანი...

მასწავლებელი დაფაზე დახატავს სიმეტრიულ საგნებს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფასთან გამოვიდნენ და გაავლონ სიმეტრიის ხაზები, რომ ნათლად დაინახონ სიმეტრიის ღერძის მიმართ გამოსახულების თანაბარზომიერება.

- გულიც სიმეტრიული ფორმისაა.
- ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება სამკაული? – დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგს, რადგან სამკაულს ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ, ატარებენ. თუ ეს სამკაული ერთადერთია და ხელოვანის მიერაა შექმნილი, ის უკვე ხელოვნების ნიმუშია.
- დღეს თქვენ საკუთარი ხელით დაამზადებთ რელიეფურ კულონს – სუვენირს, რომელსაც ახლობელ ქალბატონებს მიართმევთ. გახსოვთ, რა არის რელიეფი? – რელიეფი არის ზედაპირიდან ამობურცული, მოცულობითი გამოსახულება.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- თხელი მუყაოსგან ან სქელი ქაღალდისგან გამოჭერით კვადრატი.
- გაკეცეთ შუაზე და დახატეთ ზედ ნახევარი გული.
- გამოჭერით კონტურის ხაზის გაყოლებაზე და შემდეგ გაშალეთ. ეს თქვენი გულის თარგი იქნება.
- თიხის მომცრო ნაჭერი გააბრტყელეთ, დაადეთ ზედ მუყაოს თარგი და საძერწი დანით გამოჭერ-ით გულის ფორმა.
- საძერწი დანითვე ან წვეტიანი ჩხირით ზედ ამოკაწრეთ სიტყვა „მადლობა, დედა“ ან „მადლობა, ბებო“ (ან თქვენი საყვარელი ქალბატონის სახელი) და თქვენი სახელი.
- მავთულის მომცრო ნაჭერს აუკეცეთ ბოლოები და ჩაარჭეთ გულის თავში. გადაგლისეთ ისე, რომ როცა გაშრება, არ ამოსრიალდეს.
- ამოაბრუნეთ გული.
- თიხის მომცრო ნაჭრები საძერწ დაფაზე აგორავეთ და მიეცით ზონარის მოგრძო ფორმა. შემდეგ გააბრტყელეთ, როგორც ლენტი.
- დაახვიეთ ეს ლენტი, რომ მიიღოთ ვარდის ფორმა.
- დადეთ ეს ვარდი გულის ფორმაზე და ძირში ოდნავ გაგლისეთ პლასტმასის დანით, რომ ფონს მიეკრას.
- შეავსეთ გულის ფორმა ამგვარი ვარდებით.
- შეგიძლიათ მოხატოთ კულონი გუაშის საღებავებით.

როცა ნახელავი გაშრება, მასწავლებელს შეუძლია დაფაროს ისინი უფერო ლაქით.

აქტივობა:

მოსწავლეები ძერწავენ გულის ფორმის კულონს ვარდების ფორმის მოცულობითი დეკორით.

შემაჯამებელი კითხვები:

- ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება სამკაული?
- გაქვთ რაიმე სუვენირი, რომელიც რაიმე ადგილს ან ადამიანს გახსენებთ?
- რა ქვია სამკაულის დიზაინერის პროფესიას?

კალათა

მიზანი:

კალათის დაწნის ტექნიკის სწავლა

შედეგი:

ს.გ. III.2. – 2.

ასათვისებელი ტერმინები:

პერიმეტრი

მასალა:

ფერადი ქაღალდები
სახაზავი
ფანქარი
მაკრატელი
წებო
ქაღალდის სკოჩი

ვიზუალური მასალა:

ნიმუში

გაკვეთილის მსვლელობა:

კალათის გასაკეთებლად მოსწავლეებს დაჭირდებათ სამი ფერის ქაღალდი – ორი ფერი მოკლე ზოლებისთვის და მესამე ფერის ქაღალდი გრძელი ზოლებისთვის, რაც გაუადვილებს მათ ფურცლის გაყრისას ჭადრაკული თანმიმდევრობის დაცვას.

აქტივობა:

მოსწავლეები, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, გააკეთებენ დაწნილ კალათას სააღდგომო კვერცხის ჩასადებად.

1. ფურცლის მოკლე, ჰორიზონტალურ გვერდებს მოაჭერი თანაბარი, დაახლოვებით 1,5 სმ სიგანის ზოლები. სულ 8 ზოლი დაგჭირდება.



2. ფერადი ფურცლის შედარებით გრძელ, ვერტიკალურ გვერდს მოაჭერი იმავე სიგანის 3-4 ზოლი და დროებით გვერდზე გადადე ისინი.
3. ერთმანეთის გვერდით, ჰორიზონტალურად დაალაგე 4 მოკლე, სხვადასხვა ფერის ზოლი, ერთ სიგრძეზე გაასწორე და ქაღალდის სკოჩით დაამაგრე მათი ბოლოები მაგიდაზე. დალაგებულ ზოლებზე ფანქრით მონიშნე შუაგული.



4. ვერტიკალურად, ერთის გამოტოვებით, ჭადრაკისებურად გაუყარე მაგიდაზე დალაგებულ ზოლებს დანარჩენი 4 მოკლე ზოლი, თანაბრად გაანაწილე ისინი შუაგულის აქეთ-იქით და წებოთი დაამაგრე ზედა და ქვედა ზოლების შეხების ადგილები.




5. ერთის გამოტოვებით მოკეცე თავისუფალი ბოლოები, მთელ პერიმეტრზე გაუყარე მათ ქაღ-ალდის გრძელი ზოლი, დააწებე მისი ბოლოები და სხვა ზოლებთან შეხების ადგილები.




6. ასეთივე ხერხით გაატარე კიდევ 2-3 გრძელი ზოლი.
7. დაუმაგრე კალათას სახელური
8. ამოჩრილი ნარჩენები ჩაკეცე და დააწებე.

ციფრული ნახატი

მიზანი:

გრაფიკული დიზაინის პროგრამის ათვისება;
ციფრული ნამუშევრის შექმნისა და ელექტრონულად გაგზავნის უნარების განვითარება;
სახატავი საშუალებების თვისებების გაცნობიერება.

შედეგი:

ს.გ. III.2. – 5.
ს.გ. III.3. – 2, 3.

მასალა:

კომპიუტერი, გრაფიკული დიზაინის პროგრამა, სახატავი ფურცელი, ფლომასტერები.

ვიზუალური მასალა:



გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები ხატავენ მარტივ სურათს ხელით (ფლომასტერებით) და იმავეს კომპიუტერული ხატვის პროგრამაში.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს გრაფიკული დიზაინის მოცემულ აქტივობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს (ფუნჯი, ფერის არჩევა, ფერის ჩასხმა) და მათ თვალწინ ქმნის ნახატს. შემდეგ ასწავლის მათ ნამუშევრისთვის სახელის დარქმევას, შენახვას და ელექტრონულად გაგზავნას.

მოსწავლეები ადარებენ შედეგს და მსჯელობენ, რითი სჯობს კომპიუტერით ხატვა -საშლელი არ ტოვებს კვალს, გაფერადებისას არ ჩანს შტრიხები, გაფერადება ხდება ერთი დაწკაპუნებითა და ფერის ჩასხმით, შეგიძლია დააყენო ნებისმიერი ფერი, გაავლო სწორი ხაზი სახაზავის გარეშე, ცვალო და ასწორო ნახატი, გაადიდო დეტალები. ხელით ხატვისას – უკეთ ჩანს მხატვრის გუნებ-განწყობა და ხასიათი.

აქტივობა:

მოსწავლეები გრაფიკული დიზაინის პროგრამაში ქმნიან ნახატს, ინახავენ სასურველი სახელით (ან საკუთარი გვარით) და ელექტრონულად უგზავნიან მასწავლებელს, თანაკლასელს და მშობლებს. ასევე, ხატავენ იმავეს ფლომასტერებით და ადარებენ ამ ტექნიკების მხატვრულ თავისებურებებს.

გაკვეთილი: ჩალის თოჯინა

გასაფერადებელი



გაკვეთილი: მანდალა

მანდალას სქემები (უნდა გადაიღოთ ასლი)









აქტივობა II:









გაკვეთილი: ველასკესის ინფანტა

„მენინები“ გასაფერადებელი სქემა:

პროექტი: არქიტექტურა
გაკვეთილი III. ექსკურსია

კლასი ———— მოსწავლის სახელი, გვარი ———————————— თარიღი ————————
მოსწავლის თვითშეფასების ფორმა: გააფერადე შენი ქცევის შესაბამისი ღიმილი.

ვავსებდი სამუშაო ფორმას			
ვუსმენდი გიდს			
გიდს ვუსვამდი შეკითხვებს			
ავტობუსში მშვიდად ვიჯექი			
ხმადაბლა ვსაუბრობდი			
მშვიდად დავდიოდი			
ნარჩენებს ვყრიდი ურნაში			

პროექტი: არქიტექტურა
გაკვეთილი III. ექსკურსია

კლასი ———— მოსწავლის სახელი, გვარი ———————————— თარიღი ————————
მოსწავლის თვითშეფასების ფორმა: გააფერადე შენი ქცევის შესაბამისი ღიმილი.

ვავსებდი სამუშაო ფორმას			
ვუსმენდი გიდს			
გიდს ვუსვამდი შეკითხვებს			
ავტობუსში მშვიდად ვიჯექი			
ხმადაბლა ვსაუბრობდი			
მშვიდად დავდიოდი			
ნარჩენებს ვყრიდი ურნაში			

პროექტი: არქიტექტურა
გაკვეთილი III. ექსკურსია

სამუშაო ფორმა:
მოსწავლის სახელი, გვარი ———————————————————— თარიღი ————————

დღეს ჩვენ ვნახეთ (რა, როდის, ვის მიერ აგებული, რა დანიშნულების): ———————————————————

პროექტი: არქიტექტურა
გაკვეთილი VII – არქიტექტურული სახელოსნო

მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმა. გააფერადე შესაბამისი ღიმილი

პროექტი მოიცავს გეგმას, ნახატს და მოდელს;			
გათვალისწინებულია დამკვეთის ყველა მოთხოვნა;			
შესახედად აკურატულია და სასიამოვნო;			
ნახატშიცა და მოდელშიც გათვალისწინებულია მასალის ფერისა და ფაქტურის იმიტაცია			
წარდგენა მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას.			

პროექტი: არქიტექტურა.
გაკვეთილი VII – არქიტექტურული სახელოსნო

მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმა. გააფერადე შესაბამისი ღიმილი

პროექტი მოიცავს გეგმას, ნახატს და მოდელს;			
გათვალისწინებულია დამკვეთის ყველა მოთხოვნა;			
შესახედად აკურატულია და სასიამოვნო;			
ნახატშიცა და მოდელშიც გათვალისწინებულია მასალის ფერისა და ფაქტურის იმიტაცია			
წარდგენა მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას.			

II შემაჯამებელი დავალება

(ტარდება ცალკე გაკვეთილზე)

დავალება ითვალისწინებს ხელოვნების რომელიმე ცნობილი ნაწარმოების წარდგენას. ნაწარმოების აღწერის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და წარდგენის უნარების ანალიტიკური შეფასების კომპონენტებიდან მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს სამი ყველაზე აქტუალური, რადგან მესამეკლასელებს უჭირთ კონცენტრაცია მეტ მოთხოვნაზე. გთავაზობთ სავარაუდო კომენტარებისა და უნარების გაუმჯობესების ხელშემწყობი რეკომენდაციების ნიმუშებს, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია ჩაასწოროს ან სულაც, შეცვალოს ტექსტში დასმული აქცენტები.

შედეგები:
ს.გ.III.4. – 2, 3, 4, 6.
ს.გ.III.5. – 1, 2, 3, 4, 9, 10.

დავალება: 2 წუთის განმავლობაში გვიამბე მასწავლებლის დახმარებით შერჩეული, ცნობილი ხელოვანის ერთი ნამუშევრის შესახებ.

- ამოიცანი, რომელ დარგს განეკუთვნება, რომელ ჟანრშია შესრულებული, რა ეწოდება და ვინ არის ავტორი (მონაცემები)
- აღწერე ნაწარმოები. ჯერ აღნიშნე მთავარი, შემდეგ კი, მეორეხარისხოვანი, დამხმარე დეტალები (აღწერა)
- აღნიშნე, როგორ ფერებს, ხაზებს ან ფორმებს იყენებს ავტორი (ანალიზი)
- გაგვიზიარე, რა შთაბეჭდილებას ტოვებს ეს ნამუშევარი შენზე (ინტერპრეტაცია)
- წარდგენისას, მიმართე თანაკლასელებს. ისაუბრე მშვიდად, გარკვევით.

შეფასების ნიმუში:

აღწერა, ანალიზი, ინტერპრეტაცია	
კომენტარის ნიმუში 1	• ყოჩაღ, შენ სწორად ამოიცანი დარგი და ჟანრი • მომეწონა, რომ ამომწურავად აღწერე ნამუშევარი. ძალიან კარგია, რომ აღწერა დაიწყე მთავარით და შემდეგ გადახვედი დამხმარე დეტალებზე. • სწორად ამოიცანი მთავარი მხატვრული ხერხები (ხაზი, ფერი, ფორმა). • შენი მოსაზრება საინტერესო და გამორჩეული იყო.
კომენტარის ნიმუში 2	• კარგია, რომ სწორად ამოიცანი დარგი. დაფიქრდი, სწორად განსაზღვრე ჟანრი? • შენი აღწერა თითქმის ამომწურავი იყო. მომავალში ეცადე, ჯერ მთავარით დაიწყო და შემდეგ გადახვიდე დამხმარე დეტალებზე. • ნამუშევრის მხატვრული ხერხებიდან ზოგი გამოგრჩა. მომავალში უფრო ყურადღებით დააკვირდი ნამუშევარს.

კომენტარის ნიმუში 3	• აღწერისას ბევრი რამ გამოგრჩა. • მომავალში ეცადე, მთავარით დაიწყო და დამხმარე დეტალებიც აღნიშნო. • ნამუშევრის მხატვრული ხერხებიდან აღნიშნე ერთი და არ გიხსენებია სხვები. • მომავალში უფრო ყურადღებით უნდა დაათვალიერო ნამუშევარი.
სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა	
კომენტარის ნიმუში 1	ყოჩაღ, შენ გამართულად და თანმიმდევრულად მეტყველებდი. გემჩნეოდა, რომ სახლში გაივარჯიშე და სათქმელი კარგად იცოდი.
კომენტარის ნიმუში 2	შენ საინტერესო ცნობები მოგვაწოდე, მაგრამ სამომავლოდ, ეცადე არ შეყოვნდე ხოლმე თხრობისას. მსმენელს ბეზრდება ლოდინი.
კომენტარის ნიმუში 3	ჩვენთვის გასაგები იყო, რისი თქმა გსურდა, მაგრამ ეცადე, სხვა დროს არ იხმარო ისეთი არაფრისმთქმელი სიტყვები, როგორიცაა „ანუ“, „ხოდა“ და ა.შ. ამაში დაგეხმარება სახლში უფროსების ან სარკის წინ გავარჯიშება.
სხეულის ენის ფლობა	
კომენტარის ნიმუში 1	მომეწონა, რომ აკონტროლებდი სხეულის მოძრაობას. შენი სახის გამომეტყველებაც შესაფერისად იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რას ამბობდი.
კომენტარის ნიმუში 2	შენი მიმიკა (სახის გამომეტყველება) კარგად გადმოსცემდა სათქმელის შინაარსს, მაგრამ სამომავლოდ, სახლში ივარჯიშე იმაზე, რომ ხელები ჯიბეში არ ჩაიწყო.
კომენტარის ნიმუში 3	სამომავლოდ, იმუშავე იმაზე, რომ თხრობისას სხეულის მოძრაობა აკონტროლო – არ იქანაო და ხელებიც ზედმეტად არ იქნიო. უსმინე საკუთარ თავს და მაშინ, სახის გამომეტყველებაც შესაბამისად შეგეცვლება ხოლმე.
კონტაქტი აუდიტორიასთან	
კომენტარის ნიმუში 1	ყოჩაღ, შენ მოახერხე და მსმენელების ყურადღება თხრობის თავიდან ბოლომდე შეინარჩუნე. მომეწონა, როგორ უყურებდი თანაკლასელებს და მათი რეაქცია გაინტერესებდა.
კომენტარის ნიმუში 2	შენს თხრობაში იყო საინტერესო მომენტები, მაგრამ მიმართავდი არა მეგობრებს, არამედ მე, მასწავლებელს. არადა, შენი მთავარი მსმენელები ხომ სწორედ ისინი არიან. მომავალში, მსმენელთა ყურადღება რომ მიიპყრო, სახლში ოჯახის წევრებთან გაივარჯიშე.
კომენტარის ნიმუში 3	მომავალში ეცადე, უყურო არა ჭერს ან სიცარიელეს, არამედ თანაკლასელებს – შენი მთავარი მსმენელები ხომ ძირითადად, ისინი არიან. მომავალში, მსმენელთა ყურადღება რომ მიიპყრო, სახლში ოჯახის წევრებთან გაივარჯიშე.

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○

○ + ○ = ○ ○ + ○ = ○



ფერების სკალა













ფოთლები







აქტიური ბმულები ისტ-ის დავალებებისთვის

გვ.	გაკვეთილის სათაური	დავალება
30 32	კომიქსი ფერად ლაქებზე	შენიშვნა: მოსწავლეებს შეუძლიათ, ზღაპრის ტექსტი აკრიფონ კომპიუტერის მეშვეობით; ამობეჭდილი და ამოჭრილი ტექსტი დააწებონ ნახატების გვერდით. http://kargiskola.ge/dawere/
38	ფერი და განწყობა	„ფერი და განწყობა“საშინაო დავალება 1: მოსწავლეები კომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT) „ფუნჯით“, ერთმანეთის გვერდით დასმული სხვადასხვა ფერის კოპლებითა და ხაზებით დაავსებენ სახატავ არეს. დააკვირდებიან ნახატს და „საშლელით“ წაშლიან იმ ადგილებს, სადაც მათი აზრით ფერადი ლაქები არ მოუხდა ერთმანეთს. დატოვებენ მხოლოდ მათთვის სასიამოვნო მონაკვეთებს.
40	რუხი	**საშინაო დავალება:** ითამაშე ფერებით კომპიუტერის სახატავი პროგრამის (MS PAINT) დახმარებით! დახატე სხვადასხვა ფერის დიდი ფორმა. დიდ ფორმებში ჩახატე ერთნაირი რუხი ფერის მომცრო ფორმები და დააკვირდი შედეგს. გაუზიარე შენი აღმოჩენები მეგობრებს.
53	ყვითელი	**საშინაო დავალება:** მოსწავლეები კომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT) დახატავენ სხვადასხვა ფერის ლაქებს, რომლებსაც ზევიდან „ფუნჯით“ დაადებენ ერთი და იგივე ყვითელი ფერის მომცრო ლაქებს და დააკვირდებიან, რომელი შეხამება მოუხდა ყვითელ ფერს, რომელზეა ყვითელი უფრო ჟღერადი, რომელზე აკიაფდა ეს ფერი და რომელი ფერი არ მოუხდა, რომელმა „შეჭამა“ ყვითელი.
63	ეშერის მოზაიკური სამყარო	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს მოზაიკური ნახატის კომპიუტერში ასაწყობ გასართობ ბმულს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, ააწყონ ეშერის ნახატების მსგავსი კომპოზიციები, რაც მათ მოზაიკური წყობის სტრუქტურის აღქმაში შეუწყობს ხელს. http://www.shodor.org/interactivate/activities/Tessellate/ http://www.mathcats.com/explore/tessellations/tesspeople.html
79	ფიროსმანის პორტრეტი	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს ბმულს, სადაც მათ საშუალება ექნებათ, გაეცნონ ნიკო ფიროსმანის შემოქმედებას. https://burusi.wordpress.com/art/pirosmani/
83	სურბარანის ნატურ-მორტები	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს ბმულს, სადაც მათ შეეძლებათ სურბარანის ციფრული ნახატის გაფერადება. http://www.thecolor.com/Coloring/francisco-de-zurbaran-cup-of-water-and-a-rose.aspx
99	მანდალა	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს ბმულს, სადაც მათ შეეძლებათ მანდალას ციფრული ნახატის გაფერადება. http://www.hellokids.com/r_699/coloring-pages/mandala-coloring-pages/mandalas-for-beginners http://www.hellokids.com/r_262/coloring-pages/mandala-coloring-pages
127	ანიმაცია	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს ბმულს, სადაც მათ შეეძლებათ მარტივი ანიმაციის დახატვა. http://www.abcya.com/animate.htm